# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 ნოემბერი **ორშაბათი** 2011
№ 262 (13 559) ფასი 80 თეთრი

ბიბლიოთეკა

## წაიკითხეთ და გაოცდებით: აქ ყველაფერი მოსულა?



# ლელოსა-კენ არმია ჩემპიონია!



გურამ თოლუნჯგავილის ფოტო

# ისევ ქართველები

## გაიფიქრეს, ალბათ, რუსებმა, ჩვენებთან რომ წააგეს



სარაგბო ამბები 14

### გელა სანაია:

# გამაგებინეთ, რატომ, რა მოხდა?!

## ძნელია, თავი იგრძნო ბურთად, რომელსაც აუტში როცა უნდათ, მოისვრიან. გაგრძელება იქნება!

რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, რომ გელა სანაიას "კოლხეთის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. ეს ინფორმაცია 33 წლის სპეციალისტმაც დაგვიდასტურა და "კოლხეთის" ხელმძღვანელობამაც, თუმცა შემდეგ მოვლენები წარმოუდგენლად განვითარდა – გუნდის თავკაცად სოსო ფილია დააბრუნეს, სანაია კი უმუშევარი დარჩა.

რა მოხდა უფრო კონკრეტულად, ამას თავად სანაიასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- თქვენც და კლუბის ხელმძღვანელობამაც გვითხარით, რომ გადაწყვეტილება მიღებული იყო. რატომ ჩაიშალა ეს შეთანხმება?**

- ამ კითხვაზე მკაფიო პასუხი ვერავინ გამცა. ბოდიშის გარდა არაფერი მომისმენია, ჩემთვის კი ბოდიში არგუმენტი არ არის.

**- თუ არ ვცდებით, "კოლხეთს" ვარჯიშიც კი ჩაუტარეთ.**

- დიახ, გუნდი ერთხელ უკვე ვავარჯიშე, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა და „ზესტაფონთან" შეხვედრისთვის ვემზადებოდით, მაგრამ... ვარჯიში კი არა, "კოლხეთთან" კონტრაქტსაც კი მოვაწერე ხელი.

**- მაშინ თავისუფლად შეგიძლიათ, კლუბს უჩივლოთ.**

- სამწუხაროდ, კონტრაქტის ასლი არ წამომიღია. საკუთარი უფლებების დაცვას კი ნამდვილად ვაპირებ. ფეხბურთის ფედერაციასაც მივმართავ და ყველა შესაძლო ინსტანციასაც. მხარდაჭერა ბევრმა კოლეგამ და საფეხბურთო მოღვაწემ აღმითქვა. შევეცდებით, ერთობლივი ძალებით ვებრძოლოთ ამ განუკითხაობას. აქ საქმე მხოლოდ ჩემში არ არის. ქართულ ფეხბურთში ბევრი უმსგავსობა მომხდარა, მაგრამ ამის პრეცედენტი პირველია. თუ ამ ხალხს ეს საქციელი შერჩა, მერე უარესები მოხდება. მესმის, რომ კონტრაქტის გაფორმების ფაქტის დამტკიცება გამიჭირდება, მაგრამ ის ხომ ყველამ ნახა, რომ ერთ დღეს გუნდი ვავარჯიშე როგორც მთავარმა მწვრთნელმა, მეორე დღეს კი ამ თანამდებობაზე აღარ ვიყავი. სხვა რომ არაფერი, ეს ფაქტიც აღმაშფოთებელია და არავითარ კანონიერ თუ მორალურ ჩარჩოებში არ ჯდება.

როგორია, როცა არა მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელობა, არამედ ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე პირადად გპირდებიან მომავალ საქმიანობაში ყოველგვარ ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას, კლუბი ფოთში დაგიქირავებს ბინას და მერე უცებ სიტუაცია თავდაყირა დგება. პირდაპირ ვაცხადებ, სამარცხვინოდ მიმაჩნია, რომ ქალაქ ფოთსა და ფოთის "კოლხეთს" ასეთი ხელმძღვანელობა ჰყავს. მათი ადგილი ქართულ ფეხბურთში არ არის! ეს მხოლოდ ფოთის ფეხბურთისა და იქაური გულშემატკივრების შეურაცხყოფა კი არა, მთლიანად ქართული ფეხბურთის სირცხვილია!

**- ერთი ვერსიით, მთავარ მწვრთნელად სოსო ფილიას დაბრუნება ფეხბურთელებმა მოითხოვეს.**

- ვინც ამ ხმებს ავრცელებს, ის ბიჭებს შეურაცხყოფს! კატეგორიულად გამოვრიცხავ, რომ ფეხბურთელებს ჩემს წინააღმდეგ რაიმე ნაბიჯი გადაედგათ!

**- საკუთარი უფლებების დაცვისთვის ბრძოლის გარდა, რა გეგმები გაქვთ? ხობის "კოლხეთში" ხომ არ დაბრუნდებით?**

- ხობელებთან კონტრაქტი ფოთელებთან შეთანხმებისთანავე გავწყვიტე, უახლოეს პერიოდში მუშაობას არ ვაპირებ, გონზე მოსვლა მჭირდება. თუ ქართულ ფეხბურთში ასეთი საშინელებები გაგრძელდება, იქ ჩემს ადგილს საერთოდ ვერ ვხედავ. თუმცა მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუმჯობესდება და ჩემი სამსახურიც ვინმეს დასჭირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ვიტ ჯორჯია-დინამო 2:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## არაფერი გასაკვირი დინამოში რაღაც ხდება

### ალექს გარსიას უცნაურ-საცნაური სიტყვები:

# ამ ბოლო დროს მშვიდ გარემოში ველარ ვმუშაობ

საქართველოს ჩემპიონატი 2-3




ალვარომ ანგარიში ასე გახსნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ქულაც დაიმსახურეს და სიმპათიაც

## ალექს გარსია: სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მშვიდ გარემოში მუშაობა არ მიწევს...

06.11. მცხეთა. მცხეთა-პარკი. 800 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2**
**დინამო 2**

0:1 ალვარო (11), 1:1 ზაქრაძე (25, ჯანელიძის პასით), 1:2 კახელიშვილი (76, ჩისკოს პასით), 2:2 ჩიმაკაძე (90, ადამაძის პასით)

| ვიტ ჯორჯია | დინამო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-3-3 |
| ძაძამია | ლორია |
| ხურცილავა | კაშია |
| გოგიაშვილი | ჰომოლა |
| ადამაძე | რეხვიაშვილი |
| ღანიაშვილი | ოდიკაძე |
| გურ. გურეშიძე | კვეკვესკირი |
| ვასაძე | ალვარო |
| კორიფაძე | ჯილაური |
| ჯანელიძე | კოტო |
| ზაქრაძე | ჩისკო |
| ჩიმაკაძე | რობერტინიო |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ზ. ბერიძე | ა. გარსია |

**ვიტ ჯორჯია**

80. კორიფაძე - **სიხარულიძე**
85. ვასაძე - **გიორგი გურეშიძე**
89. ზაქრაძე - **მაისაშვილი**

*სათადარიგოები: სვანაძე, გ. ვაშაკიძე, ოთარიშვილი, კასრაძე*

**დინამო**

60. ჯილაური - **კოშკაძე**
70. რობერტინიო - **კახელიშვილი**
82. ალვარო - **თექთურმანიძე**

*სათადარიგოები: ნადირაძე, გ. ბერაია, იაგუე, ლექვთაძე*

გაფრთხილება: ალვარო (73)
არბიტრი: თ. გვანცელაძე

სამწელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ" მცხეთაში პირველად უმასპინძლა თბილისის „დინამოს" და „მცხეთა-პარკზე" მისულ გულშემატკივარსაც, ალბათ, ის დრო გაახსენდებოდათ, როცა ამ გუნდების დაპირისპირებები უკომპრომისოდ და დრამატული სცენარით მიმდინარეობდა; თუმცა, ნუ დაგვავიწყდება ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორიც: სამი-ოთხი წლის წინანდელი „ვიტ ჯორჯია" ბევრად უფრო გამოცდილი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და გუნდსაც იმ პერიოდში („დინამოს" მსგავსად) საჩემპიონო ამბიციები ჰქონდა. ამჟამინდელი „ვიტ ჯორჯია" კი უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი (23 წელს გადაცილებული არც ერთი ფეხბურთელი არა ჰყავს) და მიზნებიც, შესაბამისად, მოკრძალებული აქვს; თუმცა, **ზურაბ ბერიძის** ამ ახალგაზრდულმა გუნდმა გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მონდომებული და ჯიგრიანი თამაშით ნებისმიერ ფავორიტთან შეუძლია ტოლი-ტოლზე ასპარეზობა; მეტსაც ვიტყვით: შესაძლოა, გუშინდელი მატჩის შედეგი, საბოლოო ჯამში, ლოგიკური იყო, მაგრამ ამ შეხვედრის თვითმხილველები ალბათ, იმაშიც დაგვეთანხმებიან, რომ მასპინძლები წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ! ყველაზე თვალშისაცემი კი ახალგაზრდა „ვეტერინარების" უაღრესად მობილური და „სწორი" თამაში იყო: მასპინძლები მეტოქის ნახევარზე უპრობლემოდ გადმოდიოდნენ და მერე უკვე მოკლე პასებით ბურთსაც გონივრულად „იჭერდნენ". საერთოდაც, „ვეტერინართა" შუახაზი უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთ გამორჩეულად უნდა მივიჩნიოთ, ალარაფერს ვამბობ გუნდის კაპიტანზე და ბოლო დროს „ვიტ ჯორჯიას" უდავო ლიდერად ჩამოყალიბებულ **გიორგი ჯანელიძეზე** — 22 წლის ნახევარმცველმა გუშინ მართლაც „ბენეფისი" მოიწყო და ტიტულიანი მეტოქის ფეხბურთელებს უამრავი პრობლემაც შეუქმნა. თანაც, როგორ გგონიათ, ჯანელიძემ მხოლოდ გუშინ ითამაშა ასე შთამბეჭდავად? ფაქტობრივად, სეზონის დასაწყისიდან მოყოლებული, ეს ახალგაზრდა პლეიმეიკერი უნარიანად წარმართავს თავისი გუნდის შეტევებს და გუშინ ხომ საერთოდ, შეუჩერებელი გახლდათ!

ახლა კი უშუალოდ მატჩის შესახებაც, საკმაოდ სუსხიანი ამინდის მიუხედავად, არცთუ ცოტა მაყურებელი რომ ესწრებოდა. მრავლად იყვნენ საპატიო სტუმრებიც: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა,** ვიცე-პრეზიდენტი **ალექსანდრე ჩივაძე,** ქვემო ქართლის გუბერნატორი **დავით კირკიტაძე** და, რალა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** თავის „შტაბთან" ერთად. ვიდრე შეხვედრის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, მანამდე ორიოდე სიტყვა მეტოქეთა შემადგენლობებზეც გვინდა ვთქვათ; მასპინძლები ზედიზედ მერამდენე ტურია, ერთი და იმავე შემადგენლობით იწყებენ თამაშს; აი, „დინამოს" ესპანელმა თავკაცმა **ალექს გარსიამ** კი, წინა 2 მატჩისგან განსხვავებით, გარკვეული გადაადგილებები მოახდინა: ალექსანდრე კოშკაძისა და გიორგი კახელიშვილის ნაცვლად ძირითადში გამოჩნდნენ ჯაბა ჯილაური და რობერტინიო.

...თამაში დინამოელთა უპირატესობით დაიწყო და კარგა ხნის პაუზის მერე ძირითადში დაბრუნებულ **რობერტინიოს** ანგარიშის გახსნაც შეეძლო, მაგრამ ჩინებული სოლო-რეიდი ზუსტი დარტყმით ვერ დაამთავრა; სამაგიეროდ, სტუმართა უკვე მომდევნო შეტევა შედეგიანი ალმოჩნდა: **შოთა კაშიამ** მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც **მიკელ ალვარო** კარგად გაერკვა სიტუაციაში და მასპიძელთა უკანახაზელთა შეცდომით ისარგებლა. ამის შემდეგ **ჩისკო** ზედიზედ ორჯერ ალმოჩნდა მეტ-ნაკლებად ხეირიან პოზიციაზე, თუმცა „ვალენსიას" ყოფილმა ვარსკვლავმა გოლის გატანა ვერ მოახერხა; ისე როგორც იმ ეპიზოდში, როცა ალვაროს მართლაც ჩინებული პასის შემდეგ ჩისკო „ვიტ ჯორჯიას" მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ **გიორგი ძაძამიას** ვერ აჯობა. ამ მომენტისათვის ანგარიში კი უკვე საყაიმო იყო: მასპინძელთა, ფაქტობრივად, პირველივე სახიფათო შეტევა შედეგიანი ალმოჩნდა! ამ ეპიზოდში გიორგი ჯანელიძემ მართლაც ჩინებული პასით **ბექა ზაქრაძე** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა და „ვეტერინართა" მარცხენა გარემარბმაც ზუსტად დაარტყა. პირველი ტაიმის ბოლომდე (და მერეც) ჯანელიძემ არაერთი დიდოსტატური პასები არიგა აქეთ-იქით; განსაკუთრებით კი ის მომენტი უნდა ალვნიშნოთ, როცა „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანმა მორიგი მოხდენილი პასით ზაქრაძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ „დინამო" თითქმის ასპროცენტიან გოლს **გიორგი ლორიას** ჩინებულმა რეაქციამ გადაარჩინა. სხვათა შორის, პირველ ტაიმში ორივე გუნდის ფეხბურთელებსაც და ქომაგებსაც პრეტენზიები ჰქონდათ მსაჯთა გადაწყვეტილებების გამო; არადა, **ჯაბა ჯილაურსაც** („დინამო") და ბექა ზაქრაძესაც უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ექმნებოდათ, მაგრამ ორივეჯერ „თამაშგარე მდგომარეობა" დაფიქსირდა...

მეორე ტაიმის საწყისი 20 წუთი, არ დავმალავთ და, ბევრისთვის მართლაც მოულოდნელი სცენარით წარიმართა: მასპინძლები სრულ უპირატესობას დაეუფლნენ და ბურთის ფლობაშიც აჯობეს მეტოქეს; კვლავაც შეუჩერებელი გახლდათ გიორგი ჯანელიძე, საზრიანი და სახიფათო გადაცემებით პარტნიორები დასარტყამ პოზიციაზე რომ გაჰყავდა, მაგრამ გიორგი ლორია თამაშობდა უშეცდომოდ, თორემ „ვეტერინარები" გოლს აუცილებლად გაიტანდნენ (ერთ ეპიზოდში მასპინძლები პენალტსაც ითხოვდნენ). ალექს გარსიამ შეცვლებით სცადა მოედანზე არსებული სიტუაციის შეცვლა და ამან გარკვეული ეფექტი მოიტანა კიდეც: ჩისკოს პასის შემდეგ **გიორგი კახელიშვილმა** სისწრაფეში დაჯაბნა მეურვე და შემდგე, ზუსტი დარტყმით ძაძამიას მახვილ კუთხეში გაუტანა! შემდეგ მეტოქეებმა მომენტები გაცვალეს: **ალექსანდრე კოშკაძის** შორეული დარტყმა ძაძამიამ კუთხურზე მოიგერია, აი, **ბესიკ ჩიმაკაძემ** კი. ფაქტობრივად, ორი მეტრიდან ვერ შეძლო კარში ზუსტად დარტყმა. თუმცა, „ვიტ ჯორჯიას" ცენტრფორვარდს აქტიური თამაში მაინც დაუფასდა: მატჩის მინურულს შეტევა ისევ ჯანელიძემ წამოიწყო, მერე დინამოელთა მცველების პოზიციური შეცდომებიც ვნახეთ და შეტევაში ჩართული **გურამ ადამაძისგან** ბურთი სრულიად უმეთვალყურეოდ დარჩენილ ჩიმაკაძეს მიუვიდა, ვისი დარტყმაც ზუსტი ალმოჩნდა! როგორც შესავალში ალვნიშნეთ, მასპინძლები წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ, აი, „დინამოში" კი „რალაც" რომ ხდება, მატჩისშემდგომ ალექს გარსიას სიტყვებიც მოწმობს: სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მშვიდ გარემოში მუშაობა არ მიწევსო...

**გია ტუხაშვილი**

06.11. თბილისი. მერანი (ზესტაფონი). 600 მაყურებელი

**გაგრა 0**
**სიონი 0**

| გაგრა | სიონი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| სეფიაშვილი | ვ. ლოგუანიძე |
| ზ. ჩხეტიანი | კობაური |
| კალანდაძე | გ. ოქროპირიძე |
| ტყეშელაშვილი | სვანიძე |
| ნ. ჯიშკარიანი | გ. თარგამაძე |
| ხუციძე | ისიანი |
| ყურულაშვილი | ქუცურუა |
| შარიქაძე | გაბრიჭიძე |
| სიჭინავა | ფეიქრიშვილი |
| ჯერემია | კემუხტაშვილი |
| კვანტალიანი | რეხვიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ზ. ჯელაძე | ლ. ბაჯელიძე |

**გაგრა**

53. სიჭინავა – **ხოჯაშვილი**
64. ხუციძე – **ზვიადაძე**
70. კვანტალიანი – **ჭოხონელიძე**

*სათადარიგოები: ბეგაშვილი, გაბუნია, ჭკუასელი, გაბედავა*

**სიონი**

65. კემუხტაშვილი – **უგულავა**
90. ფეიქრიშვილი – **კაციტაძე**

*სათადარიგოები: ზუხბაია, ალფაიძე, ხურციძე, აკ. ნოზაძე, ადამაშვილი*

გაფრთხილება: კობაური (44), თარგამაძე (51), ჩხეტიანი (68), სვანიძე (75)
არბიტრი: ჯ. ხორავა

# გოლი და სანახაობა? არც ერთი, არც მეორე

## იმიტომ, რომ გასაღები ვერ იპოვეს

"სიონი" კვლავაც ბოლო ადგილზეა, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ **ლევან ბაჯელიძის** ხელმძღვანელობით ბოლნისელები უფრო ხარისხიანადაც ათამაშდნენ და შედეგებიც შედარებით გაიუმჯობესეს. ბოლო სამი მატჩიდან "სიონს" ერთიც არ წაუგია, რაც ქვემოქართლელთა კატასტროფული სტარტის კვალობაზე საკმაოდ ნორმალური შედეგია.

ნაკლებად მოსალოდნელი იყო, დაახლოებით თანაბარი დონის მეტოქეთა დაპირისპირებაში რომელიმეს აშკარა უპირატესობა მოეპოვებინა და ასეც მოხდა. თამაში მთლიანობაში თანაბარი იყო, სანახაობა კი – დიდი ვერაფერი.

თუმცა გამარჯვებასთან "სიონი" უფრო ახლოს იყო, რადგან, მასპინძელთაგან განსხვავებით, სტუმრებმა რამდენიმე საგოლე შანსი გაუშვეს ხელიდან.

მატჩის დებიუტში "სიონის" დაწინაურება **ვილი ისიანს** შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელ პოზიციაზე მდგომმა დარტყმა დააყოვნა და "გაგრა" გადარჩა. შესვენებამდე საყურადღებო მეტი არაფერი მომხდარა. ორივე მხარე ბევრს იბრძოდა, მაგრამ კარის გასაღებს ვერ პოულობდნენ.

მეორე ტაიმშიც მსგავსი სურათი ვიხილეთ, თუმცა, თუკი "გაგრას" შესრულებით დასამახსოვრებელი მხოლოდ **ლევან შარიქაძის** ჯარიმა იყო, "სიონს" ორი გაცილებით მწვავე მომენტი ჰქონდა – 67-ე წუთზე **გიორგი ქუცურუამ,** 71-ეზე კი **შოთა გაბრიჭიძემ** მიზანს სულ მცირედით ააცილეს.

საბოლოოდ, ფრე, რომელიც, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, არც "გაგრასთვის" არის დიდი მონაგარი და არც "სიონისთვის".

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

**საქართველოს ჩემპიონატი** | **უმაღლესი ლიგა. XIII ტური** | **ინტერვიუ**



# გოლი შექვეთით

## დილა სალამოს გატყდა, ტორპედო კი გალიდერდა

06.11. ქუთაისი. ცენტრალური. 1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 |
| დილა | 1 |

1:0 გამეზარდაშვილი (14.დოლიძის პასით), 1:1 ვ. ხორგუაშვილი (23. ჩაგელიშვილის პასით), 2:1 მეგრელაძე (65. დილმელაშვილის პასით)

| ტორპედო 4-2-3-1 | დილა 4-5-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | შეყრილაძე |
| დ. ფოფხაძე | ჭითანავა |
| ს. თოდუა | ბაქრაძე |
| გამეზარდაშვილი | მაჭავარიანი |
| გურული | გველესიანი |
| დოლიძე | რაყამაშვილი |
| დილმელაშვილი | ჯოჯუა |
| ჩიკვილაძე | პ. ხორგუაშვილი |
| დ. ბოლქვაძე | ვ. ხორგუაშვილი |
| თარხნიშვილი | დ. ჩაგელიშვილი |
| გოცირიძე | ახალკაცი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გეგუჩაძე | რ.სოლოღაშვილი |

**ტორპედო**

53. ჩიკვილაძე - **იოსელიანი**
61. გოცირიძე - **მეგრელაძე**
74. დოლიძე - **საბანაძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, დ. კირკიტაძე, კუხიანიძე*

**დილა**

62. ჩაგელიშვილი - **სადალაშვილი**
72. ვ. ხორგუაშვილი - **ი. ბერაია**
82. პ. ხორგუაშვილი - **გოგინაშვილი**

*სათადარიგოები: მერლანი, გ. თოდუა, ნ. ნოზაძე, ახვლედიანი*

გაფრთხილება: **ვ. ხორგუაშვილი (37), ჯოჯუა (64), თარხნიშვილი (70), დილმელაშვილი (78), მეგრელაძე (90)**

არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**

თასიდან „დინამოს" გამოგდებით ქვემოქართლელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლიათ. ამიტომ ფავორიტის რანგში მყოფი ქუთათურები გორელებთან დაპირისპირებას ფრთხილად ეკიდებოდნენ. სტუმრებმა მართლაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს და ქუთაისიდან ქულაც რომ წაეღოთ, არც ეს იქნებოდა მოულოდნელი. თუმცა **გია გეგუჩაძის** შეგირდება მეორე ტაიმში შეძლეს სტუმრების გატეხვა და ჩემპიონატში ზედიზედ მეექვსე გამარჯვების მოპოვება. ამ მოგებით „ტორპედო" სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა, თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „კოლხეთი"-"ზესტაფონი" უამინდობის გამო გადაიდო და ცხრილზე ამანაც იქონია გავლენა.

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ქუთათურები, რომლებიც ამ შეხვედრაში ორი საყრდენით **(დილმელაშვილი-ჩიკვილაძე)** თამაშობდნენ, უპირატესობის მოპოვებასა და ბურთზე კონტროლის დამყარებას ცდილობდნენ, მაგრამ გორელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მეტოქეს სივრცეები არ დაუთმეს და თავისუფლად მოქმედების საშუალება არ მისცეს. მე-14 წუთზე გორელთა კართან კუთხური დაინიშნა, ქუთაისელთა ფანკლუბი „ბაიანოგოლი"-ს სკანდირებას მოჰყვა. „ბაიანო" **დავით გამეზარდაშვილის** მეტსახელია და მანაც თითქოს გულშემატკივრების თხოვნა გაითვალისწინაო, **დოლიძის** კუთხურის შემდეგ ჩვეულ სტილში, თავურით **ბექა შეყრილაძეს** შანსი არ დაუტოვა — 1:0. გოლს გორელები არ დაუბნევია, პირიქით, გააქტიურდნენ და ქუთაისელ მცველებს საქმეც მოეძალათ. **ვალტერ ხორგუაშვილის** ახლოდან დარტყმული ბურთი გამეზარდაშვილმა ვარდნით გამოიტანა, თუმცა გორელთა ნახევარმცველმა მეორე შანსი კარგად გამოიყენა. ამ ეპიზოდში აღსანიშნავია **დავით ჩაგელიშვილის** ბრწყინვალე გადაცემა, რომელმაც ქუსლით პასით ხორგუაშვილი კარგ პოზიციაზე გაიყვანა, მართალია, ვალტერს **სევასტი თოდუა** უშლიდა ხელს, თუმცა კარში დარტყმა მაინც მოახერხა, ბურთი ჯერ ქუთაისელ მცველს შეეხო და წინ გამოსული **მიგინეიშვილის** კარში უცნაური ტრაექტორიით ჩაეშვა — 1:1. ტაიმის შუანელიც გორელების უპირატესობით მიმდინარეობდა და გატანის არაერთი შანსიც ჰქონდათ, თუმცა ტაიმის ბოლოს თავად გადაურჩნენ გოლს: **დილმელაშვილის** შორიდან და ძლიერად დარტყმულმა ბურთმა სტუმართა კარის ხარიხა შეაზანზარა.

გია გეგუჩაძეს მეორე ტაიმში განხორციელებულმა ცვლილებებმა გაუმართლა. **გია მეგრელაძემ** დილმელაშვილის კარგი გადაცემა გამოიყენა და შეყრილაძეს ვარდნით გაუტანა — 2:1. ამ გოლის შემდეგ გორელები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ ქუთაისელი მცველებიც უშეცდომოდ ირჯებოდნენ, შემდეგ კი თანდათან უპირატესობა მასპინძლების ხელში გადავიდა და მატჩის მიწურულს რიონისპირელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ. **საბანაძის** აქტიურობას შეყრილაძის კარში ზედიზედ ორი დარტყმა მოჰყვა, გორელთა კიპერმა ჯერ **დავით ბოლქვაძეს** აუღო, შემდეგ კი **იოსელიანის** ძლიერი დარტყმაც გააუვნებლა. სტუმრებმა ბოლოსაც გაიბრძოლეს და **რაყამაშვილმა** სახიფათოდაც დაარტყა, მაგრამ ბურთს მცველი გადაეღობა. მატჩიც მალე დასრულდა და ქუთაისელმა გულშემატკივრებმა გალიდერება იზეიმეს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ალალია!

## მერანი, რომელიც ყველას აოცებს

06.11. საგურამო. ლოკომოტივის ბაზა. 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| მერანი | 2 |

0:1 ე. გრიგალაშვილი (26. კაკუშაძის პასით), 1:1 შალამბერიძე (41. ბოიომოს პასით), 1:2 სუხიაშვილი (81. მემარნიშვილის პასით)

| სპარტაკი 4-2-3-1 | მერანი 4-2-2 |
|---|---|
| ძაგანია | შეროზია |
| თიბილაშვილი | კაკუშაძე |
| სეფიაშვილი | გ.ჟვანია |
| ბოიომო | იობაშვილი |
| დ.ლომაია | სუხიაშვილი |
| ხუბუა | დიდავა |
| შალამბერიძე | ე.გრიგალაშვილი |
| თ.შონია | მანწკავა |
| მამუჩიშვილი | ჩალაძე |
| რ.ჯიქია | ამბროლაძე |
| მეტრეველი | ტაკე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ვ. ხაჩიძე | მ. ჟვანია |

**სპარტაკი**

58. დ. ლომაია - **ტეტუნაშვილი**
59. მამუჩიშვილი - **მაისურაძე**
77. რ. ჯიქია - **დეკანოიძე**

*სათადარიგოები: ნ.დაუშვილი, თუხარელი, მამასახლისი, ლობჟანიძე*

**მერანი**

43. შეროზია - **შენგელია**
46. მანწკავა - **მემარნიშვილი**
70. ამბროლაძე - **სამადაშვილი**

*სათადარიგოები: ჭაფოძე, ქამუშაძე, ტორაძე, კუჭუხიძე*

გაფრთხილება: **მანწკავა(33), ხუბუა (36), იობაშვილი (48), დ.ლომაია(53), მემარნიშვილი (54), სეფიაშვილი (63), შალამბერიძე(86)**

არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი**

საწყის წუთებში გუნდებმა სახიფათო მომენტები გაცვალეს, რეალური საგოლე მომენტი კი სტუმრებმა შექმნეს ტაიმის შუაში: სპარტაკელთა მეკარემ მოულოდნელად კარი დატოვა და ლამის ცენტრამდე ამოვიდა, ამ დროს ბურთი **გივი დიდავას** მიუვიდა, რომელმაც კარგადაც დაარტყა, თუმცა მეკარის ფუნქცია **დავით ლომაიამ** შეითავსა, რომელმაც ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მალე მარტვილელთა მრავალსვლიანი კომბინაცია გოლით დაგვირგვინდა: გონივრული პასების წყებას ის მოჰყვა, რომ ბურთი საჯარიმოში **ელგუჯა გრიგალაშვილს** მიუვიდა მანაც ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა — 0:1.

სპარტაკელები, ცხადია, გააქტიურდნენ და ხიფათიც შექმნეს: **ხუბუას** შორიდან დარტყმული **შეროზიამ** მოიგერია, **შალამბერიძემ** დაამატა, მანწკავამ ბურთის საჯარიმოდან გამოტანა დააპირა, თუმცა რიკოშეტის შედეგად ბურთი მარტვილელთა კარის ხარიხას მოხვდა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა. თავის გამოჩენის იდეალური შანსი გააცუდა **ლაშა ჩალაძემ**, რომელმაც **გიგა ჟვანიას** დიაგონალური პასი ვერ გამოიყენა.

შესვენებამდე კი ის მოხდა, რომ მეკარისა და მცველის შეუთანხმებლობით კობა შალამბერიძემ ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა. აქვე სათქმელია, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების და „მერანის" მეკარე ჯონი შეროზია ფეხის ტკივილმა შეაწუხა და მწვრთნელებმა მის ნაცვლად მოედანზე სათადარიგო **გიზო შენგელია** შეიყვანეს.

ამას სტუმრები არ გაუტეხია, მეორე ტაიმი მათი კარნახით წარიმართა. დუბლის შესრულება ორჯერ შეეძლო გრიგალაშვილს, პირველად მცირედით უმტყუნა მიზანმა, შემდეგ კი ცარიელ კარში ვერ გაიტანა. უქმად არც მასპინძლები ყოფილან. საგოლე შანსი ვერ გამოიყენა **ნიკოლოზ მაისურაძემ**, საპასუხო შეტევისას კი იყო საკამათო ეპიზოდი, როცა მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი გრიგალაშვილი სპარტაკელთა საჯარიმოში წაიქცა, მაგრამ კრიჭაშვილმა პენალტი არ დანიშნა, რისთვისაც მას და მის ასისტენტს ტრიბუნიდან სტუმართა გულშემატკივრების რისხვა დაატყდათ თავს.

81-ე წუთზე კი „მერანმა" თავისი გაიტანა: **გიორგი მემარნიშვილმა** სწრაფად მოძრავი **ანზორ სუხიაშვილი** მოძებნა, რომლის უძლიერესმა დარტყმამ **ძაგანიას** კარის ბადეც შეარხია და მარტვილელებს დამსახურებული გამარჯვებაც მოუტანა.

**ბესიკ გვაზავა**

06.11. ზუგდიდი. ცენტრალური. 800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| მეტალურგი | 2 |

0:1 მოდებაძე (11), 0:2 მოდებაძე (14), 1:2 მგელაძე (47)

| ბაია 4-5-1 | მეტალურგი 4-5-1 |
|---|---|
| მაქაცარია | ბედიაშვილი |
| რიგვავა | მახვილაძე |
| აფაქიძე | კვახაძე |
| ნ. შონია | გ. კვარაცხელია |
| აკობია | ჯაფარიძე |
| შ. ლომია | სეთურიძე |
| გუგუჩია | ქავთარაძე |
| ტყემალაძე | ი. მაისურაძე |
| მგელაძე | რაზმაძე |
| წურწუმია | მიქაბერიძე |
| ეხვაია | მოდებაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე.ქომეთიანი | კ.ყორყიაშვილი |

**ბაია**

46. გუგუჩია – **კუკავა**
46. წურწუმია – **ვეკუა**
79. რიგვავა – **პაჭკორია**

*სათადარიგოები: ჯომიდავა, ქვარცხავა, გერგედავა, გამრეკლიძე*

**მეტალურგი**

46. სეთურიძე – **ჭედია**
89. მიქაბერიძე – **დობროვოლსკი**
90. მოდებაძე – **გავაშელიშვილი**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, წენგუაშვილი, პავლიაშვილი, ტატანაშვილი*

გაფრთხილება: წურწუმია (27), აფაქიძე (45), ქავთარაძე (50)

არბიტრი: ლ. სილაგავა

06.11. ლანჩხუთი. ვ.შევარდნაძე
კოლხეთი-ზესტაფონი
გადაიდო

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 13 | 9 | 1 | 3 | 17 | 8 | 28 |
| 2 | დინამო | 13 | 8 | 2 | 3 | 27 | 14 | 26 |
| 3 | ზესტაფონი | 12 | 8 | 2 | 2 | 25 | 14 | 26 |
| 4 | მეტალურგი | 13 | 7 | 3 | 3 | 19 | 14 | 24 |
| 5 | მერანი | 13 | 7 | 2 | 4 | 16 | 13 | 23 |
| 6 | ბაია | 13 | 6 | 1 | 6 | 16 | 12 | 19 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 13 | 4 | 4 | 5 | 13 | 17 | 16 |
| 8 | გაგრა | 13 | 4 | 2 | 7 | 12 | 17 | 14 |
| 9 | კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 11 | 18 | 12 |
| 10 | დილა | 13 | 3 | 2 | 8 | 17 | 21 | 11 |
| 11 | სპარტაკი | 13 | 2 | 4 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 12 | სიონი | 13 | 1 | 4 | 8 | 8 | 22 | 7 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

1. მოგებათა მეტი რაოდენობა;
2. ურთიერთშეხვედრები;
3. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6. ფეარ პლეი;
7. წილისყრა.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო) | 8 |
| დვალი (ზესტაფონი) | 8 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 8 |

**XIV ტური**

**20 ნოემბერი, კვირა**

კოლხეთი-ბაია
მეტალურგი-გაგრა
სიონი-სპარტაკი
მერანი-ვიტ ჯორჯია
დინამო-ტორპედო *Live*
დილა-ზესტაფონი




# კახა ცხადაძე: ქეცბაიამ თავისუფლად უნდა იმუშაოს და არა ზეწოლის ქვეშ!

**კახა ცხადაძე ყოფილ თანაგუნდელს, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას გამოექომაგა. ბაქოს "ინტერის" თავკაცი მიიჩნევს, რომ ის ახლა სერიოზულ ზეწოლას განიცდის.**

**- ცხადია, ჩვენი საუბრის მთავარი თემა ეროვნული ნაკრები იქნება. შესარჩევმა ციკლმა გაორებული შთაბეჭდილება დაგვიტოვა. თქვენ რას იტყოდით?**

- შთაბეჭდილება მართლაც გაორებული დაგვრჩა. ქეცბაიას მოსვლის შემდეგ ნაკრებმა დიდი ნახტომი გააკეთა – 2010 წელს გუნდს თამაში არ წაუგია და 9 ქულით ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი იყო. საუცხოო იყო შედეგიც და გუნდის ბრძოლისუნარიანობაც. და კიდევ, თემურმა ნაკრებში მიიწვია ის ხალხი, ვინც ამას იმსახურებდა.

სამწუხაროდ, 2011 წელი ასეთი წარმატებული არ გამოდგა, მაგრამ, ნაკრები რომ ბევრად უფრო ბრძოლისუნარიანი და მოტივირებული იყო, ვიდრე წინა ციკლში, ამაზე ვინმე დავობს?

ქეცბაია ნაკრების მთავარი მწვრთნელია და გუნდს კიდევ მინიმუმ ორი წელი გაწვრთნის, ამიტომ მას თავისუფალ გარემოში უნდა მიეცეს მუშაობის საშუალება.

აჟიოტაჟი, რომელიც ახლა ატყდა, არ მომწონს. ქეცბაიას ჩემი ადვოკატობა არ სჭირდება, მაგრამ ასე მუშაობას ვერ მოახერხებს. ნაკრებში სამუშაო ატმოსფერო უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ ფეხბურთელებს, არამედ მწვრთნელებსაც.

**- ქეცბაიას მომხრეთა გაღიზიანება დავით მუჯირის ღია წერილმა და გოგიტა გოგუას ინტერვიუმ გამოიწვია. გითამაშიათ ევროპაში, სადაც კრიტიკა ჩვეულებრივი მოვლენაა. რატომ ითვლება ეს ჩვენთან მტრობად?**

- გასაგებია, რომ მუჯირი გულნატკენია ნაკრებში მიუწვევლობით, გოგუასაც ჰქონდა პრობლემები, მაგრამ მათ ერთს ვურჩევდი – არ ილაპარაკონ მწვრთნელზე, მის ტაქტიკასა და საკადრო პოლიტიკაზე. ხვალ, ქეცბაია რომ აღარ იქნება ნაკრებში, ხომ შეიძლება, გოგუამ იგივე სხვა მწვრთნელზეც თქვას? არ აჯობებს, კარიერაზე იფიქროს?!

ქეცბაიას გადასაწყვეტია, ვის მიიწვევს და ვის არა, თავის თავისა და ქვეყნის მტერი არ არის, უვარგისები მიიწვიოს და ძლიერებზე უარი თქვას. კარგად აცნობიერებს, რასაც აკეთებს, მაგრამ ამ აჟიოტაჟით ხელი შეეშლება.

სამი წელია, აზერბაიჯანში ვილაცვილაცები მაგინებენ, გამუდმებით მესმის "ეს რატომ გაუშვი, ის რატომ მოიყვანე", მაგრამ არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის, რადგან დარწმუნებული ვარ ჩემი გადაწყვეტილების სიმართლეში.

**- ზოგი ექვიანის აზრით, გაზეთი შეთქმულების მონაწილეა, როდესაც კრიტიკას ადგილს უთმობს...**

- განსხვავებული აზრის დაფიქსირება თქვენი საქმეა. მე მუჯირთან და გოგუასთან პოლემიკას არც ვაპირებ, მტყუან-მართალს დრო გამოაჩენს.

ამ მოვლენებს ინტერნეტითა და ტელევიზიით ვადევნებ თვალს და ასეთი აზრი ჩამომიყალიბდა - თემურზე აშკარად სერიოზული ზეწოლაა. ნაკრების მწვრთნელი კი ასეთ გარემოში ვერ იმუშავებს.

**მერაბ მამულაშვილი**

**პირველი ლიგა**

**XII ტური**

**ა ზონა. 5 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| დინამო (ბათუმი)-სტუ (თბილისი) | 2:0 |
| ჩხერიმელა(ხარაგაული)-სამტრედია | 1:1 |
| მესხეთი (ახალციხე)-კოლხეთი (ხობი) | 1:1 |
| მეშახტე (ტყიბული)-ჭიათურა | 0:1 |
| მერცხალი (ოზურგეთი)-ლოკომოტივი (თბ.) | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 12 | 9 | 2 | 1 | 18-6 | 29 |
| 2. მერცხალი | 12 | 8 | 2 | 2 | 18-11 | 26 |
| 3. ჭიათურა | 12 | 7 | 3 | 2 | 18-9 | 24 |
| 4. ჩხერიმელა | 12 | 5 | 3 | 4 | 15-15 | 18 |
| 5. სტუ. | 11 | 5 | 2 | 4 | 20-20 | 17 |
| 6. მესხეთი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-12 | 14 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 12 | 2 | 4 | 6 | 9-14 | 10 |
| 8. მეშახტე | 12 | 2 | 3 | 7 | 11-16 | 9 |
| 9. ლოკომოტივი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-15 | 9 |
| 10. სამტრედია | 11 | 0 | 4 | 7 | 6-18 | 4 |

**ბ ზონა. 6 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ნ. დინამოელი (თბ.)-გურია (ლანჩხუთი) | 0:2 |
| სძური (წალენჯიხა)-ჩიხურა (საჩხერე) | 0:2 |
| ზოოვეტი (თბ.)-სამგურალი (წყალტუბო) | 2:1 |
| სულორი (ვანი)-ადელი (ბათუმი) | 2:0 |
| იმერეთი (ხონი)-აეტი (სოხუმი) | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 12 | 11 | 1 | 0 | 30-2 | 34 |
| 2. გურია | 12 | 9 | 2 | 1 | 32-8 | 29 |
| 3. ნ.დინამოელი | 12 | 6 | 1 | 5 | 22-13 | 19 |
| 4. იმერეთი | 12 | 6 | 1 | 5 | 20-16 | 19 |
| 5. ზოოვეტი | 12 | 6 | 1 | 5 | 15-21 | 19 |
| 6. სძური | 12 | 5 | 2 | 5 | 16-17 | 17 |
| 7. სამგურალი | 12 | 4 | 4 | 4 | 15-12 | 16 |
| 8. სულორი | 12 | 2 | 2 | 8 | 5-27 | 8 |
| 9. ადელი | 12 | 2 | 1 | 9 | 10-24 | 7 |
| 10. აეტი | 12 | 1 | 1 | 10 | 5-30 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გადადებული მატჩის გამო




## განწყალ(დიდ)ებული საქმე: ზესტაფონის დაწუნებული ფედერაციამ კი მოიწონა, მაგრამ...

ლანჩხუთში გამართული სათასო მერვედფინალის განმეორებითი მატჩის („კოლხეთი“-„ზესტაფონი“) შემდეგ „ევგრაფი შევარდნაძის“ მინდვრის საფრითა და საორგანიზაციო საკითხებით ზესტაფონური კლუბის მესვეურები უკმაყოფილონი დარჩნენ.

როგორც ცნობილია, ფოთის სტადიონზე მიმდინარე სამუშაოების გამო „კოლხეთი“ საშინაო შეხვედრებს ლანჩხუთში ატარებს. ამავე არენაზე თამაშობს ადგილობრივი „გურია“ და, მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზომებით გურულთა მთავარი არენის საფარი აქამდე ყოველთვის ნორმალურად გამოიყურებოდა, ორი გუნდის „მასპინძლობა“ გაუჭირდა. რა თქმა უნდა, ზესტაფონელთა გულისტკივილი გასაგებია — გუნდს კარგ საფარზე თამაში სურს, თუმცა ქართული რეალობა სულ სხვაა — სამწუხაროდ, „გურიას“ სტადიონის მდგომარეობაშია ჩვენი სტადიონების უმეტესობა. ჯერჯერობით საფეხბურთო ინფრასტრუქტურას არ ეშველა და თითოოროლა სტადიონი არაფერს ცვლის.

იმის გამო, რომ კვირას „ზესტაფონს“ კიდევ ერთხელ უნდა ეთამაშა ლანჩხუთში იმავე „კოლხეთთან“, ამჯერად საჩემპიონატო მატჩი, კლუბის სურვილი იყო, შეხვედრა სხვა ქალაქში გადაეტანათ. თუმცა ისევ ზემოთ ნახსენები პრობლემების გამო (ფოთელებს უკეთესი ალტერნატიული ვარიანტი არ აქვთ) რჩებოდა ერთადერთი - ფოთელებს ზესტაფონში ეთამაშათ. ეს კი კოლხებს არანაირად არ აძლევდათ ხელს.

ვითარების გასარკვევად ლანჩხუთს საგანგებოდ ეწვია ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური კომისია, რომლის გადაწყვეტილებით, „კოლხეთი“ - „ზესტაფონის“ ჩატარება ლანჩხუთში გადაწყდა. როგორც ჩანს, კომისიამ იძულებითი გადაწყვეტილება მილო - „ევგრაფი შევარდნაძე“ იდეალურ მდგომარეობაში ნამდვილად არ არის, მაგრამ, თუ ასეთ საფარზე თამაში აიკრძალება, ან ეროვნული ჩემპიონატი ჩაიშლება, ანაც 2-3 არენაზე უნდა გაიმართოს ყველა შეხვედრა.

თუმცა მატჩის ჩატარება „ევგრაფი შევარდნაძეზე“ გუშინ მაინც ვერ მოხერხდა. მიზეზი ავდარი იყო — წინა დღიდან მოყოლებული, თამაშის დაწყებამდე, ლანჩხუთში წვიმას არ გადაუღია, ამან კი დალი, რა თქმა უნდა, არენასაც დაასვა და თამაშის დაწყებამდე საათით ადრე გადაწყდა, რომ მატჩი არ ჩატარებულიყო.

**მამუკა ქანთარია**

● კოლხეთი

## ფოთში უცნაური ღამეები იცის

### გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: კოლხეთს ისევ ფილია (გა)წვრთნის!

ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში ამაზე უფრო ჩახლართული სიტუაცია და სამკითხაო არ ყოფილა: რატომ წავიდა **სოსო ფილია** „კოლხეთიდან“? ვინ იქნება მის ნაცვლად მთავარი მწვრთნელი — **დავით მახარაძე, გელა სანაია** თუ **ოთარ გაბელია**? რატომ ავარჯიშა გუნდი ისევ ფილიამ? რატომ გაიყვანა „კოლხეთი“ სათამაშოდ ისევ მახარაძემ? რა ფუნქციებს შეასრულებს კლუბში ფილია? ასეთი კითხვები ბოლო დღეებში არაერთხელ დაისვა, პასუხი კი ასე ჟღერდა — სანაია მთავარ მწვრთნელად, ფილია — კონსულტანტად ან სპორტულ დირექტორად!

თუმცა ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილი რომ გვეგონა, თურმე ასე არ ფიქრობდნენ „კოლხეთის“ მესვეურები! შაბათს, გვიან საღამოს, სოსო ფილიასთვის დაურეკავთ და გუნდში დაბრუნება უთხოვიათ. სხვათა შორის, მისი გუნდიდან წასვლის (როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ რამდენიმე დღით) გადაწყვეტილებაც რუსთავის „მეტალურგთან“ მატჩის წინა საღამოს მიიღეს, ხოლო „ზესტაფონთან“ სათასო შეხვედრის წინა დღეს, უფრო სწორად, ასევე საღამოს ფეხბურთელები და კლუბის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და ფილიას მხარდაჭერა გამოუცხადეს - მისი კლუბში დატოვება მინიმუმ სხვა ამპლუაში მაინც მოითხოვეს.

მოკლედ, გუშინ გასამართ საჩემპიონატო მატჩზე გუნდი ფილიას უნდა გაეყვანა. ეს შეხვედრა ავდრის გამო კი გადაიდო, მაგრამ უფრო დიდი ინტრიგა „ევგრაფი შევარდნაძეზე“ ფილიას გუნდთან ერთად გამოჩენა იყო, ხოლო გელა სანაია, რომლის დანიშვნასაც წინა დღეებში „კოლხეთის“ ადმინისტრაცია ადასტურებდა, ლანჩხუთში კვირას არ გამოჩენილა. ვინაიდან ფილიას გუნდში დაბრუნებას ფეხბურთელებიც მოითხოვდნენ, არ არის გამორიცხული, ეს მომენტი გახდა გადამწყვეტი.

*„დიახ, გუნდში დავბრუნდი, სამწვრთნელო შტაბიც და ფეხბურთელებიც მთელი შემადგენლობით შენარჩუნებულია და ვაგრძელებთ მუშაობას“* — გვითხრა გუშინ სოსო ფილიამ.

**მამუკა ქანთარია**

● ლეგიონი

## რუსულ ელიტაში ორიდა დაგვრჩა

ქართული ლეგიონისთვის მორიგი ტური კარგად დაიწყო: პარასკევს გოლით და საგოლე პასით **ალექსანდრე იაშვილი** გამოირჩა, გამარჯვების გოლით - **ვასილ გიგიაძე**, მაგრამ ბრწყინვალე სტარტის მიუხედავად, უქმეები მწირი გველოდა - გოლები მხოლოდ მოლდოვაში მოთამაშე ვეტერანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** (შერიფი) და „ლიტველმა“ **თომა ტაბატაძემ** (კრუოია) გაიტანეს, თანაც ორივემ თერთმეტმეტრიანით.

ნიშნულებს შემოდგომით ითვლიანო და, რუსეთში მოთამაშე ქართული ლეგიონის მდგომარეობის შეფასების დროც მოსულა. რუსული პრემიერლიგა შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადადის, ახლა კი საშუალედო ჩემპიონატია. ამ უქმეებზე მორჩა პირველი ეტაპი, ზედა 8 გუნდი ბრძოლას გაზაფხულიდან ჩემპიონობისთვის გააგრძელებს. რუსეთში 10-ზე მეტი ლეგიონერი გვყავს (რომელთაგანაც ნაკრების ბირთვია დაკომპლექტებული) და, სამწუხაროდ, საუკეთესო 8 გუნდში მხოლოდ ორ მათგანს მოუწევს თამაში: **ჯანო ანანიძესა** (სპარტაკი) და **საბა კვერკველიას** (რუბინი). მართალია, „ანჟიც“ აგრძელებს ბრძოლას, მაგრამ, თურმე **ნუკრი რევიშვილი** აღარ ყოფილა ამ გუნდის წევრი. მოკლედ, გაისად 10-ზე მეტი ქართველი ერთი რანგით დაბლა (მე-9 - მე-16 ადგილები) ითამაშებს. არა გვგონია, ეს ჩვენი ნაკრებისთვის კარგი პერსპექტივა იყოს. ცუდად რომ აქვთ საქმე რუსეთში ჩვენს ლეგიონერებს, იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო ტურში მხოლოდ ოთხმა ქართველმა ითამაშა სასტარტოში: **ალექსანდრე ამისულაშვილმა** (კრასნოდარი), **გია გრიგალავამ** (ვოლგა), **ლევან გვაზავამ** (ტერეკი) და **გუჯა რუხაიამ** (ნალჩიკი). თანაც, ბოლო ორს მხოლოდ სანახევროდ თუ შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი ლეგიონერი: გვაზავა აღარ არის საქართველოს მოქალაქე, ხოლო რუხაია ჯერ არ არის. კიდევ ერთი დიდი პრობლემა ჩვენებურებს გაისად შეექმნებათ (სწორედ ამის გამო წავიდა „ანჟიდან“ რევიშვილი) - ისეთი ფეხბურთელები, ამისულაშვილი, გრიგალავა და რევიშვილი რომ არიან, მომავალი წლიდან პრემიერლიგაში ლეგიონერებად ჩაითვლებიან, ლეგიონერებზე კი რუსეთში კვოტაა.

„ჰერტას“ ქართველი ვეტერანი **ლევან კობიაშვილი** კვლავ განაგრძობს შეუცვლელ სერიას - „კობიმ“ ისევ 90 წუთი ითამაშა, თუმცა ამჯერად მისი გუნდი შინ დამარცხდა „მიონხენგლადბახთან“. ჩვენებურის თამაში „შპორტალმა“ 4 ბალით შეაფასა, გამოცემამ მეორე გაშვებულ ბურთში ის დაადანაშაულა - თავის პოზიციაზე არ იყოო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია. I ბუნდესლიგა. XII ტური | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | მიონხენგლ. | 1:2 (შ) | 90 წუთი | 12 თ, 1გ |
| გერმანია. II ბუნდესლიგა. XIV ტური | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | ინგოლშტად. | 3:2 (შ) | 88 წთ (შეცვ), 1 გოლი, 1 პასი | 13 თ, 4 გ. |
| იტალია. სერია ა. X ტური | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ინტერი | | გადაიდო | 5 თ |
| იტალია. სერია ბ. XIV ტური | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | ალბინოლეფე | 0:0 (შ) | 77 წთ (შეცვალეს) | 6 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 18 | ემპოლი | ალბინოლეფე | 0:0 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| საფრანგეთი. ლიგა 2. XIV ტური | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | მონაკო | 2:2 (გ) | 90 წუთი | 9 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ლავალი | 0:1 (გ) | სათადარიგო | 1 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა. XXX ტური | | | | | | |
| საბა კვერკველია | 19 | რუბინი | ვოლგა | 0:1 (გ) | სათადარიგო | 5 თ 1 გ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | დინამო | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 10 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | კრილია | 3:1 (შ) | არ უთამაშია | 25 თ |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდ. | ტერეკი | 0:2 (გ) | 8 წთ (შეცვლაზე) | 23 თ, 7 გ |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდ. | ტერეკი | 0:2 (გ) | 90 წუთი | 24 თ, 1 გ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | კრასნოდარი | 2:0 (შ) | 77 წთ (შეცვალეს) | 20 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | რუბინი | 1:0 (შ) | 90 წუთი | 20 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | რუბინი | 1:0 (შ) | არ უთამაშია, დუბლი | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | რუბინი | 1:0 (შ) | არ უთამაშია, დუბლი | 10 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | რუბინი | 1:0 (შ) | სათადარიგო | 18 თ, 1 გ |
| ზურაბ არზიანი | 23 | ვოლგა | რუბინი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 4 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ამკარი | 2:1 (შ) | 4 წთ (შეცვლაზე) | 22 თ, 2 გ |
| გუჯა რუხაია | 24 | ნალჩიკი | ამკარი | 2:1 (შ) | 90 წუთი, გააფრთხილეს | 10 თ |
| ზურაბ ცისკარიძე | 24 | ამკარი | ნალჩიკი | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| რუსეთი. I დივიზიონი. XXXVII ტური. | | | | | | |
| გიორგი ნავალოვსკი | 25 | ხიმკი | ენისეი | 2:0 (გ) | 90 წუთი | 30 თ |
| უკრაინა. პრემიერლიჰა. XVI ტური | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | ვოლინი | 0:0 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 11 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | ვოლინი | 0:0 (გ) | არ უთამაშია, ტრავმა | 11 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | დნიპრო | 0:1 (გ) | სათადარიგო | 11 თ, 2 გ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | ზარია | 1:0 (გ) | 82 წთ (შეცვალეს), 1 გოლი | 8 თ, 3 გ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | არსენალი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | კარპატი | 0:3 (გ) | 45 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. | 7 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | ტავრია | 0:1 (შ) | დისკვალიფიკაცია | 15 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ოლექსანდ. | ვორსკლა | 1:1 (შ) | 29 წთ (შეცვლაზე) | 13 თ, 3 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | ილიჩივეცი | 3:0 (შ) | არ უთამაშია | 5 თ |
| ჰოლანდია. ერედივიზიე. XIII ტური | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | ბრედა | 0:1 (გ) | 90 წუთი | 12 თ, 1 გ |
| გიორგი ჭანტურია | 18 | ვიტესი | ბრედა | 0:1 (გ) | 45 წთ (შეცვალეს) | 11 თ 3 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 18 | ვიტესი | ბრედა | 0:1 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| საბერძნეთი. სუპერლიგა. IX ტური | | | | | | |
| დავით კვირკველია | 31 | პანიონიოსი | ოფი | 1:3 (შ) | 90 წუთი | 8 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 32 | ერგოტელისი | პანათინაიკ. | 0:0 (შ) | 90 წუთი | 6 თ, 1გ |
| თურქეთი. სუპერლიგა. VIII ტური | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | სამსუნი | ანკარაგიუჯუ | 2:2 (შ) | სათადარიგო | 3 თ |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | ქაისერი | ტრაბზონი | 1:2 (გ) | 90 წუთი | 7 თ |
| ავსტრია. ბუნდესლიგა. XIV ტური | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | კაპფენბერგი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 10 თ |
| კვიპროსი. I დივიზიონი. IX ტური | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ეთნიკოსი | პარალიმნი | 0:0 (გ) | 90 წუთი | 8 თ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | პარალიმნი | 0:0 (გ) | 45 წთ (შეცვალეს) | 8 თ |
| კლიმენტი წიტაიშვილი | 36 | ნეა სალამინა | აპოელ | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| ისრაელი. ლიგატ ჰაალი. X ტური | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 25 | მაქაბი ჰ. | იეჰუდა | ?:? (შ) | -- | 4 თ |
| შვეიცარია. სუპერ ლიგა. XV ტური | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | ციურიხი | 3:1 (შ) | არ უთამაშია | 5 თ |
| დანია. სასლიგა. XV ტური | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | სონდერისკე | | დღეს | 4 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | სონდერისკე | | | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | სონდერისკე | | | 3 თ |
| პოლონეთი. ექსტრაკლასა. XIII ტური | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | ლეხია | 0:0 (გ) | 10 წთ (შეცვლაზე) | 12 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | 18 | იაგიელონია | ლეგია | | დღეს | 0 თ |
| სერბეთი. სუპერლიგა. XI ტური | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | იავორი | 0:0 (გ) | არ უთამაშია | 9 თ, 2 გ |
| უნგრეთი. NB-1. XV ტური | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | 23 | ლომბარდი | დიორი | 2:3 (გ) | 66 წთ (შეცვალეს) | 14 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | დიორი | 2:3 (გ) | 90 წთ | 13 თ |
| რატი ალექსიძე | 33 | დიორი | ლომპარდი | 3:2 (შ) | სათადარიგო | 15 თ 2 გ |
| იაპონია. ჯეილიგა. XXXII ტური | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | ვეგალტა | 0:0 (გ) | 13 წთ (შეცვლაზე) | 31 თ, 6 გ |
| სამხ. აფრიკა. პსლ. X ტური | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 28 | მოროკა | ორლანდო | 1:1 (გ) | 90 წუთი | 8 თ, 1 გ |

● დამალული ტრანსფერი დადასტურდა

## რევიშვილი ანჟიდან კრასნოდარში

**ნუკრი რევიშვილმა** მახაჩყალის "ანჟი" დატოვა და, **ალეკო ამისულაშვილისა** და **ოთარ მარცვალაძის** დარად, კარიერას "კრასნოდარში" გააგრძელებს. "სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, კრასნოდარელებმა საქართველოს ნაკრების მეკარესთან კონტრაქტი ჯერ კიდევ აგვისტოში გააფორმეს.

ზედიზედ მეორე შეხვედრაა, "ანჟის" კარში ქართველი მეკარის ნაცვლად, **ევგენი პომაზანი** დგას. ამიტომაც იყო, სამარის "კრილია სოვეტოვთან" საშინაო შეხვედრის შემდეგ ანჟელთა მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელ **ანდრეი გორდეევს** რომ ჰკითხეს, რევიშვილი გუნდში აღარ არისო?

*"რევიშვილმა კონტრაქტი სხვა გუნდთან გააფორმა. ჩვენ მას თბილად და მაქსიმალურად კორექტულად დავემშვიდობეთ"* - თქვა გორდეევმა.

*"რევიშვილი კრასნოდარელთა შემადგენლობაში გაზაფხულიდან ითამაშებს. მან "კრასნოდართან" კონტრაქტი აგვისტოში გააფორმა, მაგრამ ეს ამბავი გასაიდუმლოებული იყო. მომდევნო წლიდან ის ლეგიონერად ჩაითვლება. სწორედ ამიტომ შეიძინეს დაღესტნელებმა მოსკოვის "დინამოს" მეკარე ვლადიმერ გაბულოვი, რომელიც ცსკა-ში იჯარით გაუშვეს"*, - წერს "სპორტ-ექსპრესი".

"ლელოში" 15 სექტემბერს დაიბეჭდა წერილი "*რევიშვილი „კრასნოდარში“ მილიონად გაყიდეს?*". მაშინ ინტერნეტპორტალი Lifesports.ru იუწყებოდა, მახაჩყალის „ანჟიმ“ ძირითადი მეკარე ნუკრი რევიშვილი „კრასნოდარში“ გაყიდა, ტრანსფერის ღირებულება კი მილიონი ევროაო.

სხვათა შორის, "კრასნოდართან" კონტრაქტის გაფორმებამდე ერთი თვით ადრე რევიშვილს კიევის „დინამოში“ ინვევდნენ, მაგრამ უკრაინელები უარით გაისტუმრეს.

დაბოლოს, ამ ბოლო დროს რუსები ძალიან გადაეკიდნენ ქართველ მენეჯერ **მამუკა ჯულელს**. რევიშვილის ტრანსფერთან დაკავშირებით "სპორტ-ექსპრესი" წერს, ჯულელმა ამ გარიგებით 500 ათასი დოლარი მიიღოო. აქ ნიშანდობლივი ისაა, რომ ვერ ვიხსენებთ შემთხვევას, სატრანსფერო სარგო რუსი მენეჯერებისთვის დაეთვალათ, ქართველის შემოსავლით კი დაინტერესდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ნიუკასლი-ევერტონი 2:1

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსონი, კოლოჩინი, რ. ტეილორი, ს. ტეილორი – მარვო (54. ს. ამეობი), გათრი, კაბაიე (37. გოსლინგი), ხონასი – ბა, ბესტი (73. ბენ არფა).

**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი – ჰიბერტი (81. მაკფადენი), ჰეიტინგა (ტ. კეჰილი), ჯეგიელკა, ბეინესი – კოულმენი, როდუელი, ფ. ნევილი (41. დისტინი), ოსმანი, დრენტე - საა.

**გოლები:** 1:0 ჰეიტინგა (12 ს.კ.), 2:0 რ. ტეილორი (29), 2:1 როდუელი (45)

**გაფრთხილება:** გათრი, ტეილორი – ჰეიტინგა, ბეინესი, დრენტე

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 14-16; **კარში დარტყმა:** 12-15 (3-4); **თამაშგარე:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 50 671

### არსენალი-ვესტ ბრომვიჩი 3:0

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი – ჯენკინსონი, ვერმაელენი, კოშელნი, სანტოსი – უოლკოტი (78. არშავინი), არტეტა, სონგი, ჟერვინიო (72. ბენაიუნი) – რემსი (71. როსიცკი), ვან პერსი.

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – რიდი, ოლსონი, მაკოლი, ბ. ჯონსი – ბრანტი, ჯ. მორისონი, დორანსი (81. თორნი), ტომასი – გერა (63. ტჩოი), კოქსი (71. მულუმბუ).

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (22), 2:0 ვერმაელენი (39), 3:0 არტეტა (74)

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 12-13; **კარში დარტყმა:** 12-10 (5-2); **თამაშგარე:** 1-6; **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 60 091

### ასტონ ვილა-ნორვიჩი 3:2

**ასტონ ვილა** (4-4-2): გივენი – ჰატონი, დანი, კოლინზი, უორნოკი – ნ'ზოგბია, ს. პეტროვი (77. აირლენდი), ჰერდი, ჰესკი (67. ჯენასი) – ბენტი, აგბონლაჰორი.

**ნორვიჩი** (4-4-2): რადი – ნაფტონი, მარტინი, ბერნეტი, ტიერნი – ბენეტი (63. ფოქსი), ბ. ჯონსონი (35. კროფტსი), ჰულაჰანი (76. ჯეკსონი), პილკინგტონი – ს. მორისონი, ჰოლტი.

**გოლები:** 0:1 პილკინგტონი (25), 1:1 ბენტი (30), 2:1 აგბონლაჰორი (48), 3:1 ბენტი (62), 3:2 ს. მორისონი (77)

**გაფრთხილება:** ნ'ზოგბია – ჰულაჰანი, კროფტსი, ბერნეტი, პილკინგტონი, ჰოლტი

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 12-9; **კარში დარტყმა:** 16-11 (5-7); **თამაშგარე:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 35 290

### ბლექბერნი-ჩელსი 0:1

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი – ლოუი, ჟივე, სამბა (45. ჰენლი), ოლსონი – როჩინა (72. დანი), პედერსენი, ნზონზი, ჰოილეტი – ფორმიცა, იაკუბუ.

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ივანოვიჩი, ტერი, ალექსი, ე. კოული – რამირესი (90. რომეუ), მიკელი, ლემპარდი – მატა (83. მეირელეში), სტერიჯი, მალუდა (45. ტორესი).

**გოლები:** 0:1 ლემპარდი (51)

**გაფრთხილება:** ლოუი, ჰენლი, ჟივე, პედერსენი – სტარიჯი, მეირელეში

**კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 14-11; **კარში დარტყმა:** 12-12 (5-5); **თამაშგარე:** 3-3; **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 21 985

### ლივერპული-სუონსი 0:0

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ენრიკე – ჰენდერსონი (45. კუიტი), ადამი, ლუკასი, დაუნინგი – სუარესი, ქეროლი (75. ბელამი).

**სუონსი** (4-4-2): ვორმი – რანგელი, უილიამსი, მონკი, ნ. ტეილორი – დაიერი, ბრიტონი, გოვერი (90. აგუსტეინი), რუტლიჯი (75. სინკლერი) – ალენი, გრემი.

**გაფრთხილება:** ადამი, აგერი – ნ. ტეილორი, უილიამსი

**კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 15-5; **კარში დარტყმა:** 25-12 (5-3); **თამაშგარე:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 45 013

### მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი 1:0

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ლინდეგაარდი – ფ. ჯონსი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა – ნანი, რუნი, ფლეტჩერი (90. ფაბიო), პარკი (83. ქერიკი) – უელბეკი (73. ბერბატოვი), ერნანდესი.

**სანდერლენდი** (4-4-2): ვესტვუდი – ბერდსლი, ბრაუნი, ტერნერი, რიჩარდსონი – ლარსონი, კოლბეკი (76. მეილერი), კეტერმოლი, სესენიონი (76. ელმოჰამადი) – ბენდტნერი, უიკჰემი (5. ჯი).

**გოლები:** 1:0 ბრაუნი (45 ს.კ.)

**გაფრთხილება:** ლარსონი, ჯი (ორივე სანდერლენდი)

**კუთხური:** 6-2; ; **ჯარიმა:** 7-15; **კარში დარტყმა:** 13-9 (6-1); **თამაშგარე:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 75 570

### ქუინზ პარკი-მანჩესტერ სიტი 2:3

**ქუინზ პარკი** (4-4-2): კენი – ლ. იანგი, გებიდონი, ა. ფერდინანდი, ტრაორე (90. ჰილი) – მეკი (84. სმიტი), ფაურლინი, ბარტონი, რაიტ-ფილიპსი – ბოთროიდი (77. პანჩეონი), ჰელგიუსონი.

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი – რიჩარდსი, ლესკოტი, სავიჩი, კოლაროვი – მილნერი, ბერი (75. ბალოტელი), ი. ტურე, სილვა – აგუერო (68. ჯონსონი), ჯეკო (88. კ. ტურე).

**გოლები:** 1:0 ბოთროიდი (28), 1:1 ჯეკო (43), 1:2 სილვა (52), 2:2 ჰელგიუსონი (69), 2:3 ი. ტურე (74)

**გაფრთხილება:** ბარტონი - ბალოტელი

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 6-14; **კარში დარტყმა:** 21-18 (5-5); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 18 076

### ვულვერჰემპტონი-უიგანი 3:1

**ვულვერჰემპტონი** (4-5-1): ჰენესი – სტირმენი, ბერა, რ. ჯონსონი, უორდი – ედუარდსი, გუედიოურა (45. ჯერვისი), ჰენრი, ო'ჰარა (84. მილიაში), ჰანტი - დოილი.

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი – ბოისი, ალკარასი, გოჰური, ფიგეროა – დ. ჯონსი (78. მაკარტური), უოტსონი (65. კრუსეტი), დიამე – მოზესი, როდალეგა (78. სემონი), დი სანტო.

**გოლები:** 1:0 ო'ჰარა (31), 1:1 უოტსონი (42), 2:1 ედუარდსი (55), 3:1 უორდი (66)

**ვერ გაიტანა პენალტი:** უოტსონი (42-უიგანი)

**გაფრთხილება:** ჰანტი, ო' ჰარა - ალკარასი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 22-14; **კარში დარტყმა:** 12-13 (11-7); **თამაშგარე:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 23 530

### ბოლტონი-სტოკი 5:0

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი – რაილი (90. ნაითი), უიტერი, გ. კეჰილი, რობინსონი – იგლზი, რიოკოკერი (89. პრეტლი), მუამბა, მ. დევისი – კლასნიჩი (85. თუნჩაი), კ. დევისი.

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი – ჰუთი, ვუდგეიტი, აპსონი, უილკინსონი (68. ჰიგინბოთემი) – პენანტი (68, კ. ჯონსი), უილენი (68. უაიტჰედი), დილეპი, უოლტერსი – კრაუჩი, ჯერომი.

**გოლები:** 1:0 კ. დევისი (2), 2:0 იგლზი (24), 3:0 კლასნიჩი (61), 4:0 იგლზი (73), 5:0 კლასნიჩი (82)

**გაფრთხილება:** უოლტერსი (სტოკი)

**კუთხური:** 12-4; **ჯარიმა:** 11-12; **კარში დარტყმა:** 22-11 (9-3); **თამაშგარე:** 0-2; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 20 028

### ფულჰემი-ტოტენჰემი 1:3

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – გრიგერა (46. კელი), ბეირდი, ჰანგელანდი, რიისე – დაფი (71. რუის გონსალესი), მერფი (76. ეტუჰუ), სიდუელი, დემპსი – დემბელე, ზამორა.

**ტოტენჰემი** (4-4-1-1): ფრიდელი – უოქერი, ქაბული, კინგი, ასუ-ეკოტო – ლენონი (78. სანდრო), პარკერი, მოდრიჩი, ბეილი – ვან დერ ვაარტი (66. დეფო) - ადებაიორი.

**გოლები:** 0:1 ბეილი (10), 0:2 ლენონი (45), 1:2 ქაბული (57 ს.კ.), 1:3 დეფო (90)

**კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 14-6; **კარში დარტყმა:** 20-6 (14-6); **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 25 698

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 11 | 10 | 1 | 0 | 39-10 | 31 |
| 2. იუნაიტედი | 11 | 8 | 2 | 1 | 28-12 | 26 |
| 3. ნიუკასლი | 11 | 7 | 4 | 0 | 17-8 | 25 |
| 4. ჩელსი | 11 | 7 | 1 | 3 | 24-15 | 22 |
| 5. ტოტენჰემი | 10 | 7 | 1 | 2 | 21-15 | 22 |
| 6. ლივერპული | 11 | 5 | 4 | 2 | 14-10 | 19 |
| 7. არსენალი | 11 | 6 | 1 | 4 | 23-21 | 19 |
| 8. ასტონ ვილა | 11 | 3 | 6 | 2 | 16-15 | 15 |
| 9. ნორვიჩი | 11 | 3 | 4 | 4 | 16-18 | 13 |
| 10. სუონსი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 11. ქუინზ პარკი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-20 | 12 |
| 12. სტოკ სიტი | 11 | 3 | 3 | 5 | 8-19 | 12 |
| 13. ვულვზი | 11 | 3 | 2 | 6 | 12-18 | 11 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 2 | 6 | 9-16 | 11 |
| 15. სანდერლენდი | 11 | 2 | 4 | 5 | 14-13 | 10 |
| 16. ფულჰემი | 11 | 2 | 4 | 5 | 14-15 | 10 |
| 17. ევერტონი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-15 | 10 |
| 18. ბოლტონი | 11 | 3 | 0 | 8 | 18-27 | 9 |
| 19. ბლექბერნი | 11 | 1 | 3 | 7 | 13-24 | 6 |
| 20. უიგანი | 11 | 1 | 2 | 8 | 7-20 | 5 |

ბომბარდირები: 11 — ვან პერსი (არსენალი); 10 - ჯეკო (სიტი), 9 — აგუერო (სიტი), რუნი (იუნაიტედი); 8 - ბა (ნიუკასლი).

### ინგლისი. ჩემპიონატი. XV ტური

**ბლექპული-მილუოლი 1:0**

გოლები: 1:0 ფილიპსი (61)

**ბრისტოლი-ბარნლი 3:1**

გოლები: 1:0 პირსონი (42), 1:1 უოლესი (47), 2:1 პიტმენი (61), 3:1 ადომა (73)

**კარდიფი-კრისტალ პალასი 2:0**

გოლები: 1:0 მილერი (69), 2:0 უიტინგემი (80)

**ქოვენთრი-საუთჰემპტონი 2:4**

გოლები: 0:1 ჩეპლოუ (34), 0:2 ლალანა (39), 1:2 იუცკევიჩი (47), 2:2 პლატი (70), 2:3 დო პრადო (77), 2:4 დე რიდერი (85)

**ჰალი-ვესტ ჰემი 0:2**

გოლები: 0:1 ბოლდოკი (49), 0:2 კოლისონი (57)

**იფსვიჩი-დონკასტერი 2:3**

გოლები: 0:1 ე.ჰ. დიუფი (18), 0:2 შარპი (24), 0:3 ე.ჰ. დიუფი (39), 1:3 კერსონი (53), 2:3 ჩოპრა (90)

**პიტერბორო-დერბი 3:2**

გოლები: 0:1 რობინსონი (28), 0:2 რობინსონი (32), 1:2 პ. ტეილორი (37), 2:2 როუი (51), 3:2 მაკკენი (90)

**პორტსმუთი-ნოტინგემი 3:0**

გოლები: 1:0 ჰასელკეპი (45), 2:0 კიტსონი (76), 3:0 ჰასელკაპი (84)

**მიდლსბრო-უოტფორდი 1:0**

გოლები: მაკდონალდი (41)

**ბრაიტონი-ბარნსლი 2:0**

გოლები: 1:0 გრეერი (44), 2:0 ჰერლი (57

**ლესტერი-ლიდსი 0:1**

გოლები: 0:1 კლეიტონი (69)

**რედინგი-ბირმინგემი 1:0**

გოლები: 1:0 ჰანტი (75)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 16 | 11 | 3 | 2 | 37-17 | 36 |
| 2. ვესტ ჰემი | 16 | 9 | 4 | 3 | 28-13 | 31 |
| 3. მიდლსბრო | 16 | 8 | 6 | 2 | 20-12 | 30 |
| 4. კარდიფი | 16 | 7 | 6 | 3 | 29-20 | 27 |
| 5. ბლექპული | 16 | 7 | 4 | 5 | 26-19 | 25 |
| 6. კრ. პალასი | 16 | 7 | 4 | 5 | 18-14 | 25 |
| 7. ლიდსი | 16 | 7 | 4 | 5 | 26-25 | 25 |
| 8. დერბი | 16 | 7 | 3 | 6 | 22-23 | 24 |
| 9. ჰალი | 15 | 7 | 3 | 5 | 14-15 | 24 |
| 10. ბრაიტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 19-17 | 23 |
| 11. პიტერბორო | 16 | 7 | 1 | 8 | 32-29 | 22 |
| 12. ლესტერი | 16 | 6 | 4 | 6 | 20-19 | 22 |
| 13. ბირმინგემი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-14 | 21 |
| 14. რედინგი | 16 | 5 | 6 | 5 | 16-15 | 21 |
| 15. იფსვიჩი | 15 | 6 | 2 | 7 | 21-27 | 20 |
| 16. პორტსმუთი | 16 | 5 | 4 | 7 | 19-18 | 19 |
| 17. მილუოლი | 16 | 4 | 6 | 6 | 19-18 | 18 |
| 18. ბარნლი | 15 | 5 | 3 | 7 | 20-23 | 18 |
| 19. ბარნსლი | 16 | 4 | 6 | 6 | 17-21 | 18 |
| 20. ნოტინგემი | 16 | 5 | 2 | 9 | 15-27 | 17 |
| 21. უოტფორდი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-26 | 16 |
| 22. ბრისტოლ სიტი | 16 | 3 | 4 | 9 | 14-27 | 13 |
| 23. ქოვენთრი | 16 | 2 | 6 | 8 | 13-24 | 12 |
| 24. დონკასტერი | 16 | 3 | 3 | 10 | 13-28 | 12 |

ბომბარდირები: 9 – ლამბერტი (საუთჰემპტონი), მაკკორმაკი (ლიდსი); 8 – ოსტინი (ბარნლი), ჰენდერსონი (მილუოლი), ვუდი (ბირმინგემი).

### პირველი ლიგა. XVII ტური

**ბურნმუთი-სკანთორპი 2:0, ჩარლტონი-პრესტონი 5:2, ჩესტერფილდი-იეოვილი 2:2, ექსეტერი-კერლისლი 0:0, ჰადერსფილდი-უოლსოლი 1:1, ლეიტონი-ჰარტლპული 1:1, მილტონი-როჩდეილი 3:1, ნოთს ქაუნთი-უიკომბი 1:1, ოლდჰემი-ბერი 0:2, შეფილდ უენსდი-ბრენტფორდი 0:0, სტივენიჯი-შეფილდ იუნაიტედი 2:1, ტრანმერი-კოლჩესტერი 0:0.**

### მეორე ლიგა. XVII ტური

**ეკრინგტონი-ბრისტოლი 2:1, უიმბლდონი-ბერნეტი 1:1, ბრედფორდი-ჩელტენჰემი 0:1, ბარტონი-მაკლსფილდი 1:0, ქრუ-თორგუეი 0:3, დაგენჰემი-შრუსბერი 0:2, ჯილინგემი-ნორთემპტონი 4:3, ჰერეფორდი-ქროული 1:1, პლიმუთი-მორკეიმბი 1:1, პორტ ვეილი-სუინდონი 0:2, როტერჰემი-ოლდერშოტი 2:0, საუთენდი-ოქსფორდი 2:1.**

### კონფერენსი. XIX ტური

**ბათი-გრიმსბი 2:2, დარლინგტონი-ტელფორდი 1:0, ფორესტ გრინი-ოლფრეტონი 4:1, გეიტსჰედი-ბრეინტრი 2:2, კეტერინგი-საუთპორტი 2:3, კიდერმინსტერი-ტემუორთი 2:0, ლინკოლნი-ბეროუ 2:1, ლუტონი-ფლიტვუდი 1:2, მენსფილდი-კემბრიჯი 1:2, ნიუპორტი-ებსფლიტი 0:1, სტოკპორტი-ჰეიესი 3:3, იორკი-ვრექსჰემი 0:0.**

### ინგლისი. პრემიერლიგა. XI ტური



# რატომ არის იუბილე ცუდი?

„ოლდ ტრეფორდზე" მთავარი მოვლენა სერ **ალექს ფერგიუსონის** „მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობის ოცდახუთი წლისთავი იყო. ლეგენდარულმა სქოთმა მწვრთნელმა „სანდერლენდთან" 1:0 გამარჯვების შემდეგ თქვა, რომ კლუბმა და გულშემატკივრებმა ძალიან ამაღელვებლად მიულოცეს იუბილე.

*„ასეთ დაფასებას არ ველოდი. მადლობელი ვარ. ჩემმა ასისტენტმა, მაიკ ფილანმა იცოდა განსაკუთრებულ აღნიშვნას რომ მიმზადებდნენ, მაგრამ არ გამაფრთხილა, ამიტომაც სამსახურიდან გავუშვებ"*, — იხუმრა სერ ალექსმა, შემდეგ კი სერიოზულად დასძინა, რომ საიუბილეო ცერემონიალმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელებზე უარყოფითად იმოქმედა, რის გამოც მათ კარგად ველარ ითამაშეს. ფერგის ისევ მის ხელში აღზრდილმა, ოღონდ, ახლა „შავ კატებში" გადასულმა ფეხბურთელმა უშველა — შეხვედრის ერთადერთი გოლი ყოფილმა მანჩესტერელმა, 32 წლის **ვეს ბრაუნმა** საკუთარ კარში შეაგდო. ცნობისათვის: ბრაუნმა „მანჩესტერ იუნაიტედში" 15 წელიწადი გაატარა.

*„როდესაც პირველი ტაიმის ბოლოს, მსაჯის დამატებულ დროში დავწინაურდით, მზად ვიყავი ამ ანგარიშზე იქვე მომეწერა ხელი. მსაჯი შესვენების შემდეგ შეხვედრას თუ არ გააგრძელებდა, კმაყოფილი დავრჩებოდი. მართალია, ჩემმა ბიჭებმა მეორე ტაიმში პირველთან შედარებით უკეთ ითამაშეს, მაგრამ ბოლო 15 წუთი, მაინც ძალიან ძნელი გამოდგა. „სანდერლენდმა" ჩვენს წინააღმდეგ ძალების სრული მობილიზაცია შეძლო. ვფიქრობ, სტუმრებმა შესანიშნავად ითამაშეს. „იუნაიტედის" ფეხბურთელებს კი ძალიან უნდოდათ ჩემთვის პატივი ეცათ, მაგრამ ისინი სწორედ ამან შებოჭა. იუბილეებს ასეთი რამ სჩვევია. მახსოვს, მიუნხენის კატასტროფის 50 წლისთავს რომ აღვნიშნავდით, „მანჩესტერ სიტისთან" 2:0 წავაგეთ"* - განაცხადა პრესკონფერენციაზე ფერგიუსონმა.

ამ შეხვედრაში „შავ კატებს" „იუნაიტედის მეკარე **ანდერს ლინდეგაარდი** მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ, თუმცა 68-ე წუთზე იყო ეპიზოდი, რომელსაც კამათი მოჰყვა: მასპინძლების მცველმა **ფილ ჯონსმა სებასტიან ლარსონის** ჩაწოდებულ ბურთს გზა, თითქოსდა, ხელით გადაუღობა, მაგრამ მსაჯმა **ლი მეისონმა** პენალტი ჯერ დანიშნა და მერე გადათქვა. გადათქმის მიზეზი ის იყო, რომ არბიტრმა საბოლოოდ ჩათვალა, რომ ხელით ჯონსმა კი არა, „სანდერლენდის" კორეელმა **ჯი დონგ-ვონმა** ითამაშა. ფერგიუსონმა თქვა:

*„თავიდან, როდესაც მსაჯი პენალტის დანიშვნას აპირებდა, თვალებს არ ვუჯერებდი, რადგან ჩემი ადგილიდან აშკარად დავინახე, რომ ხელით „სანდერლენდის" კორეელმა ბიჭმა ითამაშა. ამ ეპიზოდში თანამსაჯი ჯეიკ კოლინი ცდებოდა, მან ანიშნა მეისონს ალმით პენალტი დანიშნეო, მაგრამ, საბედნიეროდ, არბიტრმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო".*

ლიდერმა „მანჩესტერ სიტიმ" ლონდონში პრემიერლიგის ახალწვეულ „ქუინზ პარკ რეინჯერსთან" ითამაშა და მოიგო, მაგრამ თავიდან მოვლენათა უცხო განვითარებას გაუგო გემო — „ლოფტას როუდზე" აგებდა. გადამწყვეტი გოლი **იაია ტურემ** გაიტანა.

*„ძნელი თამაში გამოდგა, მაგრამ საბედნიეროდ ის ჩვენი გამარჯვებით დასრულდა,* - თქვა მატჩის შემდეგ ისტლენდელთა ერთ-ერთმა მთავარმა ბომბარდირმა, ამ შეხვედრაში „სიტის" პირველი გოლის ავტორმა **ედინ ჯეკომ** — *მინდა, „ქუინზ პარკ რეინჯერსი" შევაქო. გადაჭარბების გარეშე გეტყვით, რომ მიმდინარე სეზონში ასეთი ძლიერი გუნდი არ შეგვხვედრია. მათი საუცხოო თამაშის შემყურე გაოცებული დავრჩი".*

სამი ქულით კმაყოფილი დარჩა ისტლენდელთა მწვრთნელი **რობერტო მანჩინიც**: *„როდესაც ყოველ სამ დღეში ერთხელ თამაში გიხდება, გასაკვირი არ არის, რომ ხანდახან გაგიჭირდება. „რეინჯერსსაც" არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება, მასპინძლებმა შესანიშნავად ითამაშეს, მაგრამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა და ამან გამახარა".*

„ჩელსიმ" კი **ფრანკ ლემპარდის** წარმატებული თავურის წყალობით ბლექბერნში სამი ქულა მოიპოვა. შეხვედრის შემდეგ „ლურჯების" თავკაცმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** განაცხადა:

*„ჩემპიონატის სანაკრებო წყვეტამდე დადებითი ემოცია, სტიმული გვჭირდებოდა და ძალიან მიხარია, რომ „ბლექბერნის" დამარცხება შევძელით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გოლი არ გაგვიშვია. რთული თამაში კი იყო, მაგრამ საბოლოოდ ჩვენთვის კარგად დასრულდა".*

„ნიუკასლმა" „ევერტონს" მოუგო 2:1. „კაჭკაჭებს" აგერ უკვე 11 თამაშია არ წაუგიათ. მასპინძელთა ორი გოლიდან განსაკუთრებით ლამაზი მეორე იყო: **რაიან ტეილორმა** ეფექტური დარტყმით მოუტანა თავისიანებს გამარჯვება. აღსანიშნავია ისიც, რომ „სენტ ჯეიმს პარკზე" ამ სეზონში სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი იჯდა. სტატისტიკოსები ამბობენ, სეზონის ასეთი წარმატებული დასაწყისი „კაჭკაჭებს" 1950-51 და 1994-95 წლების შემდეგ არ ჰქონიათ.

„ლივერპულმა" „სუონსის" უმასპინძლა და ვერ მოუგო — **ენდი ქეროლმა** პირველ ტაიმში მეტისმეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. ბედის ირონიით მერსისაიდელებმა ეს უკვე ზედიზედ მეორედ ვერ მოუგეს პრემიერლიგაში ახალაღზევებულ გუნდს. ორივე შეხვედრაში მათ ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვაგლახ. ქეროლის ეპიზოდი კი გულშემატკივარს კიდევ კარგა ხანს ემახსოვრება.

*„პირველ ტაიმში რომელიმე საგოლე შესაძლებლობა რომ გამოგვეყენებინა, თამაში სულ სხვანაირად გავითარდებოდა და შედეგიც სხვა იქნებოდა, მაგრამ ეს უსაგნო ლაპარაკია. სინამდვილეში რაც მოხდა, ყველამ ნახა"* — თქვა მატჩის შემდეგ „ლივერპულის" მწვრთნელმა **კენი დალგლიშმა**.

გამოცოცხლებულმა „არსენალმა" კი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" გამოიჭირა და შინ 3:0 მოუგო. ამ შეხვედრაში „მეთოფეთა" გულშემატკივრებმა კიდევ ერთხელ ნახეს გუნდის ჰოლანდიელი ლიდერის **რობინ ვან პერსის** შესანიშნავი თამაში. ეს გახლდათ ჩრდილოლონდონელთა მეოთხასე გამარჯვება პრემიერლიგაში. მატჩის შემდეგ „არსენალის" მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** თქვა:

*„ვერ გეტყვით, „მეთოფეთა" ისტორიის უდიდესი ვარსკვლავების სიაში ვან პერსი რომელ ადგილს იკავებს, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ის მსოფლიო კლასის ფეხბურთელია. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში გერმანელები ჰყოფდნენ თავიანთ ფეხბურთელებს ეროვნული, საერთაშორისო და მსოფლიო კლასის მოთამაშეებად და მსოფლიო კლასში სულ ოთხი-ხუთს თუ ახვედრებდნენ. მე ვან პერსის ამ კალიბრს მივაკუთნებდი".*

„ასტონ ვილამ" „ნორვიჩს 3:2 მოუგო. ამ შეხვედრაში ბირმინგემელთა ფორვარდებმა **დარენ ბენტმა** და **გებრიელ აგბონლაჰორმა** გამოიჩინეს თავი და ინგლისის ნაკრებში რეგულარულად თამაშისკენ გადადგეს ნაბიჯი.

კვირას „ვულვზმა" ნავსიან პერიოდს წერტილი დაუსვა — „მგლებს" ზედიზედ რვა შეხვედრიდან ერთიც არ მოეგოთ. მეორე მხრივ, „უიგანთან" გამარჯვება, თუნდაც 3:1, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გუნდმა კრიზისი დაძლია. რატომ? ჩახედეთ ცხრილს, რიცხვები ყველაფერზე ნათლად მეტყველებენ.

ბოლტონელებმა **კრის იგლზმა** და **ივან კლასნიჩმა** კი ორ-ორი გოლი გაიტანეს, რასაც სათავე საკმაოდ საკამათო გოლით **კევინ დევისმა** დაუდო — ასე დამარცხდა „სტოკ სიტი" 5:0. საინტერესოა, რომ ეს ბოლტონელთათვის შურისძიება გახლდათ. გასულ სეზონში, ამავე გუნდების შეხვედრაში, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში, ზუსტად ასეთი ანგარიშით „სტოკმა" გაიმარჯვა. მას მერე, გუშინდლამდე, „ბოლტონმა" პრემიერლიგის 16 შეხვედრიდან 13 წააგო...

„ტოტენჰემმა" გულზე ნაოპერაციები მწვრთნელის, **ჰარი რედნაპის** არყოფნა არ დაიტყო და ლონდონურ დერბიში „ფულჰემს" 3:1 მოუგო. ეს გახლდათ „დეზების" მეშვიდე გამარჯვება ბოლო რვა შეხვედრაში.

### მომდევნო ტური

**19 ნოემბერი. ნორვიჩი-არსენალი, ევერტონი-ვულვერჰემპტონი, მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი, სტოკი-ქუინზ პარკი, სანდერლენდი-ფულჰემი, ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი, უიგანი-ბლექბერნი, სუონსი-მანჩესტერ იუნაიტედი;**

**20 ნოემბერი. ჩელსი-ლივერპული; 21 ნოემბერი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა.**

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

# უცხოური ფეხბურთი

## პალერმო-ბოლონია 3:1

**პალერმო (4-3-2-1):** ცორვასი - პიზანო, სილვესტრი, ჩეტო, ბალცარეტი – ასკუა, ზაჰავი (63. ბარეტო), მილიაჩო - ბაჩინოვიჩი (76. აგუირეგარაი), ილიჩიჩი - ერნანდესი (20. ვარელა).

**ბოლონია (4-3-2-1):** ჟილე – რაჯი (58. გარიჩი), ჩერუბინი, ლორია, მორლეო – პერესი, მუდინგაი (68. პულცეტი), კონე – აკვაფრესკა (68. ხიმენესი), რამირესი – დი ვაიო.

**გოლები:** 1:0 ზაჰავი (13), 2:0 სილვესტრი (52), 3:0 ილიჩიჩი (74), 3:1 რამირესი (88).

**გაფრთხილება:** ბალცარეტი, მილიაჩო, აგუირეგარაი - მორლეო, პერესი.

**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11(6)-7(6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 23 000

## ნოვარა-რომა 0:2

**ნოვარა (4-3-1-2):** ფონტანა – მორგანელა, პაჩი, ჩენტურიონი, ჯემიტი – მარიანინი (74. ჯედა), პორკარი, რიგონი – მაძარანი (52. პინარდი) – მორიმოტო (61. ჯორჯი), მეჯორინი.

**რომა (4-3-1-2):** სტეკელენბურგი – კასეტი, ბურდისო, როზი (78. ანხელი), ტადეი – გაგო, დე როსი, გრეკო (61. ბოიანი) – პიანიჩი (86. პეროტა) - ლამელა, ოსვალდო.

**გოლები:** 0:1 ბოიანი (72), 0:2 ოსვალდო (75).

**გაფრთხილება:** პაჩი, პორკარი - კასეტი, პიანიჩი.

**კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 9-2; **კარში დარტყმა:** 7(2)-18(9); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 11 000

## მილანი-კატანია 4:0

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ბონერა (46. იეპესი), ტიაგო სილვა, ძამბროტა – ამბროზინი, ზეედორფი (79. ანტონინი), აკვილანი – ემანუელსონი – რობინიო (79. ინძაგი), იბრაჰიმოვიჩი.

**კატანია (4-4-2):** ანდუხარი – სპოლი, ბელუში, ლეგროტალიე, ლანცაფამე (63. მაქსი ლოპესი) – ალმირონი, ლოდი (79. დელ ვეკიო), რიკიუტი (52. ბარიენტოსი), მარკეზე – ბერგესიო, გომესი.

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (7-პენ.), 2:0 რობინიო (24), 3:0 ლოდი (69-საკ. კარში), 4:0 ძამბროტა (72).

**გაფრთხილება:** აბატე, ბონერა - იბრაჰიმოვიჩი.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17(10)-9(6); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 56 000

## ატალანტა-კალიარი 1:0

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო (90. ფერი), კაპელი, ლუკინი, პელუზო – კარმონა, ჩიგარინი, შელოტო, ბონავენტურა (82. პეტინარი) – მორალესი (71. მარილუნგო) – დენისი.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პერიკო, კანინი, არიაუდო, აგოსტინი – ბიონდინი (89. ეკდალი), კონტი, ნაინგოლანი – კოსუ (83. იბარბო) - რიბეირო (86. ლარივეი), ნენე.

**გოლი:** 1:0 დენისი (80).

**გაფრთხილება:** მაზიელო, პელუზო, ჩიგარინი - ბიონდინი, კონტი.

**კუთხური:** 1-6; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 9(3)-9(6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 21 000

## ჩეზენა-ლეჩე 0:1

**ჩეზენა (4-4-1-1):** ანტონიოლი – კომოტო (76. ლივაია), ფონ ბერგენი, ლაურო, როდრიგესი – კანდრევა, ჩეკარელი, გეზალი (14. ჯოკოვიჩი - 60. ბოგდანი), პაროლო - ედერი - მუტუ.

**ლეჩე (4-3-3):** ბენასი – ოდო, კაროციერი, ესპოზიტო, ტომოვიჩი – შტრასერი, კუადრადო (89. ჯანდონატო), გროსმიულერი – ოლივერა (79. ბრივიო), მურიელი, ბერტოლაჩი (57. ჯაკომაცი).

**გოლი:** 0:1 კუადრადო (56).

**გაფრთხილება:** პაროლო - კაროციერი.

**გაძევება:** მურიელი (59).

**კუთხური:** 21-2; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16(6)-8(2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 14 000

## კიევო-ფიორენტინა 1:0

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, ანდრეოლი, მანდელი, დრამე – ბრედლი, რიგონი, ლუჩანო (72. ჰეტემაი) – სამარკო – პელისიერი (84. ვაჩეკი), მოსკარდელი (75. თერეუ).

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – კასანი (23. დე სილვესტრი), გამბერინი, ნატალი (60. ნასტასიჩი), პასკუალი – ბეჰრამი (26. ბეჰრამი), მონტოლივო, ლაძარი – რომულო, ჯილარდინო, იოვეტიჩი.

**გოლი:** 1:0 რიგონი (66).

**გაფრთხილება:** დრამე - ნატალი, ლაძარი, იოვეტიჩი.

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 10(3)-10(2); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 11 000

## ლაციო-პარმა 1:0

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – კონკო, დიაკიტე, დიასი, რადუ – ლულიჩი (46. სკული), ბროკი, ლედესმა - ერნანესი (76. გონსალესი) - სისე (83. კოზაკი), კლოზე.

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, გობი – ბიაბიანი, მორონე, გალოპა (79. ბლაზი), მოდესტო (87. ვალდესი) – ჯოვინკო (47. ვალიანი) – პელე.

**გოლი:** 1:0 სკული (84).

**გაფრთხილება:** რადუ - მორონე.

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 8(6)-5(2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 37 000

## უდინეზე-სიენა 2:1

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი – ბასტა (75. აბდი), პინცი (83. ბადუ), ისლა, ასამოა, არმერო – დი ნატალე, ფლორო ფლორესი (83. ეკსტრანდი).

**სიენა (4-4-2):** ბრკიჩი – ვიტიელო, როსეტინი, ტერცი, დელ გროსო – მანინი (53. რეჯინალდო), გაცი (61. ბოლცონი), დაგოსტინო, ბრიენცა – კალაიო, დესტრო (70. გონსალესი).

**გოლები:** 1:0 ბასტა (1), 2:0 დი ნატალე (64), 2:1 ბოლცონი (77).

**გაფრთხილება:** ბრიენცა, კალაიო (სიენა).

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 12(7)-15(6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 15 000

**ჯენოა-ინტერი** გადაიდო

**ნაპოლი-იუვენტუსი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 10 | 6 | 3 | 1 | 13-4 | 21 |
| 2. ლაციო | 10 | 6 | 3 | 1 | 16-8 | 21 |
| 3. მილანი | 10 | 6 | 2 | 2 | 23-14 | 20 |
| 4. იუვენტუსი | 9 | 5 | 4 | 0 | 15-7 | 19 |
| 5. პალერმო | 10 | 5 | 1 | 4 | 14-12 | 16 |
| 6. ნაპოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-7 | 14 |
| 7. რომა | 10 | 4 | 2 | 4 | 13-11 | 14 |
| 8. კატანია | 10 | 3 | 5 | 2 | 12-16 | 14 |
| 9. სიენა | 10 | 3 | 4 | 3 | 12-8 | 13 |
| 10. კალიარი | 10 | 3 | 4 | 3 | 9-10 | 13 |
| 11. ჯენოა | 9 | 3 | 3 | 3 | 13-12 | 12 |
| 12. ატალანტა | 10 | 5 | 3 | 2 | 13-12 | 12 |
| 13. ფიორენტინა | 10 | 3 | 3 | 4 | 10-9 | 12 |
| 14. კიევო | 10 | 3 | 3 | 4 | 8-11 | 12 |
| 15. პარმა | 10 | 4 | 0 | 6 | 12-18 | 12 |
| 16. ბოლონია | 10 | 3 | 1 | 6 | 9-16 | 10 |
| 17. ინტერი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-16 | 8 |
| 18. ლეჩე | 10 | 2 | 2 | 6 | 8-16 | 8 |
| 19. ნოვარა | 10 | 1 | 4 | 5 | 12-19 | 7 |
| 20. ჩეზენა | 10 | 0 | 3 | 7 | 3-13 | 3 |

შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა

**ბომბარდირები:** 8 - დი ნატალე (უდინეზე); 7 - დენისი (ატალანტა); 6 - ჯოვინკო (პარმა).

## სერია B

XIV ტური

**ასკოლი-ჩიტადელა** 0:1

**გოლი:** 0:1 რობერტო (35-პენ.).

**კროტონე-რეჯინა** 1:1

**გოლები:** 0:1 მისიროლი (32), 1:1 ჩანო (66).

**ემპოლი-ალბინოლეფე** 0:0

**ლივორნო-პესკარა** 3:1

**გოლები:** 0:1 კაშონე (21), 1:1 პაულინიო (24), 2:1 პაულინიო (37), 3:1 ბარონე (60).

**ნოჩერიუნა-გროსეტო** 1:2

**გოლები:** 1:0 კასტალდო (11), 1:1 მანჩინო (40), 1:2 კონსონი (59).

**პადოვა-იუვე სტაბია** 2:2

**გოლები:** 1:0 კაჩა (39), 1:1 მბაკოგუ (51), 2:1 იტალიანო (58-პენ.), 2:2 საუ (75).

**სასუოლო-ტორინო** 0:0

**ვარეზე-მოდენა** 0:0

**ვიჩენცა-გუბიო** 3:1

**გოლები:** 1:0 აბრუსკატო (28-პენ.), 1:1 გრაფიედი (40), 2:1 აბრუსკატო (59-პენ.), 3:1 აბრუსკატო (76).

**ბარი-ვერონა** დღეს

**ბრეშა-სამპდორია** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორინო | 14 | 10 | 3 | 1 | 18-7 | 33 |
| 2. პესკარა | 14 | 9 | 1 | 4 | 33-22 | 28 |
| 3. სასუოლო | 14 | 8 | 4 | 2 | 19-9 | 28 |
| 4. რეჯინა | 14 | 7 | 3 | 4 | 28-17 | 24 |
| 5. პადოვა | 14 | 8 | 3 | 3 | 24-17 | 27 |
| 6. სამპდორია | 13 | 5 | 6 | 2 | 23-13 | 21 |
| 7. ვარეზე | 14 | 5 | 4 | 5 | 14-14 | 19 |
| 8. გროსეტო | 14 | 5 | 5 | 4 | 17-14 | 20 |
| 9. ბარი | 13 | 6 | 2 | 5 | 11-12 | 20 |
| 10. ლივორნო | 14 | 5 | 4 | 5 | 16-11 | 19 |
| 11. ვერონა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-17 | 19 |
| 12. ბრეშია | 13 | 4 | 4 | 5 | 12-16 | 16 |
| 13. კროტონე | 14 | 4 | 5 | 5 | 14-17 | 16 |
| 14. ჩიტადელა | 14 | 5 | 2 | 7 | 15-19 | 17 |
| 15. ნოჩერინა | 14 | 3 | 4 | 7 | 19-22 | 13 |
| 16. მოდენა | 14 | 3 | 5 | 6 | 13-22 | 14 |
| 17. გუბიო | 14 | 3 | 5 | 6 | 14-25 | 14 |
| 18. იუვე სტაბია | 14 | 6 | 2 | 6 | 17-19 | 14 |
| 19. ვიჩენცა | 14 | 3 | 4 | 7 | 15-21 | 13 |
| 20. ალბინოლეფე | 14 | 4 | 2 | 8 | 17-27 | 14 |
| 21. ემპოლი | 14 | 3 | 3 | 8 | 17-23 | 12 |
| 22. ასკოლი | 14 | 2 | 3 | 9 | 14-23 | -1 |

*შენიშვნა: ასკოლი - 10 ქულა, იუვე სტაბია - 6 ქულა, კროტონე - 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 9 - აბრუსკატო (ვიჩენცა), სანსოვინი (პესკარა), ტავანო (ემპოლი); 8 - იმობილე (პესკარა).

## ლეგა პრო 1/A

აველინო-რეჯანა 2:0, კარპი-ფოჯა 3:2, ფოლინო-პიზა 0:2, ლუმეცანე-მონცა 0:0, პავია-პრო ვერჩელი 1:2, სპალ-ტერნანა 0:0, ტარანტო-კომო 3:1, ტრიტიუმი-ბენევენტო 2:1, ვიარეჯო-სორენტო 2:2..

## ლეგა პრო 1/B

ლანჩანო-ლატინა 2:1, ფერალპიზალო-სპეცია 1:1, პერგოკრემა-ტრაპანი 0:5, პორტოგრუარო-ბარლეტა 1:1, პრატო-კარარეზე 1:1, სირაკუზა-პიაჩენცა 3:0, ტრიესტინა-სუდტიროლი 1:2, ფროზინონე-კრემონეზე დღეს.

● *იტალია. სერია A. XI ტური*

# შეუჩერებელი მილანი და რომა ბარსას სტილში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გენუასა და ნეაპოლში არ ეფეხბურთებოდათ



გასულ უქმეებზე, სერია A-ს XI ტურის რვა შეხვედრა გაიმართა, დარჩენილი ორი კი კოკისპირული წვიმების გამო გადაიდო... დიახ, გადაუღებელმა წვიმებმა რამდენიმე ქალაქში მდინარეები აადიდა, რასაც მსხვერპლიც კი მოჰყვა - მაგალითად, გენუაში შვიდი ადამიანი გარდაიცვალა, ორი იმდენი კი დღემდე იძებნება; მოკლედ, ამ ქალაქში ფეხბურთისთვის ნამდვილად არ ეცალათ და სრულიად ბუნებრივია, რომ „ჯენოა“ „ინტერის“ შეხვედრა გადაიდო. ანალოგიური რამ მოხდა ნეაპოლშიც, სადაც „იუვენტუსი“ ჩადიოდა და შესაბამისად, ტურის ცენტრალური შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო. მილიონერთა ქალაქში წვიმას წყალდიდობა და მსხვერპლი არ მოჰყოლია - ამიტომ, „სტადიო სან პაოლოს“ ადმინისტრაცია ბევრს ეცადა შეხვედრა დათქმულ დროის დაწყებულიყო, მაგრამ გუშინ დილით ცხადი გახდა, რომ მინდორზე ბურთის გორება შეუძლებელი იქნებოდა. მოკლედ, ორი მეტად საინტერესო შეხვედრა გადაიდო და სავარაუდოდ, რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა 14 დეკემბერს გაიმართება. ახალ წლამდე სწორედ ეს თარილია თავისუფალი.

დროა იმ მატჩებზე ვთქვათ, რომლებიც გაიმართა და თავდაპირველად მილანში გადავინაცვლოთ, სადაც **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა „კატანია“ მიიღო და მეტოქე გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა, 4:0. თქმა არ სჭირდება, რომ მთელი შეხვედრა მასპინძელთა სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, ანგარიში კი შეიძლებოდა უფრო დიდიც ყოფილიყო. პირველი გოლი **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ანგარიშზეა, რომელმაც **რობინიოს** მიერ მოპოვებული თერთმეტმეტრიანი აქცია გოლად. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელმა მთელი თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატარა და გოლიც ერთობ ეფექტური გამოუვიდა - პირველი ტაიმის შუაწელი იყო, როდესაც რობინიომ ბურთი მარცხენა ფრთაზე მიიღო, ორ მცველს გვერდი ეფექტურად აუარა და მოჭრილი დარტყმით სიცილიელთა კიპერი უშანსოდ დატოვა. მესამე გოლი კუნძულელებმა საკუთარ კარში გაიტანეს, მეოთხე კი **ჯანლუკა ძამბროტაზე** მოდის, რომელმაც მეკარის მიერ საჯარიმო დარტყმის შემდეგ უკუგდებულ ბურთს მიუსწრო და ბადეში გაახვია.

გამარჯვება მილანელებმა **ანტონიო კასანოს** მიუძღვნეს, რაზეც მასიმილიანო ალეგრის სიტყვები ნათლად მეტყველებს: *„შესანიშნავი შეხვედრა ჩავატარეთ და შეგირდებით მთლიანად კმაყოფილი ვარ. ყველა რგოლი კარგი იყო და თუ ასე გავაგრძელეთ, ძალიან მალე ჩავუდგებით სატურნირო ცხრილს სათავეში. ბუნებრივია, გამარჯვება ანტონიო კასანოს ეძღვნება, რომელსაც დღეს ყველაზე მეტად სჭირდება გვერდში დგომა. საბედნიეროდ, ოპერაციამ კარგად ჩაიარა, ანტონიო უკვე გამოწერეს, სახლშია და თავს გაცილებით უკეთესად გრძნობს. მოკლედ, ძალიან კარგი დღე იყო, რისთვისაც მინდა თითოეულ ფეხბურთელს მადლობა გადავუხადო“.*

სატურნირო ცხრილს „უდინეზე“ უდგას სათავეში და ამ გუნდის შესახებ აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მოკლედ, არის **ანტონიო დი ნატალე** და არის გამარჯვებებიც - ტოტომ მორიგი გოლი მიითვალა აქტივში, ამჯერად „სიენას“ კიპერი დაამწუხრა და გუნდს მორიგი სამი ქულის მოპოვებაში დაეხმარება. შუა კვირაში, უდინელები ევროპის ლიგაზე შერცხვნენ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ და სარეაბილიტაციოდ ჰქონდათ საქმე - სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ნამატჩევს **ფრანჩესკო გვიდოლინმა:**

*„ძალიან გვრცხვენია იმის გამო, რაც მადრიდში მოხდა, ამიტომ, „სიენას“ მთელი ძალებით შევუტიეთ და საბედნიეროდ, სამი ქულის მოპოვება შევძელით. მართალია, ყველაფერი არ გამოგვივიდა, რაც გვინდოდა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ. ცხრილში ლიდერის პოზიციაზე ყოფნა ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და ჯერ ძალიან ადრეა დასკვნების გამოტანა“.*

მოიგო „ლაციომაც“ და „უდინეზეს“ მსგავსად 21 ქულას მოუყარა თავი. რომაელებმა საკუთარ მოედანზე კერკეტ „პარმას“ უმასპინძლეს და მეტოქეს ერთი უპასუხო ბურთი გაუტანეს. შეხვედრის გმირი **ჯუზეპე სკული** გახლავთ, რომელიც მეორე ნახევრის სტარტზევე გამოჩნდა მოედანზე და თამაშის მიწურულს გამარჯვების გოლი გაიტანა. სკულის გოლმა აღფრთოვანებაში მოიყვანა „ოლიმპიკოზე“ შეკრებილი გულშემატკივრები, ნამატჩევს კი **ედუარდო რეიამ** სწორედ ტიფოზებს გადაუხადა მადლობა - რომ არა მათი მხარდაჭერა, სამ ქულას ნამდვილად ვერ ავიღებდითო.

მოიგო მეორე რომაულმა გუნდმაც, თანაც გასვლაზე „ნოვარასთან“. **ლუის ენრიკეს** გუნდი მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა საგრძნობ უპირატესობას, მეორე ტაიმიდან კი ფაქტობრივად შტურმზე გადავიდა, რაც დაფასდა კიდეც ორი გოლით. შეხვედრის გმირი **ბოიან კრკიჩია**, რომელიც სკულის მსგავსად შეცვლაზე შევიდა თამაშში და გახსნა კიდეც ანგარიში - 72-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ესპანელი მარცხენა ფრთიდან მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, **პიანიჩისგან** შესანიშნავი პასი მიიღო და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარის ჩარჩოში. სამიოდე წუთში თავი **პაბლო ოსვალდომაც** გამოიჩინა და ნათელი გახდა, რომ ამ თამაშს სტუმრები მოიგებდნენ. ასეც მოხდა, 2:0 „ჯალოროსის“ სასარგებლოდ და უზომოდ კმაყოფილი ლუის ენრიკე, რომელიც რომში ჩასვლის დღიდან იმეორებს, რომ გუნდში თავისი საფეხბურთო ფილოსოფია უნდა დანერგოს. მატჩის შემდეგ ესპანელი სწორედ ამაზე საუბრობდა:

*„მთელი შეხვედრა ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით, ეს კი ის გახლავთ, რისკენაც პირველი ვარჯიშიდან მივისწრაფი. თუ ასე გავაგრძელეთ, შედეგებიც მოვა და სატურნირო ცხრილშიც გაცილებით მაღლა დავიკავებთ ადგილს. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით ცხრილს არც ვუყურებ, მიზნად კი ერთი რამ მაქვს დასახული - ისეთი „რომა“ ვიხილო, როგორიც ჩვენი გუნდის ნებისმიერ გულშემატკივარს გაეხარდება“.*

აქვე აღვნიშნოთ, რომ „ფიორენტინამ“ ვერაფრით მიაღწია სტაბილურობას და რამდენიმე კარგად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, ვერონაში მარცხი განიცადა. ნაგება წაგებად და **სინიშა მიხაილოვიჩის** შეგირდებმა ვერაფერი ფეხბურთი აჩვენეს, რითიც სიყვარულის ქალაქში ჩასული ფლორენციელი ტიფოზების აგრესია დაიმსახურეს. დიახ, მატჩის შემდეგ, გულშემატკივრებმა „ვიოლა“ სტვენით გააცილეს, ამასთან სერბ სპეციალისტს გადადგომისკენ მოუწოდეს.

წყალწალებულმა „ჩეზენამ“ საკუთარ მოედანზე „ლეჩესთანაც“ წააგო და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ჩემპიონატის უმთავარესი აუტსაიდერია. სერია A-ს მიმდინარე გათამაშების დაწყებიდან ჯერ მხოლოდ 10 ტურია გასული და ბევრმა „ბიანკონერი“ უკვე ჩამოწერა კიდეც. ბოლოს „ატალანტას“ შესახებ ვთქვათ, რომელმაც მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ამჯერად, „კალიარი“ გააკრა ბეჭებზე. ერთადერთი, ანუ გამარჯვების გოლი **ხერმან დენისის** ანგარიშზეა, რომელიც ჩემპიონატის ბომბარდირთა „რბოლაში“ მონაწილეობს.

### მომდევნო ტური

**19 ნოემბერი:** ინტერი-კალიარი, ნაპოლი-ლაციო, ფიორენტინა-მილანი;

**20 ნოემბერი:** ბოლონია-ჩეზენა, კატანია-კიევო, ჯენოა-ნოვარა, პარმა-უდინეზე, იუვენტუსი-პალერმო, სიენა-ატალანტა, რომა-ლეჩე.

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა წიკლაურმა**

## ჰოლანდია. ერედივიზიონი.

XII ტური

**ვენლო-ექსელსიორი** 0:0

**ბრედა-ვიტესი** 1:0

**გოლი:** 1:0 გორტერი (45-პენ.).

**ვაალვიკი-გრონინგენი** 1:1

**გოლები:** 1:0 დუიტსი (17), 1:1 ანდერსონი (77).

**როდა-ჰეერენვეენი** 1:2

**გოლები:** 0:1 ასაიდი (43), 0:2 ჯურიჩიჩი (49), 1:2 ვუკოვიჩი (55).

**ფეიენოორდი-ნიიმეგენი** 0:1

**გოლი:** 0:1 ფელდენი (7).

**უტრეხტი-აიაქსი** 6:4

**გოლები:** 0:1 ბულიკინი (6), 1:1 აზანე (16), 2:1 დუპლანი (20), 2:2 ოსიერი (32), 2:3 ბულიკინი (41), 3:3 ბოვენბერგი (49), 4:3 მულენგა (52), 5:3 აზარე (54), 5:4 ერიკსენი (72), 6:4 კალი (90).

**ალკმაარი-დენ ჰააგი** 3:0

**გოლები:** 1:0 ჰოლმანი (11), 2:0 მაჰერი (64), 3:0 ალტიდორი (82).

**ტვენტე-დე გრააფსხაპი** 4:0

**გოლები:** 1:0 ვისგერჰოფი (40), 2:0 იონგი (59), 3:0 ჯონი (62), 4:0 ფერი (84).

**პსვ-ჰერაკლესი** 4:1

**გოლები:** 0:1 ლინდენი (13), 1:1 ტოივონენი (49), 2:1 ლენსი (58), 3:1 ლენსი (63), 4:1 ლენსი (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 12 | 10 | 1 | 1 | 28:8 | 31 |
| 2. ტვენტე | 12 | 7 | 4 | 1 | 32:12 | 25 |
| 3. პსვ | 12 | 7 | 4 | 1 | 33:14 | 25 |
| 4. ვიტესი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:12 | 21 |
| 5. აიაქსი | 12 | 5 | 5 | 2 | 32:20 | 20 |
| 6. ჰეერენვეენი | 12 | 5 | 5 | 2 | 25:19 | 20 |
| 7. გრონინგენი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:18 | 18 |
| 8. ფეიენოორდი | 12 | 5 | 3 | 4 | 21:17 | 18 |
| 9. ჰერაკლესი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:19 | 16 |
| 10. ბრედა | 12 | 5 | 1 | 6 | 18:19 | 16 |
| 11. უტრეხტი | 12 | 4 | 3 | 5 | 22:22 | 15 |
| 12. ვაალვიკი | 12 | 4 | 2 | 6 | 12:19 | 14 |
| 13. ნიიმეგენი | 12 | 4 | 1 | 7 | 11:17 | 13 |
| 14. დენ ჰააგი | 12 | 4 | 1 | 7 | 14:24 | 13 |
| 15. როდა | 12 | 4 | 0 | 8 | 15:33 | 12 |
| 16. დე გრააფსხაპი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:26 | 9 |
| 17. ვენლო | 12 | 1 | 4 | 7 | 12:29 | 7 |
| 18. ექსელსიორი | 12 | 1 | 3 | 8 | 7:24 | 6 |

**ბომბარდირები:** 11 – მერტენსი (ეინდჰოვენი); 10 - იანკო (ტვენტე); 8 - დოსტი (ჰეერენვეენი), ბონი (ვიტესი).

ქართული ბიბლიოთეკა

## მაინცი–შტუტგარტი 3:1

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო – პოსპეხი, ბუნგერტი, კირხჰოფი, კალიჯური – პოლანსკი – ბაუმგარტლინგერი, სოტო – ივანშიტცი (74. ჩუპო-მოტინგი) – ნ. მიულერი (82. მალი/87. ფათი), უჯა.

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – ბულარუზი, ტასკი, მასა, მოლინარო (66. ტრაორე) – კვისტი, კუზმანოვიჩი – ჰარნიკი, ჰაინალი (82. გებჰარდტი), ოკაზაკი (64. ჰემლაინი) – კაკაუ.

**გოლები:** 0:1 კაკაუ (50), 1:1 უჯა (53), 2:1 ივანშიტცი (60-პენ), 3:1 უჯა (64)

**გაფრთხილება:** ნ. მიულერი, ივანშიტცი – ოკაზაკი, ულრაიხი

**გაძევება:** პოლანსკი (83) – მასა (94)

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15(9)-18(7); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 34 000

## ბორუსია (დ)–ვოლფსბურგი 5:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი (46. ფელიპე სანტანა), ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, ლაიტნერი (71. კელი) – გიოტცე, კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი (74. ბარიოსი).

**ვოლფსბურგი (4-1-3-2):** ბენალიო – სალიჰამიჯიჩი, კრისი, კირიაკოსი, მ. შეფერი – ჟოსუე – ოხსი (56. იონსონი), ტრეში, პოლაკი (40. ჰლები) – დეჟაგა, მანჯუკიჩი.

**გოლები:** 1:0 გიოტცე (12), 2:0 კაგავა (45), 2:1 ჰლები (59), 3:1 ს. ბენდერი (61), 4:1 ლევანდოვსკი (66), 5:1 გიოტცე (78)

**გაფრთხილება:** გროსკროიტცი – პოლაკი, ტრეში, კრისი, სალიჰამიჯიჩი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 21(11)-6(3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 80 720

## ვერდერი–კიოლნი 3:2

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – სოკრატისი, პრიოდლი, ნალდო, შმიტცი (37. ბარგფრედე) – ოგნიოვსკი – ფრიტცი, ჰანტი – ექიჩი (37. როზენბერგი) – არნაუტოვიჩი (79. ვაგნერი), პისარო.

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი – ბრეჩკო, სერენო, ჯემალი, აიხნერი – ლანიგი, რიტერი – კლემენსი (55. ჟერომელი), ჟაჟალო (67. პეცონი), პეჟკო (72. მატუშიკი) – პოდოლსკი.

**გოლები:** 0:1 კლემენსი (3), 0:2 პოდოლსკი (45), 1:2 პისარო (49), 2:2 პისარო (54-პენ), 3:2 პისარო (86)

**გაფრთხილება:** სოკრატისი, ფრიტცი, ბარგფრედე – რიტერი, რენზინგი, ლანიგი

**გაძევება:** სერენო (53. კიოლნი)

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 8-4; **კარში დარტყმა:** 29(7)-5(4); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 41 500

## ნიურნბერგი–ფრაიბურგი 1:2

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი (46. შტეფანი) – ჩანდლერი, ვოლშაიდი, კლოზე, პინოლა – სიმონსი, ფოილნერი (66. ჰეგელერი) – აიგლერი, ფრანტცი (74. დიდავი), ესვაინი – პეკჰარტი.

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი – ჰინკელი (64. ფერატი), ბართი, კრმასი, ბასტიანსი – შუსტერი – პუცილა, მაკიადი, ფლუმი, როზენტალი – სისე.

**გოლები:** 1:0 ფრანტცი (32), 1:1 როზენტალი (34), 1:2 სისე (93-პენ)

**გაფრთხილება:** პინოლა, ვოლშაიდი, ესვაინი, შტეფანი - ჰინკელი

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12(4)-10(3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 38 026

ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი 1:1

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე – იბერტსბერგერი (71. რობერტო ფირმინო), ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი – რუდი, სალიჰოვიჩი – ობასი (60. ვილიამსი), ჯონსონი, ბაბელი – იბიშევიჩი.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ტრაპი – დიკი, ამედიკი, აბელი, ბუგერა (81. იესსენი) – კირხი, დე ვიტი (66. შეხტერი) – შაჰანი (66. სუკუტა-პასუ), ტიფერტი, ფორტუნისი – კუემაა.

**გოლები:** 1:0 იბიშევიჩი (33), 1:1 კუემაა (73)

**გაფრთხილება:** სალიჰოვიჩი, იბიშევიჩი, იბერტსბერგერი, ვილიამსი, რობერტო ფირმინო - ბუგერა

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 23-21; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 11(3)-19(3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 30 150

## ჰერტა–ბორუსია (მ) 1:2

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ფრანცი, მიატოვიჩი, კობიაშვილი – ოტლი (83. ბენ-ჰატირა), ნიმაიერი – რამოსი, რაფაელი, რუკავიტსია (67. ებერტი) – ლასოგა (71. თორუნი).

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, შტრანცლი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ჰერმანი (83. ციმერმანი), არანგო – როისი (93. მარქსი), ჰანკე (85. ბობადილია).

**გოლები:** 1:0 რამოსი (18), 1:1 როისი (33), 1:2 როისი (55)

**გაფრთხილება:** ჰერმანი, დანტე

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 11(3)-12(5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 60 556

## ლევერკუზენი–ჰამბურგი 2:2

**ლევერკუზენი (4-1-4-1):** ლენო – კასტრო, მ. ფრიდრიხი, ტოპრაკი, კადლეცი – როლფესი (63. დერდიოკი) – სემი (46. რაინარტცი), ლ. ბენდერი, ბალაკი, შიურლე – კისლინგი.

**ჰამბურგი (4-2-2-1-1):** დრობნი – დიკმაიერი, ვესტერმანი, მანსიენი, აოგო – კაჩარი (79. ტეშე), რინკონი – ტიორე (82. იაროლიმი), იანსენი – სონი (89. სკიელბრედი) – გერერო.

**გოლები:** 1:0 შიურლე (5), 2:0 ლ. ბენდერი (20), 2:1 ვესტერმანი (34), 2:2 იანსენი (57)

**გაფრთხილება:** დერდიოკი, რაინარტცი - რინკონი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 15(5)-14(3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 30 210

## ჰანოვერი–შალკე 2:2

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ცილერი – ჩაჰედი, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი – შტინდლი, პინტუ –ია კონანი, შლაუდრაფი (84. შტოპელკამპი), პანდერი (81. რაუში) – აბდელაუ.

**შალკე (4-2-2-1-1):** უნერშტალი – ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჯონსი, ჰოლტბი – ფარფანი, დრაქსლერი (90. მორავეკი) – რაული – პუკი (87. მარიკა).

**გოლები:** 0:1 პუკი (26), 1:1 პაპადოპულოსი (29-საკ. კარში), 2:1 აბდელაუ (59), 2:2 პუკი (73)

**გაფრთხილება:** შლაუდრაფი, კ. შულცი – მატიპი, ჯონსი, პაპადოპულოსი, ჰიოვედესი

**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 16(2)-13(7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 49 000

## აუგსბურგი–ბაიერნი 1:2

**აუგსბურგი (4-1-2-2-1):** ამსიფი – რაინჰარტდი, კალსენ-ბრაკერი, ს. ლანგკამპი, ვერჰეგი – ჰოსოგაი – ბრინკმანი (59. გოგია), დავიდსი (80. რაფაელი) – ბაიერი, ვერნერი – მიოლდერსი (75. კაპლანი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია (68. ლუის გუსტავო), ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ტიმოშჩუკი, ალაბა – თ. მიულერი, კროოსი (89. კონტენტო), რიბერი (91. პრანიჩი) – გომესი.

**გოლები:** 0:1 გომესი (16), 0:2 რიბერი (28), 1:2 ჰოსოგაი (59)

**გაფრთხილება:** რაინჰარდტი – რაფინია, რიბერი

**გაძევება:** ტიმოშჩუკი (93. ბაიერნი)

**კუთხური:** 1-3; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10(2)-14(5); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 30 660

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 12 | 9 | 1 | 2 | 32:4 | 28 |
| 2. ბორუსია (დ) | 12 | 7 | 2 | 3 | 26-9 | 23 |
| 3. ვერდერი | 12 | 7 | 2 | 3 | 23-16 | 23 |
| 4. ბორუსია (მ) | 12 | 7 | 2 | 3 | 15-9 | 23 |
| 5. შალკე | 12 | 7 | 1 | 4 | 24-18 | 22 |
| 6. ჰანოვერი | 12 | 5 | 4 | 3 | 16-17 | 19 |
| 7. შტუტგარტი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-12 | 18 |
| 8. ლევერკუზენი | 12 | 5 | 3 | 4 | 15-16 | 18 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 2 | 5 | 15-13 | 17 |
| 10. ჰერტა | 12 | 4 | 4 | 4 | 16-17 | 16 |
| 11. კიოლნი | 12 | 5 | 1 | 6 | 20-26 | 16 |
| 12. კაიზერსლაუტ. | 12 | 3 | 4 | 5 | 10-15 | 13 |
| 13. ვოლფსბურგი | 12 | 4 | 1 | 7 | 15-25 | 13 |
| 14. მაინცი | 12 | 3 | 3 | 6 | 16-23 | 12 |
| 15. ნიურნბერგი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-20 | 12 |
| 16. ჰამბურგი | 12 | 2 | 4 | 6 | 15-25 | 10 |
| 17. ფრაიბურგი | 12 | 3 | 1 | 8 | 16-27 | 10 |
| 18. აუგსბურგი | 12 | 1 | 5 | 6 | 9-22 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 – გომესი (ბაიერნი); 11 – პისარო (ვერდერი); 10 – ჰუნტელაარი (შალკე); 9 – პოდოლსკი (კიოლნი); 8 – აბდელაუ (ჰანოვერი), სისე (ფრაიბურგი), ლევანდოვსკი (ბორუსია დ); 7 – მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი), როისი (ბორუსია მ).

## II ბუნდესლიგა

XIV ტური

**ფორტუნა-დინამო (დ) 2:1**

**გოლები:** 1:0 ბაისტერი (20), 1:1 პოტე (44), 2:1 იოვანოვიჩი (92)

**კარლსრუე-ინგოლშტადტი 3:2**

**გოლები:** 0:1 მეტცელდერი (13), 1:1 კემპე (26), 2:1 **იაშვილი** (57-პენ), 3:1 ლავრიჩი (76), 3:2 მო. ჰარტმანი (86)

**ბრაუნშვაიგი-უნიონი 1:2**

**გოლები:** 0:1 ედე (5), 1:1 კრუპკე (50), 1:2 ზოუნდი (80)

**ზანქტ პაული-ფიურტი 2:2**

**გოლები:** 0:1 ნიოთე (44), 1:1 დაუბე (54), 2:1 ზალიკი (75), 2:2 ოკეანი (90)

**მიუნხენ 1860-ბოხუმი 1:3**

**გოლები:** 0:1 ინუი (8), 0:2 ბენჯამინი (18-საკ. კარში), 1:2 ლაუთი (65), 1:3 აიდინი (90)

**კოტბუსი-პადერბორნი 0:2**

**გოლები:** 0:1 კ. მიულერი (68-საკ. კარში), 0:2 პრომშვიტცი (72-პენ)

**ალემანია-დუისბურგი 2:2**

**გოლები:** 1:0 რადუ (5), 1:1 დომოვჩიისკი (29), 1:2 ჰოფმანი (67), 2:2 ბაჟიჩი (68-საკ. კარში)

**ფრანკფურტი-ჰანზა 0:0**

**აუე-აინტრახტი** დღეს

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფორტუნა | 14 | 10 | 4 | 0 | 36-15 | 34 |
| 2. ფიურტი | 14 | 9 | 3 | 2 | 28-12 | 30 |
| 3. აინტრახტი | 13 | 8 | 5 | 0 | 32-11 | 29 |
| 4. ზანქტ პაული | 14 | 9 | 2 | 3 | 29-17 | 29 |
| 5. პადერბორნი | 14 | 8 | 4 | 2 | 19-9 | 28 |
| 6. ბრაუნშვაიგი | 14 | 6 | 4 | 4 | 19-15 | 22 |
| 7. უნიონი | 14 | 6 | 3 | 5 | 20-22 | 21 |
| 8. მიუნხენ 1860 | 14 | 6 | 1 | 7 | 29-24 | 19 |
| 9. კოტბუსი | 14 | 5 | 3 | 6 | 17-26 | 18 |
| 10. დინამო (დ) | 14 | 5 | 2 | 7 | 25-24 | 17 |
| 11. ბოხუმი | 14 | 5 | 2 | 7 | 16-23 | 17 |
| 12. აუე | 13 | 3 | 5 | 5 | 10-18 | 14 |
| 13. ფრანკფურტი | 14 | 2 | 6 | 6 | 14-22 | 12 |
| 14. კარლსრუე | 14 | 3 | 3 | 8 | 16-31 | 12 |
| 15. ჰანზა | 14 | 1 | 8 | 5 | 8-15 | 11 |
| 16. დუისბურგი | 14 | 2 | 4 | 8 | 15-22 | 10 |
| 17. ალემანია | 14 | 1 | 6 | 7 | 8-18 | 9 |
| 18. ინგოლშტადტი | 14 | 2 | 3 | 9 | 19-36 | 9 |

**ბომბარდირები:** 9 - რიოსლერი (ფორტუნა); 8 – ბაისტერი (ფორტუნა), კრუსე (ზანქტ პაული), ა. მაიერი (აინტრახტი), ნიოთე (ფიურტი), ოკეანი (ფიურტი), ფოლანდი (მიუნხენ 1860).

## III ბუნდესლიგა

**დარმშტადტი-კარლ ცაისი 3:0, არმინია-ობერჰაუზენი 3:0, ოსნაბრიუკი-ვერდერი II 1:1, შტუტგარტი II-ზანდჰაუზენი 0:1, ზაარბრიუკენი-პროისენ მიუნსტერი 2:2, ბურგჰაუზენი-ჰაიდენჰაიმი 2:1, ერფურტი-ოფენბახი 0:0, რეგენსბურგი-უნტერჰახინგი 2:0, ვეენი-ხემნიტცი 2:0, აალენი-ბაბელსბერგი 1:3.**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური

# ბაიერნი პლუს ხუთი!

## ...მაგრამ ფრთხილად: დორტმუნდი ფორმაში შედის!

გაგიკვირდებათ და არსებობდნენ ისეთებიც, ვინც აუგსბურგში „ბაიერნის" ნაფორხილებას ვარაუდობდა – ასეთ კარგ ფორმაში მყოფი რეკორდმაისტერი ქულებს მხოლოდ „აუგსბურგის" დარ უსუსურ კლუბებთან კარგავს ხოლმეო; **არიენ რობენი** და **ბასტიან შვაინშტაიგერი** ტრავმირებულები არიანო... არაფერიც: მიუნხენურმა გრანდმა უმთავრესი ფეხბურთელების გარეშეც მოიგო და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა, შეიძლება ითქვას, რომ **იუპ ჰაინკესის** სამწყსოს გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. ჰო, ბოლოს იყო მომენტი, როცა რეკორდმაისტერი **მანუელ ნოიერმა** აშკარა გოლისგან იხსნა, მაგრამ თამაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ „ბაიერნი" საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ მომენტში შეძლებდა გოლის გატანას.

აუგსბურგელებმა თამაში კარგად დაიწყეს, ზონებსაც კეტავდნენ როგორც შეეძლოთ და თავდამსხმელ **მიოლდერსს** ანგარიშის გახსნის შანსიც კი მიეცა, მაგრამ ნოიერის კარს 12 მეტრიდან ააცილა. სანაცვლოდ, მიუნხენელები დაწინაურდნენ და თანაც უკვე მე-16 წუთზე: **რიბერის** კუთხურს **ვან ბუიტენი** გამოეხმაურა, მაგრამ **ამსიფმა** იყოჩაღა და ბურთი მოიგერია, თუმცა პირდაპირ **გომესისკენ**, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა – 0:1. ეს გახლდათ მარიოს მე-13 გოლი მე-11 მატჩში – მიუნხენელთა გოლეადორმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იდეალურ ფორმაშია. 28-ე წუთზე ანგარიში 0:2 გახდა და მატჩის ბედიც სწორედ მაშინ გადაწყდა: მიუნხენელთა კონტრიერიში **მიულერმა** გააგრძელა და **რიბერი** მოძებნა, რომელმაც ერთი მეტოქე გააცურა და ეფექტური გოლი გაიტანა – 0:2. თუმცა როგორც ზემოთაც გითხარით, აუგსბურგელები იბრძოდნენ როგორც შეეძლოთდა 59-ე წუთზე ერთი ბურთი გაქვითეს – ნოიერის კართან კუთხური დაინიშნა, მიუნხენელებმა ბურთი წესიერად ვერ მოიგერიეს, რითაც **ჰოსოგაიმ** ისარგებლა და რეკორდმაისტერის კარი შვიდი მეტრიდან დალაშქრა – **ალაბა** ბურთს მაშინღა მისწვდა, როცა კარის ხაზი უკვე გადაკვეთილი იყო. რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ მომენტს, როცა **იოს ლუჰუკაის** გუნდი ძალიან ახლოს იყო სენსაციასთან: 83-ე წუთზე **კაპლანი** ნოიერთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მანუმ ბლიც-რეფლექსით აულო! სულ ბოლოს უკიდურესად უხეში თამაშის გამო **ანატოლი ტიმოშჩუკი** გააძევეს. ამრიგად, რეკორდმაისტერმა მდევრებთან უპირატესობა ხუთ ქულამდე გაზარდა, რადგან „შალკემ", რომელიც ამ ტურამდე მეორე ადგილზე იყო, ჰანოვერში ვერ მოიგო...

...არადა, **კლაას-იან ჰუნტელაარის** გარეშე დარჩენილმა გელზენკირხენელებმა ჰანოვერში ორი გოლი გაიტანეს, თუმცა დაცვაში ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. ტრავმირებული ჰოლანდიელი გოლეადორის არყოფნაში, **ჰუუბ სტევენსმა** წინა ხაზზე **რაულს** 22 წლის ფინელი ფორვარდი **ტეემუ პუკი** შეუწყვილა, რომელმაც მწვრთნელს იმედები არ გაუცრუა – 26-ე წუთზე ანგარიში სწორედ პუკიმ გახსნა: **ფუხსის** ბრწყინვალე პასი დააფასა, „წითლების" მეკარე **რონ-რობერტ ცილერი** მოატყუა და ბურთი კარში შეასრიალა. თუმცა გელზენკირხენელებს პუკის გოლი მხოლოდ სამი წუთის განმავლობაში უხაროდათ: 29-ე წუთზე ექსშალკელი **პანდერის** ჯარიმას **პაპადოპულოსმა** თავი დაუხვედრა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა – 1:1. მოგვიანებით „შალკე" ორჯერ გადაურჩა გოლს, მაგრამ მეორე ტაიმში სტევენსის შეგირდებს აღარ გაუმართლათ – **შლაუდრაფის** ჩაწოდებას **აბდელაუ** გამოეხმაურა და **მირკო სლომკას** სამწყსო დააწინაურა. ეს გახლდათ ნორვეგიელის მე-8 გოლი ამ სეზონში. თუმცა ჰანოვერელებმა ანგარიში ვერ შეინარჩუნეს – 73-ე წუთზე პუკიმ ამჯერად **ფარფანის** პასი გამოიყენა, დუბლი შეასრულა და „შალკეს" ქულა გადაურჩინა. ერთი რამ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: პუკის სახით „შალკეს" ჰუნტელაარის კარგი შემცვლელი ჰყავს.

**მარიო გიოტცე** და **შინჯი კაგავა** ფორმაში შედიან, რაც იმას ნიშნავს, რომ დორტმუნდის „ბორუსიამ" შეიძლება ისევ დაიწყოს ისეთი ფეხბურთის თამაში, როგორსაც გასულ სეზონში თამაშობდა და რომლითაც არა მარტო გერმანია, არამედ მთელი ევროპა გააოცა. ამის თქმის საბაბს შაბათს ჩატარებული შეხვედრა გვაძლევს, რომელშიც გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა „ვოლფსბურგი" 5:1 გაანადგურა. „*დღეს მართლაც ბრწყინვალე ფეხბურთი ვითამაშეთ. ფაქტია, რომ დიდი ხანია, ასე კარგად არ გვიასპარეზია. იმედი მაქვს, ასე გაგრძელდება,*" - თქვა მატჩის შემდეგ დორტმუნდელთა თავკაცმა **იურგენ კლოპმა**.

გიოტცესგან კარგი თამაში არ გვიკვირს, რადგან მარიო წინა შეხვედრებშიც მეტ-ნაკლებად კარგად გამოიყურებოდა – უბრალოდ, ამ სეზონში შარშანდელივით აღარ „დაფრინავდა", „ვოლფსბურგთან" კი ძველებურად „იფრინა". აი, კაგავა კი ამ სეზონში აქამდე ძალიან ცუდად გამოიყურებოდა, რის გამოც კლოპი ხშირად ძირითად შემადგენლობაშიც კი აღარ ამწესებდა ხოლმე. აი, „ვოლფსბურგთან" ახალგაზრდა იაპონელმა გამთამაშებელმაც გაიხსენა „ძველი დრო" - თამამად ვიტყვით, ასეთი პროდუქტიული კაგავა დაახლოებით წელიწადია, არ გვინახავს. გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, შინჯიმ ორი ბრწყინვალე საგოლე პასიც გააკეთა და ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ისევ საუკეთესო შეფასება დაიმსახურა.

მეხუთე გამარჯვება ბოლო ექვს შეხვედრაში, 14 გოლი ბოლო სამ საშინაო მატჩში და ნახტომი მეორე ადგილზე – ერთი სიტყვით, გერმანიის ჩემპიონს ნამდვილად აქვს ზეიმის უფლება, რასაც ვერ ვიტყვით „ვოლფსბურგზე". „მგლების" თავკაცი **ფელიქს მაგათი** საგონებელშია ჩავარდნილი და აღარ იცის, რა მოიმოქმედოს. სხვათა შორის, შარშან ამ დროს, „ვოლფსბურგს" **სტივ მაკლარენის** ხელში 12 ტურის შემდეგ 14 ქულა ჰქონდა და მე-12 ადგილზე იყო. ინგლისელმა სპეციალისტმა 21-ე ტურამდე გაძლო, მერე კი გააგდეს. დაბრუნებული მაგათის ხელში კი, „მგლებს" 13 ქულა აქვთ და მე-13 ადგილზე არიან...

ბრემენის „ვერდერი" თამაშების შეტრიალების ოსტატია და „მუსიკოსები" ამას ამ სეზონში ძველებურად ამტკიცებენ. **თომას შააფის** გუნდი „კიოლნთან" 0:2-ს აგებდა და საბოლოოდ 3:2 მოიგო, რის შემდეგაც ბრემენელებს 23 ქულა აქვთ და „დორტმუნდთან" და „გლადბახთან" ერთად, მე-2, მე-3 და მე-4 ადგილებს ინაწილებენ. 12 ტურში „ვერდერი" ცხრაჯერ (!) აგებდა 0:1-ს და იმ ცხრიდან ხუთი თამაში თავის სასარგებლოდ შეატრიალა, რაც ბუნდესლიგის მასშტაბით საუკეთესო შედეგია. ვის უნდა გაეტანა გოლები, თუ არა „ვერდერის" მთავარ გოლეადორ **კლაუდიო პისაროს**? სამივე გოლი 33 წლის პერუელის ანგარიშზეა – ეს გახლდათ მისი მეორე ჰეთ-თრიკი. პირველი 1999 წლის 19 სექტემბერს აქვს შესრულებული (ასევე „ვერდერის" მაისურით, „ვოლფსბურგთან" 7:2-ზე მოგებულ მატჩში). „კიოლნს" კი, 16 წელია, ბრემენში არ მოუგია...

გაგიკვირდებათ და „დორტმუნდთან" და „ვერდერთან" ერთად, „ბაიერნის" მთავარი მდევრის სტატუსი მიონხენგლადბახის „ბორუსიამაც" დაიბრუნა – **ლუსიენ ფავრის** შეგირდები ბერლინიდან სამი ქულით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია იმისა, რომ „გლადბახს" წელს აჭრა არ უწერია. **ლევან კობიაშვილის** გუნდი **ადრიან რამოსის** გოლით იგებდა, მაგრამ მერე „გლადბახის" მარგალიტმა **მარკო როისმა** დუბლი შეასრულა და თავისიანებს ბერლინიდან სამი ქულა წაალებინა.

„მაინცმა", როგორც იქნა, მოიგო: **თომას ტუხელის** გუნდმა პარასკევს „შტუტგარტი" დაამარცხა და მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა. იგივე უნდა ვთქვათ „ფრაიბურგზეც" - ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ბრაისგაუელებმაც მოიგეს (2:1 ნიურნბერგში) და ბოლო ადგილს თავი დააღწიეს. სამაგიეროდ, გამარჯვებას ვერ ახერხებს „ჰამბურგი", თუმცა ამ შემთხვევაშიც ისიც გასათვალისწინებელია, რომ **ტორსტენ ფინკის** გუნდს ამჯერადაც რთული მატჩი ჰქონდა: 2:2 ლევერკუზენში.



აუგსბურგი-ბაიერნი 1:2. აკაკი გოგიას და ტონი კროოსის ორთაბრძოლა

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## მომდევნო ტური

**18 ნოემბერი.** კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი.

**19 ნოემბერი.** შალკე-ნიურნბერგი, ფრაიბურგი-ჰერტა, კიოლნი-მაინცი, ვოლფსბურგი-ჰანოვერი, ბორუსია (მ)-ვერდერი, ბაიერნი-ბორუსია (დ).

**20 ნოემბერი.** შტუტგარტი-აუგსბურგი, ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი.

## თურქეთი. სუპერლიგა.

X ტური

**სამსუნი-ანკარაგიუჯუ 2:2**

**გოლები:** 1:0 სენკე (2), 2:0 მ. ილდირიმი (42), 2:1 გუჩერი (74), 2:2 ა. გარჰანი (77)

**სივასი-ფენერბაჰჩე 2:0**

**გოლები:** 1:0 ენერამო (37), 2:0 გროსიცკი (72)

**მანისა-ანტალია 1:0**

**გოლი:** 1:0 პრომისი (80)

**ორდუ-გაზიანთეფი 0:0**

**ძარაბიუქი-ესქიშეჰირი 1:2**

**გოლები:** 0:1 სარი (26), 0:2 კამარა (57), 1:2 შელტონი (75)

**გალათასარაი-მერშინი 0:0**

**ბუიუქშეჰირი-ბურსა 0:0**

**ტრაბზონი-ქაისერი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბ. ილმაზი (29), 2:0 ბ. ილმაზი (74), 2:1 ტროისი (88)

**გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში 4:2**

**გოლები:** 0:1 ფ. ერნტსი (4), 0:2 ფექთემექი (24), 1:2 თუმი (53), 2:2 მერიჩი (56), 3:2 ე. ქორქმაზი (78), 4:2 კირიჩარსლანი (90)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 10 | 6 | 3 | 1 | 15:9 | 21 |
| 2. ტრაბზონი | 10 | 5 | 4 | 1 | 16-10 | 19 |
| 3. გალათასარაი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-9 | 18 |
| 4. ბუიუქშეჰირი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-10 | 18 |
| 5. მანისა | 10 | 5 | 3 | 2 | 11-7 | 18 |
| 6. ორდუ | 10 | 4 | 5 | 1 | 10-6 | 17 |
| 7. ბეშიქთაში | 10 | 5 | 2 | 3 | 15-13 | 17 |
| 8. ესქიშეჰირი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-12 | 14 |
| 9. მერშინი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-12 | 14 |
| 10. გენჩლერბ. | 10 | 4 | 2 | 4 | 14-16 | 14 |
| 11. სივასი | 10 | 4 | 2 | 4 | 14-18 | 14 |
| 12. ბურსა | 10 | 3 | 4 | 3 | 14-10 | 13 |
| 13. ქაისერი | 10 | 3 | 1 | 6 | 13-15 | 10 |
| 14. ანტალია | 10 | 2 | 4 | 4 | 8-12 | 10 |
| 15. გაზიანთეფი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-11 | 9 |
| 16. ძარაბიუქი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-14 | 8 |
| 17. სამსუნი | 10 | 1 | 5 | 4 | 8-14 | 8 |
| 18. ანკარაგიუჯუ | 10 | 0 | 2 | 8 | 9-22 | 2 |

**ბომბარდირები:** 11 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 6 – ვებო (ბუიუქშეჰირი); 5 – ნობრე (მერშინი).

# უცხოური ფეხბურთი

## ესპანეთი. ლა ლიგა. XI ტური

### მალიორკა-სევილია 0:0

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ჩიკო, რამისი, ბიგასი - პინა, ტისონე - ნსუე, ალფარო (86. ალვარო), გ. კასტრო (76. ტეხერა) - ჰემედი (79. ვიქტორი).

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კასერესი, სპაჰიჩი, ესკუდე, ნავარო - მედელი (76. ფასიო), რაკიტიჩი (60. კამპანია) - ხესუს ნავასი, ტროხოვსკი (66. ლუის ალბერტო), არმენტეროსი - დელ მორალი.

**გაფრთხილება:** რამისი, ბიგასი, პინა, კასტრო, ტეხერა - სპაჰიჩი, მედელი

**კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 20-6; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15-11 (5-1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 14 000

### ბეტისი-მალაგა 0:0

**ბეტისი (4-3-3):** კასტო - ისიდორო, უსტარიცი, დორადო, ნაჩო - ბენატი (57. ესეკიელი), ირინეი, კანიასი - პოსუელო (82. მატილია), მოლინა, რ. კასტრო (85. მონტერო).

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, მატეისენი, მონრეალი - დუდა (76. ნაჩო კამაჩო), ტულალანი - ხოაკინი, კასორლა, ისკო (60. ბუონანოტე) - რონდონი (85. სება ფერნანდესი.

**გაფრთხილება:** ისიდორო - დუდა

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 10-9 (0-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 41 000

### ლევანტე-ვალენსია 0:2

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი, იბორა (55. არანდა) - ვალდო, ბარკერო (76. ფარინოსი), ხუანლუ (66. რ. სუარესი) - კონე.

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - ბრუნო (14. ბარაგანი), რამი, რუისი, მატიო - ფეგული (82. პ. ერნანდესი), ალბელდა, ტ. კოსტა, ალბა - სოლდადო (73. პიატი), ადურისი.

**გოლები:** 0:1 ვენტა (31 ს.კ.), 0:2 ტ. კოსტა (50)

**გაფრთხილება:** მუნუა, ნანო, ბალესტეროსი, იბორა, ტორესი - რამი, ალბა, პიატი

**კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13-8 (3-3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 12 500

### რეალი-ოსასუნა 7:1

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, კოენტრაო - ხედირა (66. შაჰინი), ჩაბი ალონსო - დი მარია (48. ბენზემა), იოზილი (66. კალეხონი), რონალდო - იგუაინი.

**ოსასუნა (4-3-3):** ა. ფერნანდესი - დამია, ლოლო, ფლანიო, სატრუსტეგი - პუნიალი (73. რუბენი), ნეკუნამი, რ. გარსია - იბრაჰიმა, ნინო (58. მ. პერესი), კალეხა (85. ტიმორი).

**გოლები:** 1:0 რონალდო (22), 1:1 იბრაჰიმა (30), 2:1 პეპე (33), 3:1 იგუაინი (39), 4:1 რონალდო (54-პენ), 5:1 რონალდო (57), 6:1 ბენზემა (62), 7:1 ბენზემა (80)

**გაფრთხილება:** პუნიალი, სატრუსტეგი

**გაძევება:** სატრუსტეგი (53)

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 18-4 (11-2); **ბურთის ფლობა:** 74%-26%.

**მაყურებელი:** 75 000

### გრანადა-რასინგი 0:0

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკერა - მ. რიკო, ფ. რიკო (38. მარტინში) - აბელი, უჩე (58. იგჰალო), ბენიტესი - ხეიხო.

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - ფრანსისი, ალვარო, ტორეხონი, სისმა - არანა, ციოლისი, ადრიანი, მუნიტისი (61. სერანო) - სტუანი (69. ნაუელპანი), კონე.

**გაფრთხილება:** რობერტო, მაინსი, ფ. რიკო, უჩე - ტონიო, სისმა, ფრანსისი, მუნიტისი, არანა

**გაძევება:** ნაუელპანი (87)

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 16-14 (3-2); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 17 000

### სარაგოსა-სპორტინგი 2:2

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ხუარესი (57. ორტი), დ. სილვა, ლანსარო, პარედესი - რუბენ მიკაელი (85. ედუ ორიოლი), პონსიო - ბარერა, ლუის გარსია, ხუან კარლოსი (68. ლაფიტა) - პოშტიგა.

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - დ. სუარესი, ბოტია (87. გრეგორი), ი. ერნანდესი, კანელია - რივერა, ეგურენი - ტრეხო (77. აიოსე), ანდრე კაშტრო, დე ლას კუევასი - ბარალი (77. ბილიჩი).

**გოლები:** 1:0 ბოტია (28 ს.კ.), 1:1 ბარალი (30), 1:2 ბარალი (43), 2:2 პოშტიგა (93)

**გაფრთხილება:** პარედესი, რუბენ მიკაელი, ხუან კარლოსი, პონსიო - ბოტია, სუარესი

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 13-7 (7-2); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 18.200

### ესპანიოლი-ვილიარეალი 0:0

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი, რომარიკი (77. ბაენა) - ს. გარსია, ვერდიუ, დატოლო (58. ვეისი) - ა. ვასკესი (72. ტიევი).

**ვილიარეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - მარიო, გონსალო, მუსაჩიო, კატალა - ბ. ვალერო, ბრუნო - ე. პერესი (91. ხოსელუ), დე გუზმანი (69. ა. ლოპესი), ორიოლი - მ. რუბენი (91. ლეჟონი).

**გაფრთხილება:** დიდაკ ვილა, ფორლინი - გონსალო, ბრუნო, დე გუზმანი

**გაძევება:** ფორლინი (74)

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 14-9; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 19-10 (2-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 000

### რაიო ვალეკ.-სოსიედადი 4:0

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო - ტიტო, ლაბაკა, ხორდი, კასადო - ფუეგო, მოვილია - ლ. ბანგურა (77. სუსაეტა), მიჩუ, პიტი (67. მიჩელი) - დელიბაშიჩი (62. ტრაშორასი).

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, დემიდოვი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა (19. ესტრადა) - ბერგარა (3. ილარამენდი), მარიგა - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა, გრიზმანი (72. მ. გონსალესი) - ველა.

**გოლები:** 1:0 პიტი (12), 2:0 მიჩუ (49), 3:0 მიჩუ (62), 4:0 ტრაშორასი (73)

**გაფრთხილება:** ხორდი - ესტრადა

**გაძევება:** ი. მარტინესი (11)

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 24-8; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13-10 (9-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 11 000

### ბილბაო-ბარსელონა 2:2

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე - იტურასპე, დე მარკოსი - სუსაეტა (85. ი. პერესი), ანდერი, მუნიაინი (88. ი. გომესი) - ფ. ლორენტე (90. სან ხოსე).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პიკე (80. ტ. ალკანტარა), აბიდალი - ჩავი (60. სანჩესი), ბუსკეტსი, ფაბრეგასი - ინიესტა, მესი, ადრიანო (71. ვილია).

**გოლები:** 1:0 ანდერი (20), 1:1 ფაბრეგასი (24), 2:1 პიკე (80 ს.კ.), 2:2 მესი (91)

**გაფრთხილება:** მარტინესი, იტურასპე, გომესი, ანდერი - პიკე

**გაძევება:** ამორებიეტა (89)

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 3-16 (3-9); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 38 500

### ხეტაფე-ატლეტიკო 3:2

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა (89. მ. ტორესი), კატა დიასი, ლოპო, მანე - მიჩელი, ლასენი - პ. რიოსი (33. რაფა), დ. კასტრო, აბდელი - გუისა (52. მიკუ).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ა. ლოპესი (70. სალვიო), გოდინი (46. მირანდა), დომინგესი, ფილიპე ლუიში - გაბი, ტიაგო (57. კოკე) - ადრიან ლოპესი, დიეგო, არდა - ფალკაო.

**გოლები:** 0:1 ფალკაო (30-პენ), 1:1 აბდელი (40), 2:1 მიჩელი (49), 2:2 დომინგესი (80), 3:2 დ. კასტრო (83-პენ)

**გაფრთხილება:** ლასენი, მიჩელი, რიოსი, გუისა, კასტრო - ფილიპე, ლოპესი, ტიაგო, სალვიო, არდა, დომინგესი

**გაძევება:** ლოპო (29)

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 11-10 (6-6); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 9 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 11 | 9 | 1 | 1 | 39-7 | 28 |
| 2. ბარსელონა | 11 | 7 | 4 | 0 | 34-6 | 25 |
| 3. ვალენსია | 11 | 7 | 3 | 1 | 17-9 | 24 |
| 4. ლევანტე | 11 | 7 | 2 | 2 | 17-9 | 23 |
| 5. სევილია | 11 | 4 | 6 | 1 | 11-8 | 18 |
| 6. მალაგა | 11 | 5 | 2 | 4 | 12-14 | 17 |
| 7. ესპანიოლი | 11 | 5 | 1 | 5 | 9-13 | 16 |
| 8. ვალეკანო | 11 | 4 | 3 | 4 | 14-13 | 15 |
| 9. ბილბაო | 11 | 3 | 5 | 3 | 17-14 | 14 |
| 10. ოსასუნა | 11 | 3 | 5 | 3 | 14-24 | 14 |
| 11. ატლეტიკო | 11 | 3 | 4 | 4 | 14-14 | 13 |
| 12. ბეტისი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-15 | 13 |
| 13. ვილიარეალი | 11 | 2 | 5 | 4 | 9-17 | 11 |
| 14. ხეტაფე | 11 | 2 | 4 | 5 | 12-17 | 10 |
| 15. მალიორკა | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| 16. სარაგოსა | 11 | 2 | 4 | 5 | 12-22 | 10 |
| 17. სპორტინგი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-16 | 9 |
| 18. რასინგი | 11 | 1 | 6 | 4 | 7-15 | 9 |
| 19. გრანადა | 11 | 2 | 3 | 6 | 4-12 | 9 |
| 20. სოსიედადი | 11 | 2 | 2 | 7 | 9-18 | 8 |

**ბომბარდირები:** 14 - ლიონელ მესი (ბარსელონა), 13 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 11 - გონსალო იგუაინი (რეალი); 7 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), ქარიმ ბენზემა (რეალი).

### სეგუნდა დივიზიონი. XII ტური

**ალკოიანო-ალკორკონი 0:0**

**ალმერია-უესკა 2:1**

**გოლები:** 1:0 ულოა (14), 2:0 ულოა (64-პენ), 2:1 კამაჩო (85-პენ)

**სელტა-კარტახენა 1:0**

**გოლი:** 1:0 ასპასი (45)

**ელჩე-ვილიარეალი II 3:0**

**გოლები:** 1:0 ნიელსენი (10), 2:0 ნიელსენი (55), 3:0 რუპერი (90)

**ხირონა-ერკულესი 1:0**

**გოლი:** 1:0 კორომინასი (60-პენ)

**გვადალახარა-უელვა 0:2**

**გოლები:** 0:1 სორია (18 ს.კ.), 0:2 ფიდელი (75)

**გაძევება:** მორენო (67. გვადალახარა)

**ნუმანსია-ლას პალმასი 3:2**

**გოლები:** 1:0 ხუანხო (30), 1:1 ვიტოლო (31), 1:2 ვიერა (49), 2:L2 ნანო (51), 3:2 ალვარესი (89-პენ)

**გაძევება:** გერერო (88. ლას პალმასი)

**ვალიადოლიდი-ხერესი 2:1**

**გოლები:** 1:0 სისი (42), 1:1 რუედა (70-პენ), 2:1 ალემანი (76-პენ)

**კორდობა-ბარსელონა II 1:1**

**გოლები:** 0:1 დეულოფეუ (6), 1:1 ბორხა (69)

**ხიმნასტიკი-საბადელი 5:0**

**გოლები:** 1:0 მორანი (18), 2:0 პაუელი (28), 3:0 პაუელი (58), 4:0 ადროვერი (61), 5:0 ლუნა (82)

**მურსია-დეპორტივო** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 12 | 9 | 1 | 2 | 13-5 | 28 |
| 2. ალმერია | 12 | 7 | 4 | 1 | 18-9 | 25 |
| 3. სელტა | 12 | 7 | 2 | 3 | 23-13 | 23 |
| 4. ვალიადოლიდი | 12 | 6 | 4 | 2 | 18-11 | 22 |
| 5. საბადელი | 12 | 6 | 3 | 3 | 18-19 | 21 |
| 6. ელჩე | 12 | 6 | 2 | 4 | 17-12 | 20 |
| 7. ლას პალმასი | 12 | 5 | 4 | 3 | 17-14 | 19 |
| 8. დეპორტივო | 11 | 6 | 1 | 4 | 18-16 | 19 |
| 9. კორდობა | 12 | 5 | 4 | 3 | 9-9 | 19 |
| 10. ალკორკონი | 12 | 5 | 3 | 4 | 15-9 | 18 |
| 11. მურსია | 11 | 5 | 3 | 3 | 16-13 | 18 |
| 12. გვადალახარა | 12 | 5 | 2 | 5 | 14-19 | 17 |
| 13. ნუმანსია | 12 | 4 | 4 | 4 | 15-13 | 16 |
| 14. ბარსელონა II | 12 | 4 | 3 | 5 | 19-16 | 15 |
| 15. ხერესი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-14 | 13 |
| 16. უელვა | 12 | 3 | 3 | 6 | 10-13 | 12 |
| 17. ვილიარეალი II | 12 | 2 | 5 | 5 | 19-24 | 11 |
| 18. ალკოიანო | 12 | 2 | 5 | 5 | 12-17 | 11 |
| 19. ხირონა | 12 | 2 | 4 | 6 | 15-22 | 10 |
| 20. კარტახენა | 12 | 2 | 2 | 8 | 8-19 | 8 |
| 21. ხიმნასტიკი | 12 | 1 | 4 | 7 | 12-19 | 7 |
| 22. უესკა | 12 | 1 | 3 | 8 | 12-23 | 6 |

**ბომბარდირები:** 8 - ხოსელუ (ვილიარეალი), ულოა (ალმერია); 7 - პაუელი (ხიმნასტიკი), ასპასი (სელტა); 6 - კამაჩო (უესკა), კორომინასი (ხირონა), დ. როდრიგესი (სელტა).

# მესი მხსნელი

## ორი რეალი: ან კარგად თამაშობს, ან ძალიან კარგად



ორმა პორტუგალიელმა ერთად 4 გოლი გაიტანა

ცოტაც და, ლა ლიგაში დაუმარცხებელი ალარავინ დარჩებოდა, მაგრამ „სან მამესზე" დროულად გაიტანა პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელმა გოლი და „ბარსამ" ქულა იხსნა ბილბაოში. **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდის წაფორხილებით კი დიდებულად სარგებლობს „რეალი", რომლის შემჩერებელიც არავინ ჩანს, „სამეფო კლუბი" უკვე 3 ქულით უსწრებს ჩემპიონს, მას შემდეგ, რაც გოლთა წვიმა მოუწყო „ოსასუნას". ვალენსიური დერბის შემდეგ კი ლა ლიგა „დალაგდა", „ვალენსია" მესამე ადგილზე გადავიდა...

მოდი, ტურს ქრონოლოგიურად მივყვეთ - ამ სეზონში პირველად არაა, როცა „სევილიას" 29 წლის გოლკიპერი **ხავიერ ვარასი** გმირულად თამაშობს. მიმომხილველებმა დაითვალეს და სეზონის დაწყებიდან ვარასმა ანდალუსიური გრანდი 40-მდე გოლისგან იხსნა - შთამბეჭდავი რიცხვია. რომ არ ის „სევილია" 11 თამაშში მხოლოდ 8 გოლს არ გაუშვებდა და არც ცხრილის ზედა ნაწილში იქნებოდა ერთადერთი მარცხით. მოკლედ, მიმომხილველთა შორის ჯერ არ ჩამოყალიბებულა ერთიანი აზრი, „სევილიას" წარმატებული თამაში მწვრთნელ **მარსელინოს** დამსახურებაა, თუ ვარასის. შაბათს ანდალუსიელებმა ბალეარებზე ქულა მოიპოვეს „მალიორკასთან" მატჩში - 0:0. პირველი ტაიმის მიწურულს ვარასმა **ემილიო ნსუეს** სახიფათო დარტყმული მოიგერია, მეორეში კი **ალეხანდრო ალფაროს** ჩაუვარდა ფეხებში დროულად. მაგრამ მეორე ტაიმში იყო ეპიზოდი, როცა „სევილიას" მეკარე გამოსვლაზე შეცდა, თუმცა **გონსალო „ჩორი" კასტრომ** ბურთი მაინცდამაინც საჯარიმოში მყოფ მცველებს გაარტყა. გოლის გატანის ყველაზე კარგი შანსი იმავე ალფაროს ჰქონდა, მაგრამ კარიდან 8 მეტრში მყოფმა ბურთი ზემოდან გადააცილა.

„ბეტისმა" 6-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა, საამისოდ ბოლო დროს ცუდ ფორმაში მყოფ „მალაგას" დაუზავდა მორიგ ანდალუსიურ დერბიში (მოგეხსენებათ, პრიმერაში 4 ანდალუსიური კლუბია). მართალია, „ბეტისმა" გოლი ვერც ამჯერად გაიტანა, თამაში კი მხოლოდ მეორე ტაიმში გამოცოცხლდა. **პეპე მელი** ქულას მეკარე **კასტოს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც 55-ე წუთზე **სალომონ რონდონის** ახლო მანძილიდან დარტყმული მოიგერია - 0:0.

ვალენსიური დერბის შემდეგ როქი მოხდა - „ვალენსიამ" „ლევანტე" მე-3 ადგილზე ჩაანაცვლა და, ალბათ, სწორედ „ღამურები" იქნებიან ჩემპიონთა ლიგის საგზურის მომპოვებელი მესამე ადგილის უმთავრესი პრეტენდენტები. სტუმრებმა მასპინძელი **ხავი ვენტას** ავტოგოლით და არგენტინელი **ტინო კოსტას** საჯარიმო დარტყმით იმარჯვეს - 2:0. არადა, თავიდან თამაში ისე დაიწყო... სულ ორიოდე წუთი მიილია, როცა **ვისენტე გუაიტამ** მუხლებით მოიგერია **ხუანლუს** დარტყმული 4-5 მეტრიდან, შემდეგ კი კარგი მომენტი **არუნა კონეს** შეექმნა.

31-ე წუთზე სტუმართა პირველი გოლი ტინო კოსტას ბრწყინვალე პასს მოჰყვა, **ხორდი ალბამ** უკვე დასარტყამად მოიქნია ფეხი, მაგრამ ვინ აცალა - ვენტამ საკუთარი გოლკიპერი სახტად დატოვა. 50-ე წუთზე კოსტამ თავად გაიტანა, ჯარიმა კარგად შესრულდა, მაგრამ გოლში „წვლილი" მასპინძელთა ურუგვაელ მეკარე **მუნუასაც** მიუძღვის. მიუხედავად მარცხისა, „ლევანტე" მყარად მეოთხეა.

21 წლის **ენეკო სატრუსტეგი** პრიმერა დივიზიონში პირველ თამაშს „სანტიაგო ბერნაბეუზე" მართავდა. „ოსასუნას" სარეზერვო გუნდის მცველისთვის ყველაფერი ზღაპარივით დაიწყო და კოშმარით დასრულდა - თამაშის 53-ე წუთზე ნავარელმა საჯარიმოში შეჭრილი **მესუთ იოზილი** აშკარად მოცელა, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა, მისმა გუნდმა კი დიდწილად ამ უხეშობის გამო წააგო კატასტროფულად - 1:7. არა, სატრუსტეგით თუ უსატრუსტეგოდ სტუმრები მაინც წააგებდნენ გავეშებულ „რეალთან", მაგრამ ენეკომ გრანდს საქმე კიდევ უფრო გაუიოლა.

მოკლედ, „რეალის" მოგებათა სერია დაუსრულებლად გრძელდება, ბუნებრივია, რომ **ჟოზე მოურინიოს** გუნდი ლიდერია. ჰეთ თრიკი შეასრულა **კრიშტიანო რონალდომ** (მე-12 მადრიდულ კარიერაში), დუბლი - **ქარიმ ბენზემამ**, თითო გოლი **პეპემ** და **გონსალო იგუაინმა** გაიტანეს. სამი საგოლე პასით გამოირჩა **ანხელ დი მარია** (რომელმაც კუნთი დაიზიანა და მეორე ტაიმის დასაწყისში შესაცვლელი გახდა), ორით - **ალვარო არბელოა**, ერთიც **ფაბიო კოენტრაოს** ანგარიშზეა (ერთი გოლი პენალტით გავიდა), მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე საინტერესო მეორე ტაიმში მოხდა, როცა მოედანზე **ნური შაჰინი** შევიდა. როგორც იქნა, შედგა ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელის დებიუტი „სამეფო კლუბში". ნურიმ ერთი საჯარიმოს სახიფათოდ შესრულება მოასწრო, ბურთი ოდნავ აცდა საბრალო **ანდრეს ფერნანდესის** კარს.

სხვათა შორის, თამაშის წინ „რეალის" უკლებლივ ყველა ფეხბურთელი 19-ნომრიანი მაისურით გამოვიდა **ანტონიო კასანოს** მხარდასაჭერად. მოგეხსენებათ, იტალიელმა ახლახან გულის ოპერაცია გადაიტანა. შეგახსენებთ, რომ კასანო 2006/07 წლების სეზონში ირიცხებოდა „სამეფო კლუბში".

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„ჩვენ ყოველთვის ვთამაშობთ ან კარგად ან ძალიან კარგად. ამიტომაც სავსებით დავიმსახურეთ ეს 10 გამარჯვება ზედიზედ".*

ამის შემდეგ ერთდროულად ორი ფრე დაფიქსირდა - თუკი ანდალუსიაში აუტსაიდერები „გრანადა" და „რასინგი" უგოლოდ გაიყარნენ და ეს ლოგიკურიც იყო (ორივე გუნდს ჯამში 10 გოლი აქვს გატანილი ჩემპიონატში), არაგონში „სარაგოსამ" და „სპორტინგმა" 4-გოლიანი თრილერი შემოგვთავაზეს. „სარაგოსა" მორიგი მარცხისგან პორტუგალიელმა **ელდერ პოშტიგამ** 93-ე წუთზე გადაარჩინა. მანამდე ხიხონელები **დავიდ ბარალის** დუბლის წყალობით 2:1-ს იგებდნენ.

საფეხბურთო კათედრალზე ტურის ცენტრალური მატჩი კოკისპირული წვიმის აკომპანემენტით წარიმართა. პირველ ტაიმში გუნდებმა გაცვალეს გოლები - ჯერ **ხავიერ მასკერანოს** მოუცურდა ფეხი ფლანგზე და **სუსაეტამ ანდერი** მოძებნა, შემდეგ კი (4 წუთში) **სესკ ფაბრეგასმა** თავურით ანგარიში გაქვითა.

მე-80 წუთზე „ბარსას" მცველებს კატასტროფული შეცდომა მოუვიდათ - **ერიკ აბიდალმა** ბურთის გამოტანა განიზრახა, მაგრამ მაინცდამაინც **ჟერარდ პიკეს** გაარტყა, რომელმაც საკუთარი კარი დალაშქრა. მატჩი სრულდებოდა, როცა **ფერნანდო ამორებიეტა** მეტისმეტად ეუხეშა **ლეო მესის**, რომელიც მსაჯის მიერ დამატებულ დროში მატჩის გმირი გახდა - მასპინძელთა მცველებმა ხელი შეუშალეს მეკარე **ირაისოსს** და არგენტინელმაც სეზონში მე-14 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

19 ნოემბერი: ვილიარეალი-ბეტისი, ბარსელონა-სარაგოსა, ვალენსია-რეალი.

20 ნოემბერი: რეალ სოსიედადი-ესპანიოლი, ოსასუნა-რაიო ვალეკანო, სპორტინგი-ხეტაფე, სევილია-ბილბაო, ატლეტიკო-ლევანტე, გრანადა-მალიორკა.

21 ნოემბერი: რასინგი-მალაგა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● შოტლანდია. XIV ტური

# შორია რეინჯერსამდე

მოზერუელის „ფირ პარკზე" ერთმანეთს ცხრილში მეორე და მესამე გუნდები შეხვდნენ და ადგილები გაცვალეს — „სელტიკმა" მისთვის უფრო ბუნებრივი პოზიცია დაიკავა, „რეინჯერსის" შემდეგ მოთავსდა. მეორე მხრივ, „რეინჯერსსა" და „სელტიკს" შორის სხვაობა ჯერ კიდევ დიდია.

გლაზგოს გუნდს გამარჯვება გერი ჰუპერის მიერ თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გატანილმა გოლმა მოუტანა. დარჩენილ დროში „მოზერუელმა", რომელიც თავიდან იგებდა, ძალების მოკრება და ანგარიშის გათანაბრება ველარ მოახერხა, რადგან კაცი გაუგდეს: ტიმ კლენსიმ ჰუპერს სრულიად სულელურად ჩაარტყა.

**ილია ბაბუნაშვილი**



რეინჯერსმა ისევ მოიგო

### XIV ტური

**ჰიბერნიანი-დანფერმლაინი 0:1**

გოლები: 0:1 მაკკენი (3)

**კილმარნოკი-ინვერნესი 3:6**

გოლები: 1:0 შილსი (12), 1:1 შინი (39), 1:2 ჰეიესი (53), 1:3 შინი (60), 1:4 ტეიდი (62), 1:5 შინი (66), 2:5 შილსი (73-პენ), 2:6 ტეიდი (83), 3:6 ჰეფერნანი (90)

**რეინჯერსი-დანდი 3:1**

გოლები: 1:0 იელავიჩი (19), 2:0 იელავიჩი (63-პენ), 2:1 დეილი (73), 3:1 კენეთი (82 ს.კ.)

**მოზერუელი-სელტიკი 1:2**

გოლები: 1:0 ჰიგდონი (11), 1:1 სტოკსი (14), 1:2 ჰუპერი (80)

*სტ. ჯონსტონი-აბერდინი დღეს გაიმართება*

**სტ. მირენი-ჰართსი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 14 | 12 | 2 | 0 | 30-6 | 38 |
| 2. სელტიკი | 13 | 8 | 2 | 3 | 25-13 | 26 |
| 3. მოზერუელი | 14 | 8 | 2 | 4 | 18-17 | 26 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 15-11 | 19 |
| 5. ჰართსი | 14 | 5 | 4 | 5 | 13-9 | 19 |
| 6. სტ. მირენი | 14 | 4 | 5 | 5 | 12-13 | 17 |
| 7. კილმარნოკი | 14 | 3 | 6 | 5 | 19-24 | 15 |
| 8. დანდი | 14 | 3 | 5 | 6 | 20-26 | 14 |
| 9. ჰიბერნიანი | 14 | 3 | 4 | 7 | 14-22 | 13 |
| 10. დანფერმლაინი | 13 | 3 | 4 | 6 | 14-27 | 13 |
| 11. აბერდინი | 13 | 3 | 3 | 7 | 13-16 | 12 |
| 12. ინვერნესი | 14 | 3 | 3 | 8 | 19-28 | 12 |

ბომბარდირები: 9 – ნეისმითი (რეინჯერსი), იელავიჩი (რეინჯერსი); 7 — ო'კონორი (ჰიბერნიანი), დეილი (დანდი), ჰეფერნანი (კილმარნოკი); 6 — შილსი (კილმარნოკი), სტოკსი (სელტიკი), ტეიდი (ინვერნესი); 5 - ჰიგდონი (მოზერუელი), ჰუპერი (სელტიკი), ლეფერტი (რეინჯერსი), სანდაზა (სენტ ჯონსტონი), შინი (ინვერნესი).

● პორტუგალია. ლიგა საგრეში. X ტური

**ფერეირა-გიმარაეში 1:5**

გოლები: 0:1 ტელესი (37), 1:1 მელგარეჟო (42), 1:2 ე. სილვა (60), 1:3 ე. სილვა (68-პენ), 1:4 ტოსკანო (74), 1:5 ე. სილვა (76)

**მარიტიმუ-აკადემიკა 3:2**

გოლები: 1:0 ბაბა (16), 2:0 სამი (30), 2:1 რეალი (38), 2:2 მარინიო (46), 3:2 ბაბა (48)

გაძევება: ა. ბა (86. აკადემიკა)

**ოლანენსე-პორტუ 0:0**

**ბეირა მარი-ფეირენსე 2:1**

გოლები: 1:0 ნილდო (33), 2:0 არტური (45), 2:1 ფონსეკა (90)

გაძევება: ფონსეკა (90. ფეირენსე)

**რიუ ავე-ნასიონალი 2:1**

გოლები: 0:1 კალუდემირი (13), 1:1 ტომაში (77), 2:1 კრიშტიანი (83)

გაძევება: ედერი (11. რიუ ავე), ალბერტო (79. ნასიონალი)

**სეტუბალი-ჟილ ვისენტე 0:0**

**ბრაგა-ბენფიკა 1:1**

გოლები: 1:0 ლიმა (45-პენ), 1:1 როდრიგო (73)

**სპორტინგი-ლეირია 3:1**

გოლები: 1:0 ფერნანდესი (8), 1:1 დიანი (21), 2:1 (50), 3:1 ვან ვოლფსვინკელი (90-პენ)

გაძევება: პინტუ (90. ლეირია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 10 | 7 | 3 | 0 | 25-5 | 24 |
| 2. ბენფიკა | 10 | 7 | 3 | 0 | 23-10 | 24 |
| 3. სპორტინგი | 10 | 7 | 2 | 1 | 24-10 | 23 |
| 4. მარიტიმუ | 10 | 6 | 3 | 1 | 16-11 | 21 |
| 5. ბრაგა | 10 | 5 | 4 | 1 | 13-4 | 19 |
| 6. ოლანენსე | 10 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 |
| 7. აკადემიკა | 10 | 4 | 1 | 5 | 14-15 | 13 |
| 8. ჟილ ვისენტე | 10 | 2 | 5 | 3 | 10-16 | 11 |
| 9. სეტუბალი | 10 | 3 | 2 | 5 | 7-14 | 11 |
| 10. გიმარაეში | 10 | 3 | 1 | 6 | 14-14 | 10 |
| 11. ბეირა მარი | 10 | 2 | 4 | 4 | 6-6 | 10 |
| 12. ნასიონალი | 10 | 3 | 1 | 6 | 6-20 | 10 |
| 13. ლეირია | 10 | 3 | 0 | 7 | 11-19 | 9 |
| 14. რიუ ავე | 10 | 2 | 2 | 6 | 9-12 | 8 |
| 15. ფერეირა | 10 | 2 | 1 | 7 | 10-21 | 7 |
| 16. ფეირენსე | 10 | 1 | 4 | 5 | 6-17 | 7 |

ბომბარდირები: 8 - დიავარა (მარიტიმუ); 7 - ე. სილვა (გიმარაეში).

● საფრანგეთი. ლიგა 1. XIII ტური

**ლილი-ევიანი 1:1**

გოლები: 0:1 ხელიფა (5), 1:1 პედრეტი (63)

**კანი-დიჟონი 3:0**

გოლები: 1:0 ლეკა (36), 2:0 ბულო (66), 3:0 ფრო (72)

**ლორიანი-აიაჩო 2:0**

გოლები: 1:0 იუფრე (63), 2:0 სუნუ (82)

**მარსელი-ნიცა 2:0**

გოლები: 1:0 ჯ. აიუ (72), 2:0 რემი (90. პენ.)

**ნანსი-ბრესტი 2:1**

გოლები: 1:0 იუნგი (64), 1:1 ლესომიე (85), 2:1 ნიკულაე (87)

**რენი-ვალანსიენი 1:1**

გოლები: 1:0 ეკოკო (21), 1:1 რ. გომისი (29)

**სენტ ეტიენი-მონპელიე 1:1**

გოლები: 1:0 ნიკოლიცა (32), 1:1 მარვო (57)

**სოშო-ლიონი 2:1**

გოლები: 1:0 ა. სისოხო (10. ს.კ.), 1:1 ლაკაზეტი (14), 2:1 ბუდებუზი (43. პენ.)

**ოსერი-ტულუზი 2:0**

გოლები: 1:0 სანოგო (69), 2:0 კონტუ (88)

**ბორდო-პსჟ 1:1**

გოლები: 0:1 სისოკო (10), 1:1 გუფრანი (13)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 13 | 9 | 3 | 1 | 26-11 | 30 |
| 2. მონპელიე | 13 | 8 | 3 | 2 | 28-16 | 27 |
| 3. ლილი | 13 | 6 | 6 | 1 | 22-13 | 24 |
| 4. ლიონი | 13 | 7 | 2 | 4 | 21-15 | 23 |
| 5. რენი | 13 | 6 | 4 | 3 | 22-16 | 22 |
| 6. ტულუზი | 12 | 6 | 4 | 3 | 13-12 | 22 |
| 7. ლორიანი | 13 | 5 | 5 | 3 | 15-12 | 20 |
| 8. მარსელი | 13 | 4 | 6 | 3 | 17-14 | 18 |
| 9. კანი | 13 | 5 | 3 | 5 | 20-19 | 18 |
| 10. სენტ ეტიენი | 13 | 4 | 5 | 4 | 12-16 | 17 |
| 11. სოშო | 13 | 4 | 5 | 4 | 20-25 | 17 |
| 12. ოსერი | 13 | 3 | 6 | 4 | 19-18 | 15 |
| 13. ევიანი | 13 | 2 | 7 | 4 | 15-18 | 13 |
| 14. ბორდო | 13 | 2 | 7 | 4 | 15-19 | 13 |
| 15. ბრესტი | 13 | 1 | 9 | 3 | 13-14 | 12 |
| 16. ვალანსიენი | 13 | 2 | 5 | 6 | 13-14 | 11 |
| 17. ნიცა | 13 | 2 | 5 | 6 | 12-14 | 11 |
| 18. ნანსი | 13 | 2 | 5 | 6 | 10-16 | 11 |
| 19. დიჟონი | 13 | 3 | 2 | 8 | 13-28 | 11 |
| 20. აიაჩო | 13 | 1 | 4 | 8 | 10-26 | 7 |

ბომბარდირები: 8 – გამეირო (პსჟ), ჟირუ (მონპელიე), 7 – გომისი (ლიონი)

### მომდევნო ტური

19 ნოემბერი: აიაჩო-კანი, დიჟონი-ბორდო, ევიანი-ლორიანი, ლიონი-რენი, ნიცა-სენტ ეტიენი, ტულუზი-ლილი

20 ნოემბერი: მონპელიე-მარსელი, ბრესტი-სოშო, ვალანსიენი-ოსერი, პსჟ-ნანსი



ბორდო-პსჟ

### ბელგია

ჟუპილერ ლიგა. XIII ტური

| | |
|---|---|
| გენტი-მეხელენი | 6:2 |
| ბეერსხოტი-მონსი | 2:0 |
| ლიერსი-ლოივენი | 3:1 |
| გენკი-კორტრიიკი | 2:2 |
| ვესტერლო-ლოკერენი | 2:4 |
| ვარეგემი-სტ. ტრუიდენი | 0:0 |
| სერკლ ბრიუგე-ანდერლეხტი | 1:0 |
| სტანდარდი-ბრიუგე | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 13 | 9 | 2 | 2 | 26-10 | 29 |
| გენტი | 13 | 8 | 2 | 3 | 32-18 | 26 |
| სერკლ ბრიუგე | 13 | 7 | 5 | 1 | 18-11 | 26 |
| ბრიუგე | 13 | 6 | 4 | 3 | 26-18 | 22 |
| სტანდარდი | 13 | 6 | 4 | 3 | 16-17 | 22 |
| კორტრიიკი | 13 | 6 | 3 | 4 | 20-14 | 21 |
| გენკი | 13 | 5 | 5 | 3 | 25-20 | 20 |
| ბეერსხოტი | 13 | 4 | 5 | 4 | 24-21 | 17 |
| მონსი | 13 | 4 | 5 | 4 | 25-22 | 17 |
| ლოკერენი | 13 | 4 | 3 | 6 | 19-21 | 15 |
| ლოივენი | 13 | 4 | 2 | 7 | 15-24 | 14 |
| მეხელენი | 13 | 4 | 2 | 7 | 15-26 | 14 |
| ვარეგემი | 13 | 2 | 6 | 5 | 11-17 | 12 |
| ლიერსი | 13 | 2 | 6 | 5 | 9-16 | 12 |
| სტ. ტრუიდენი | 13 | 1 | 4 | 8 | 19-32 | 7 |
| ვესტერლო | 13 | 1 | 4 | 8 | 11-24 | 7 |









# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XII ტური

| | |
|---|---|
| მეპენი-მაგდებურგი | 0:2 |
| ვოლფსბურგი II-პლაუენი | 2:0 |
| ჰამბურგი II-ლიუბეკი | 0:2 |
| ვილჰელმშაფენი-ჰაველსე | 2:0 |
| გერმანია-კოტბუსი II | 5:0 |
| ჰალეშერი-ჰერტა II | 2:0 |
| კილი-მოისელვიტსი | 4:2 |
| ლაიპციგი-ჰანოვერი II | 4:0 |
| ბერლინერი-სტ. პაული II | 2:3 |

### რეგიონალლიგა (სამ)

XVI ტური

| | |
|---|---|
| მიუნხენი II-ბაიერნი (ა) | 3:1 |
| მემინგენი-აინტრახტი II | 2:4 |
| კასელი-ვალდჰოფი | 3:0 |
| ფიურტი II-ფრანკფურტი II | 3:1 |
| ჰოფენჰაიმი II-ფრაიბურგი II | 1:3 |
| ინგოლშტადტი II-ბაიერნი II | 1:0 |
| ჰფიულენდორფი-კარლსრუე II | 1:0 |
| შტ. კიკერსი-ნიურნბერგი II | 3:0 |
| ვორმატია-ზონენჰოფი | 0:2 |

### რეგიონალლიგა (დას)

XIV ტური

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-ფორტუნა II | 2:2 |
| კიოლნი II-ფორტუნა (კ) | 0:0 |
| კაიზერი II-ლევერკუზენი II | 0:0 |
| ვუპერტალი-ლოტე | 1:3 |
| ბოხუმი II-ტრირი | 1:1 |
| ესენი-ვიდენბრუკი | 1:2 |
| გლადბახი II-ობერშტაინი | 4:0 |
| კობლენცი-დორტმუნდი II | 0:1 |
| ფერლი-შალკე II | 1:3 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ტრუა-ნანტი | 2:0 |
| ლავალი-ბასტია | 1:0 |
| ბულონი-მეცი | 0:1 |
| ამიენი-შატორუ | 4:0 |
| მონაკო-ლე მანი | 2:2 |
| ჰავრი-კლერმონი | 0:2 |
| ანჟერსი-ტური | 1:0 |
| რეიმსი-ისტრი | 2:1 |
| არლი-გინგამი | გადაიდო |
| ლანსი-სედანი | დღეს |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XII ტური

| | |
|---|---|
| ფორტუნა-ეინდჰოვენი | 0:1 |
| ალმერი-დენ ბოში | 1:3 |
| ცვოლე-ვილემი | 1:0 |
| აპელდოორნი-სპარტა | 0:6 |
| ემენი-იგლზი | 3:2 |
| კამბური-მაასტრიხტი | 5:1 |
| ჰელმონდი-ვეენდამი | 3:2 |
| ვოლენდამი-ტელსტარი | 4:1 |
| ოსი-დორდრეხტი | დღეს |

## ბელგია

### II დივიზიონი

XII ტური

| | |
|---|---|
| ბრიუსელი-ვიზე | 1:0 |
| შარლერუა-ლომელი | 1:0 |
| რუზელარე-სტ. ნიკლაასი | 2:0 |
| ვაასლანდი-ტუბიკე | 3:1 |
| აალსტი-სტანდარდი (ვ) | 1:0 |
| ჰაისტი-დენდერი | 2:2 |
| ოსტენდე-ტინენი | 2:1 |
| ბორინაჟი-ეუპენი | 3:0 |
| ვოლუვე-ანტვერპენი | 1:1 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

IX ტური

| | |
|---|---|
| ნავალი-ოლივეირენსე | 1:1 |
| ეშტორილი-ბელენენსეში | 1:0 |
| პორტიმონენსე-ატლეტიკო | 0:1 |
| კოვილია-ავეში | 0:2 |
| ლეიქსოეში-პენაფიელი | 2:1 |
| არუკა-ფრეამუნდე | 0:0 |
| მორეირენსე-მადეირა | 2:0 |
| სანტა კლარა-ტროფენსე | 1:0 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XII ტური

| | |
|---|---|
|ეირი-მორტონი | 0:1 |
| დანდი-რეითი | 1:0 |
| ფალკირკი-ლივინგსტონი | 4:3 |
| ჰემილტონი-ქუინი | 3:1 |
| პარტიკი-როსი | 0:1 |

### II დივიზიონი

XII ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-ეირდრი | 7:2 |
| არბროა-დამბარტონი | 4:3 |
| ისტ ფაიფი-კოუდენბითი | 1:3 |
| ფორფარი-ბრეჩინი | 0:0 |
| სტენჰაუზმური-სტირლინგი | 4:0 |

### III დივიზიონი

XI ტური

| | |
|---|---|
| ალოა-სტრანრარი | 1:0 |
| ბერვიკი-ელჯინი | 1:1 |
| მონროუზი-ისტ სტირლინგი | 2:1 |
| პიტერჰედი-კლაიდი | 0:0 |
| ქუინზ პარკი-ანანი | 0:0 |

## ავსტრია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ვინერი-ადმირა | 0:0 |
| რიდი-რაპიდი | 1:1 |
| მატერსბურგი-ზალცბურგი | 3:0 |
| შტურმი-კაპფენბერგი | 1:0 |
| აუსტრია-ტიროლი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადმირა | 14 | 7 | 6 | 1 | 26-17 | 27 |
| 2. აუსტრია | 14 | 6 | 5 | 3 | 28-20 | 23 |
| 3. რაპიდი | 14 | 5 | 6 | 3 | 22-15 | 21 |
| 4. რიდი | 14 | 5 | 6 | 3 | 21-15 | 21 |
| 5. ზალცბურგი | 14 | 5 | 5 | 4 | 19-15 | 20 |
| 6. შტურმი | 14 | 5 | 5 | 4 | 23-21 | 20 |
| 7. ტიროლი | 14 | 3 | 7 | 4 | 17-22 | 16 |
| 8. ვინერი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-22 | 14 |
| 9. მატერსბურგი | 14 | 2 | 6 | 6 | 18-22 | 12 |
| 10. კაპფენბერგი | 14 | 2 | 3 | 9 | 12-28 | 9 |

## კვიპროსი

IX ტური

| | |
|---|---|
| ენოსისი-ეთნიკოსი | 0:0 |
| ომონია-აპოლონი | 2:0 |
| აელ-ანაგენისი | 1:0 |
| ნეა სალამისი-აპოელ | 1:0 |
| ალკი-ოლიმპიაკოსი | 4:2 |
| ანორთოსისი-ერმისი | დღეს |
| არისი-აეკ | დღეს |

## დანია

XV ტური

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ჰორსენსი | 2:0 |
| სილკებორგი-მიდტიულანდი | 4:1 |
| კოპენჰაგენი-ლუნგბიუ | 3:0 |
| კიოგე-ნორდსილანდი | 0:2 |
| ოდენსე-ბრონდბიუ | 0:0 |
| სონდერიისკი-აგფ ორჰუსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 15 | 11 | 2 | 2 | 28-13 | 35 |
| 2. ნორდსილანდ | 15 | 9 | 1 | 5 | 21-12 | 28 |
| 3. მიდტიულანდ | 15 | 8 | 2 | 5 | 23-21 | 26 |
| 4. აგფ ორჰუსი | 14 | 6 | 6 | 2 | 21-13 | 24 |
| 5. ჰორსენსი | 15 | 6 | 5 | 4 | 27-20 | 23 |
| 6. ოლბორგი | 15 | 6 | 5 | 4 | 22-18 | 23 |
| 7. სილკებორგი | 15 | 5 | 5 | 5 | 21-21 | 20 |
| 8. ოდენსე | 15 | 5 | 4 | 6 | 25-27 | 19 |
| 9. სონდერიისკი | 14 | 4 | 5 | 5 | 17-20 | 17 |
| 10. ბრონდბიუ | 15 | 3 | 5 | 7 | 17-20 | 14 |
| 11. ლუნგბიუ | 15 | 3 | 2 | 10 | 13-26 | 11 |
| 12. კიოგე | 15 | 1 | 2 | 12 | 12-36 | 5 |

### II დივიზიონი

XIII ტური

ესბერგი-ფრედერისია 4:1; ჰიორინგი-ბლოხუსი 2:2; როსკილდე-ბრონსჰოი 0:2; სკივე-რანდერსი 0:3; ვესტსიელანდი-ვიბორგი 3:3; აკადემისკი-ჰობრო 1:0; ნაესტ-ვედი-ვეილე 2:2.

## საბერძნეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-ოფი | 1:3 |
| არისი-ოლიმპიაკოსი | 2:3 |
| ერგოტელისი-პანაიტოლიკოსი | 0:0 |
| ასტერასი-პაოკ | 1:0 |
| ქსანტი-კერკირა | 1:0 |
| პანათინაიკოსი-აეკ | 3:2 |
| დოქსა-ატრომიტოსი | გადაიდო |
| ლევადია-იანინა | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 7 | 5 | 2 | 0 | 16-9 | 17 |
| 2. პანათინაიკოს | 6 | 5 | 1 | 0 | 16-5 | 16 |
| 3. ატრომიტოსი | 8 | 4 | 4 | 0 | 10-6 | 16 |
| 4. აეკ | 7 | 4 | 1 | 2 | 11-10 | 13 |
| 5. ოფი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-8 | 12 |
| 6. პანაიტოლიკოს | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 11 |
| 7. პაოკ | 9 | 3 | 2 | 4 | 10-10 | 11 |
| 8. იანინა | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 9. ერგოტელისი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-13 | 9 |
| 10. ქსანტი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-14 | 8 |
| 11. პანიონიოსი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-13 | 8 |
| 12. ასტერასი | 7 | 1 | 3 | 3 | 3-7 | 6 |
| 13. არისი | 7 | 0 | 4 | 3 | 4-9 | 4 |
| 14. კერკირა | 7 | 0 | 2 | 5 | 5-13 | 2 |
| 15. ლევადია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 15. დოქსა | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |

### II დივიზიონი

II ტური

ირაკლისი (პ)-ეთნიკოსი (ა) 0:0; პლატანიასი-პანთრაკიკოსი 1:0; დიაგორასი-ტრასივულოსი 1:0; კალონი-კალითეა 2:2; ვიცასი-პიერიკოსი 1:2; ანაგენისი (ი)-აგროტიკოსი გადაიდო; ფოკიკოსი-ანაგენსი (ე) გადაიდო; ვერია-პანაჰაიკი დღეს.

## ირლანდიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| სლიგო-შელბურნი | 1:1 პენ. 4:1 |

## ბოსნია

XII ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-ველეჟი | 3:0 |
| ჟელეზნიჩარი-სლავია | 4:2 |
| ოლიმპიკი-კოზარა | 2:0 |
| რუდარი-სელიკი | 0:0 |
| სლობოდა-გაბელა | 2:1 |
| ტრავნიკი-შიროკი ბრიეგი | 3:5 |
| ზრინსკი-ლეოტარი | 1:0 |
| ჟელეზნიჩარი-სარაევო | 1:0 |

## სლოვენია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-დომჟალე | 2:1 |
| კოპერი-ტრიგლავი | 3:0 |
| გორიცა-რუდარი | 2:2 |
| სელიე-მარიბორი | 2:3 |
| ოლიმპია-მურა | 3:1 |

## ნორვეგია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-სტარტი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოლდე | 28 | 16 | 7 | 5 | 50-35 | 55 |
| 2. ტრომსიო | 28 | 13 | 8 | 7 | 47-32 | 47 |
| 3. როზენბორგი | 28 | 13 | 7 | 8 | 65-39 | 46 |
| 4. ბრანი | 28 | 13 | 6 | 9 | 48-46 | 45 |
| 5. ოდ გრენლანდ | 28 | 13 | 6 | 9 | 41-41 | 45 |
| 6. ვოლერენგა | 28 | 13 | 5 | 10 | 39-31 | 44 |
| 7. სტრიომსგოდ | 28 | 11 | 9 | 8 | 41-37 | 42 |
| 8. ჰაუგესუნდი | 28 | 12 | 5 | 11 | 48-41 | 41 |
| 9. ოლესუნდი | 28 | 11 | 7 | 10 | 32-34 | 40 |
| 10. სტაბეკი | 28 | 11 | 6 | 11 | 43-46 | 39 |
| 11. ვიკინგი | 28 | 9 | 9 | 10 | 30-36 | 36 |
| 12. ლილესტრიომ | 28 | 9 | 6 | 13 | 46-50 | 33 |
| 13. ფრედრიკსტ | 28 | 9 | 5 | 14 | 35-40 | 32 |
| 14. სიოგნდალი | 28 | 7 | 10 | 11 | 22-29 | 31 |
| 15. სტარტი | 28 | 7 | 4 | 17 | 37-54 | 25 |
| 16. სარპსბორგი | 28 | 4 | 6 | 18 | 27-60 | 18 |

## ნორვეგიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| ბრანი-ოლესუნდი | 1:1 |

## შვედეთი

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ბრაგე-სილვია | 4:2 |
| ვარნამო-ვასბი | 1:0 |

## შვედეთის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| ჰელსინგბორგი-კალმარი | 3:1 |

## შვეიცარია

XV ტური

| | |
|---|---|
| ლოზანა-ბაზელი | 2:3 |
| თუნი-ლუცერნი | 3:1 |
| გრასჰოპერსი-სიონი | 2:1 |
| ქსამაქსი-ციურიხი | 3:1 |
| სერვეტი-იანგ ბოიზი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 15 | 9 | 4 | 2 | 35-16 | 31 |
| 2. ლუცერნი | 15 | 8 | 4 | 3 | 22-11 | 28 |
| 3. სიონი | 15 | 8 | 2 | 5 | 22-15 | 26 |
| 4. იანგ ბოიზი | 15 | 7 | 4 | 4 | 24-14 | 25 |
| 5. ქსამაქსი | 15 | 6 | 4 | 5 | 18-18 | 22 |
| 6. სერვეტი | 15 | 6 | 3 | 6 | 23-24 | 21 |
| 7. თუნი | 15 | 5 | 4 | 6 | 17-19 | 19 |
| 8. ციურიხი | 14 | 4 | 2 | 8 | 20-21 | 14 |
| 9. გრასჰოპერსი | 14 | 4 | 1 | 9 | 13-32 | 13 |
| 10. ლოზანა | 15 | 2 | 2 | 11 | 12-36 | 8 |

### ჩელენჯლიგა

XII ტური

ნიონე-ვინტერტური 0:2; სტ. გალენი-კიასო 0:1; კრინსი-ვოლენი 4:1; ლოკარნო-ბრიული 2:1; ლუგანო-ბელინცონა გადაიდო; არაუ-ბილი 1:3; ვადუცი-ეტუალ კარუჟი 3:1; დელემონი-ვილი დღეს.

## უელსი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბალა-ეზერისტვითი | 3:0 |
| აფან ლიდო-ბანგორი | 0:0 |
| კარმარტენი-პრესტატინი | 2:1 |
| ნიუთაუნი-პორტ ტალბოტი | 2:0 |
| ნიუ სეინტსი-ლანელი | 4:2 |
| ეირბასი-ნითი | 2:2 |

## ბელარუსი

XV ტური

| | |
|---|---|
| დინამო (ბრ)-გომელი | 0:2 |
| დინამო (მნ)-ბელშინა | 0:3 |
| დნეპრი-მინსკი | 1:0 |
| შახტიორი-ნაფტანი | 1:0 |
| ვიტებსკი-ტორპედო | 0:2 |
| ნემანი-ბატე | 0:1 |

## ბულგარეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| მინიორი-კალიაკრა | 1:1 |
| ჩერნო მორე-ბეროე | 2:0 |
| ლუდოგორეცი-ლოკომოტივი (ს) | 4:0 |
| სლავია-ვიდიმა | 1:1 |
| ლიტექსი-ჩერნომორეცი | 0:0 |
| ბოტევი-ცსკა | 2:2 |
| ლევსკი-ლოკომოტივი (პ) | 3:2 |
| მონტანა-სვეტკავიცა | დღეს |

## ხორვატია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-სპლიტი | 0:3 |
| დინამო-ზაგრები | 1:0 |
| სიბალია-ისტრა | 1:0 |
| სლავენი-რიეკა | 1:0 |
| კარლოვაცი-ზადარი | 2:0 |
| ლუჩკო-ლოკომოტივა | 2:2 |
| ჰაიდუკი-ვარაჟდინი | 3:0 |
| ოსიეკი-შიბენიკი | 2:2 |

## ბრაზილია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ატ. მინეირო-გრემიო | 2:0 |
| ბაია-სან პაულუ | 4:3 |
| ბოტაფოგო-ფიგეირენსე | 0:1 |
| ამერიკა-კორინთიანსი | 2:1 |
| ავაი-სეარა | 1:2 |
| ფლამენგო-კრუზეირო | 5:1 |
| სანტოსი-ვასკო | 2:0 |
| ატ. პარან-ატ. გოიანენ | გვ. დასრულდა |
| ინტერი-ფლუმინენსე | გვ. დასრულდა |
| პალმეირასი-კურიტიბა | გვ. დასრულდა |

## ჩეხეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| პრადეცი-იაბლონეცი | 0:0 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 4:0 |
| პრშიბრამი-ბოჰემიანსი 1905 | 3:0 |
| სიგმა-სპარტა | 0:1 |
| ბოლესლავი-დუკლა | 3:1 |
| სლავია-პლზენი | 2:1 |
| ტეპლიცე-სლოვაცკო | 2:1 |
| ვიქტორია-ბანიკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 13 | 11 | 0 | 2 | 25-10 | 33 |
| 2. ლიბერეცი | 13 | 8 | 3 | 2 | 31-15 | 27 |
| 3. ბოლესლავი | 13 | 7 | 4 | 2 | 22-12 | 25 |
| 4. პლზენი | 13 | 7 | 3 | 3 | 30-17 | 24 |
| 5. იაბლონეცი | 13 | 7 | 2 | 4 | 32-12 | 23 |
| 6. ტეპლიცე | 13 | 6 | 2 | 5 | 14-16 | 20 |
| 7. ბოჰემიანსი | 13 | 5 | 4 | 4 | 11-17 | 19 |
| 8. დუკლა | 13 | 5 | 3 | 5 | 18-17 | 18 |
| 9. სლავია | 13 | 5 | 3 | 5 | 13-16 | 18 |
| 10. პრშიბრამი | 13 | 6 | 0 | 7 | 22-26 | 18 |
| 11. სლოვაცკო | 13 | 5 | 2 | 6 | 13-16 | 17 |
| 12. სიგმა | 13 | 3 | 6 | 4 | 15-16 | 15 |
| 13. ჰრადეცი | 13 | 3 | 3 | 7 | 7-17 | 12 |
| 14. ბუდეიოვიცე | 13 | 1 | 4 | 8 | 12-27 | 7 |
| 15. ვიქტორია | 12 | 2 | 1 | 9 | 9-24 | 7 |
| 16. ბანიკი | 12 | 1 | 2 | 9 | 9-25 | 5 |

### II დივიზიონი

XIV ტური

სპარტა II-ტრშინეცი 3:1; ულინი-ბოჰემიანსი 3:0; ოპავა-სეზიმოვო 0:1; კარვინა-ზნოიმო 4:1; მოსტი-სოკოლოვი 0:0; იჰლავა-ბრნო 1:0; ვლაშიმი-უსტი 0:2; სლოვანი-ჩასლავი 2:2.

## ესტონეთი

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ტრანსი-კალევი | 2:3 |
| ლევადია-კურესაარე | 4:0 |
| ტამეკა-აიაქსი | 9:0 |
| კალიუ-პაიდე | 1:2 |
| ვილიანდი-ფლორა | 2:4 |

## უნგრეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| დიორი-ლომბარდ პაპა | 3:2 |
| ჰონვედი-პეჩი | 1:1 |
| ვაშაში-დიოშდიორი | 2:3 |
| კეჩკემეტი-შიოფოკი | 3:2 |
| ზალაეგერსეგი-კაპოშვარი | 1:1 |
| პალადაში-დებრეცენი | 0:1 |
| ფეჰერვარი-უიპეშტი | 3:0 |
| ფერენცვაროში-პაკსი | 0:0 |

## ისრაელი

X ტური

| | |
|---|---|
| აშდოდი-მაკაბი (ნ) | 2:1 |
| ირონი (ქ-შ)-მაკაბი (ფ-თ) | 1:1 |
| ირონი (რ-ა)-ჰაპოელი (ა) | 1:1 |
| ირონი (რ-ლ)-ჰაპოელი (ჰ) | 1:1 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:0 |
| მაკაბი (ჰ)-ბნეი იეჰუდა | 1:1 |
| ბნეი საქნინი -ჰაპოელი (თ-ა) | 0:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ბეითარი | დღეს |

## ლატვია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| იურმალა-ფკ იურმალა | 1:1 |
| გულბენე-მეტალურგსი | 0:1 |
| ოლიმპსი-იელგავა | 1:3 |
| ვენტსპილსი-სკონტო | 0:0 |

## ლიტვა

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| კლაიპედა-ბანგა | 0:5 |
| ატლანტასი-კრუოია | 0:3 |
| დაინავა-ჟალგირისი | 1:3 |
| ტაურასი-კაუნასი | 4:2 |
| მაჟეიკიაი-შიაულიაი | 1:5 |
| ეკრანასი-სუდუვა | 2:2 |

## მოლდოვა

XIV ტური

| | |
|---|---|
| დაჩია-ზიმბრუ | 2:0 |
| აკადემია-ცსკა | 1:1 |
| მილსამი-ტირასპოლი | 1:0 |
| ოლიმპია-ისკრა | 2:1 |
| ნისტრუ-კოსტულენი | 0:0 |
| შერიფი-სფინტული | 5:0 |

## პოლონეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| პოდბესკიძე-გურნიკი | 1:1 |
| პოლონია-ლეხი | 1:0 |
| კორონა-ბელხატოვი | 2:2 |
| ლკს-რუხი | 0:4 |
| ლეჩია-ვიძევი | 0:0 |
| ზაგლებე-შლიონსკი | 1:5 |
| კრაკოვია-ვისლა | 1:0 |
| იაგელონია-ლეგია | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შლიონსკი | 13 | 9 | 1 | 3 | 25-11 | 28 |
| 2. ლეგია | 11 | 7 | 1 | 3 | 19-9 | 22 |
| 3. რუხი | 13 | 7 | 1 | 5 | 19-15 | 22 |
| 4. პოლონია | 13 | 6 | 4 | 3 | 13-12 | 22 |
| 5. ლეხი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-9 | 21 |
| 6. ვისლა | 13 | 6 | 3 | 4 | 14-11 | 21 |
| 7. კორონა | 13 | 5 | 5 | 3 | 16-15 | 20 |
| 8. ვიძევი | 13 | 4 | 6 | 3 | 11-11 | 18 |
| 9. იაგელონია | 12 | 5 | 2 | 5 | 18-22 | 17 |
| 10. პოდბესკიძე | 13 | 4 | 4 | 5 | 11-17 | 16 |
| 11. ლეჩია | 13 | 3 | 5 | 5 | 6-8 | 14 |
| 12. გურნიკი | 13 | 3 | 5 | 5 | 13-16 | 14 |
| 13. ლკს | 13 | 4 | 2 | 7 | 10-24 | 14 |
| 14. ბელხატოვი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-16 | 12 |
| 15. ზაგლებე | 12 | 2 | 4 | 6 | 11-18 | 10 |
| 16. კრაკოვია | 13 | 2 | 3 | 8 | 7-16 | 9 |

## რუმინეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| მიოვენი-ჩახლაული | 1:2 |
| ვოინტა-ბრაშოვი | 2:1 |
| ასტრა-პეტროლული | 1:1 |
| კლუჟი-დინამო | 2:3 |
| სპორტული-უნივერსიტატეა | 2:4 |
| პანდური-ოცელული | 0:1 |
| სტიაუა-კონკორდია | 2:1 |
| ტარგუ-რაპიდი | დღეს |
| გაზ მეთანი-ვასლუი | დღეს |

## რუსეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| როსტოვი-ტომი | 2:1 |
| ანჟი-კრილია | 3:1 |
| დინამო-სპარტაკი | 1:1 |
| ტერეკი-კრასნოდარი | 2:0 |
| ნალჩიკი-ამკარი | 2:1 |
| ყუბანი-ზენიტი | 1:1 |
| ვოლგა-რუბინი | 1:0 |
| ლოკომოტივი-ცსკა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 30 | 17 | 10 | 3 | 59-25 | 61 |
| 2. ცსკა | 30 | 16 | 11 | 3 | 58-29 | 59 |
| 3. დინამო | 30 | 16 | 7 | 7 | 51-30 | 55 |
| 4. ლოკომოტივ | 30 | 15 | 8 | 7 | 49-30 | 53 |
| 5. სპარტაკი | 30 | 15 | 8 | 7 | 48-33 | 53 |
| 6. ყუბანი | 30 | 14 | 7 | 9 | 38-27 | 49 |
| 7. რუბინი | 30 | 13 | 10 | 7 | 40-27 | 49 |
| 8. ანჟი | 30 | 13 | 9 | 8 | 38-32 | 48 |
| 9. კრასნოდარი | 30 | 10 | 8 | 12 | 38-43 | 38 |
| 10. როსტოვი | 30 | 8 | 8 | 14 | 31-45 | 32 |
| 11. ტერეკი | 30 | 8 | 7 | 15 | 29-45 | 31 |
| 12. ვოლგა | 30 | 8 | 4 | 18 | 24-40 | 28 |
| 13. ამკარი | 30 | 6 | 9 | 15 | 20-39 | 27 |
| 14. კრილია | 30 | 6 | 9 | 15 | 21-43 | 27 |
| 15. ნალჩიკი | 30 | 5 | 9 | 16 | 23-40 | 24 |
| 16. ტომი | 30 | 4 | 8 | 18 | 19-58 | 20 |

## სერბეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-იაგოდინა | 0:0 |
| ბორჩა-პარტიზანი | 0:1 |
| მეტალაკი-ბასკ | 1:1 |
| იავორი-ვოივოდინა | 0:0 |
| სმედერევო-რადი | 0:0 |
| ცრვენა ზვეზდა-ოფკ | 3:1 |
| სპარტაკი-ჰაიდუკი | 1:1 |
| რადნიჩკი-სევოიონო | 2:1 |

## სლოვაკეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ნიტრა-ტრენჩინი | 0:0 |
| რუჟომბეროკი-დ. სტრედა | 3:1 |
| მორავცე-კოშიცე | 3:2 |
| ბისტრიცა-ტატრანი | 2:0 |
| ჟილინა-შენიცა | 3:1 |
| ტრნავა-სლოვანი | 2:0 |

## უკრაინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ზორია-ტავრია | 0:1 |
| მეტალურგი-ჩერნომორეცი | 3:0 |
| კარპატი-ილიჩივეცი | 3:0 |
| ვოლინი-კრივბასი | 0:0 |
| დნიპრო-არსენალი | 1:0 |
| ოლექსანდრია-ვორსკლა | 1:1 |
| ობოლონი-შახტარი | 0:2 |
| მეტალისტი-დინამო | 1:2 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 16 | 12 | 4 | 0 | 34-8 | 40 |
| 2. შახტარი | 16 | 12 | 3 | 1 | 38-12 | 39 |
| 3. მეტალისტი | 16 | 10 | 5 | 1 | 25-13 | 35 |
| 4. დნიპრო | 16 | 8 | 3 | 5 | 26-19 | 27 |
| 5. არსენალი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-11 | 26 |
| 6. მეტალურგი | 16 | 7 | 2 | 7 | 16-16 | 23 |
| 7. ვორსკლა | 16 | 6 | 5 | 5 | 21-19 | 23 |
| 8. კრივბასი | 16 | 6 | 4 | 6 | 12-14 | 22 |
| 9. ტავრია | 16 | 5 | 6 | 5 | 21-20 | 21 |
| 10. ვოლინი | 16 | 5 | 4 | 7 | 16-24 | 19 |
| 11. ჩერნომორეცი | 16 | 4 | 5 | 7 | 13-20 | 17 |
| 12. ილიჩივეცი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-26 | 16 |
| 13. კარპატი | 16 | 3 | 5 | 8 | 14-21 | 14 |
| 14. ზორია | 16 | 3 | 3 | 10 | 13-29 | 12 |
| 15. ოლექსანდრია | 16 | 2 | 5 | 9 | 14-28 | 11 |
| 16. ობოლონი | 16 | 0 | 5 | 11 | 6-26 | 5 |

## ჩრ. ირლანდია

XV ტური

| | |
|---|---|
| კლიფტონვილი-ლინფილდი | 4:2 |
| კოლრეინი-ბალიმენა | 1:0 |
| კერიკი-დუნგანონი | 1:1 |
| გლენავონი-პორტდაუნი | 0:2 |
| გლენტორანი-კრუზეიდერსი | 2:2 |
| ლისბურნი-დონეგალი | 0:2 |

## არგენტინა

XIV ტური

| | |
|---|---|
| ოლ ბოისი-ინდეპენდიენტე | 2:2 |
| ატლ. რაფაელა-ბელგრანო | 0:0 |
| ოლიმპო-სან ლორენსო | 1:1 |
| ტიგრე-კოლონი | 2:1 |
| გოდოი-ესტუდიანტესი | 3:1 |
| რასინგი-არგ. ხუნიორსი | 1:0 |
| ბანფილდი-ლანუსი | 1:2 |
| უნიონი-ნიუელსი | 2:1 |
| ველესი-ბოკა | გვ. დასრულდა |
| არსენალი-სან მარტინი | დღეს |

## პარაგვაი

XV ტური

| | |
|---|---|
| ხენერალი-ოლიმპია | 1:2 |
| სერო პორტენიო-ნასიონალი | 1:3 |
| ლუკენო-ინდეპენდიენტე | გადაიდო |
| რუბიო ნუ-3 დე ფებრერო | 2:1 |
| სოლ დე ამერიკა-ტაკუარი | 1:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII ტური

| | |
|---|---|
| ქაფაზი-ბაქუ | 1:3 |
| რავანი-სიმურქი | 1:1 |
| ყარაბახი-სუმგაიტი | 1:2 |
| აზალ-ქაბალა | 3:0 |
| თურანი-ინტერი | 0:1 |
| ნეფთჩი-ხაზარი | 5:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხაზარი | 12 | 8 | 2 | 2 | 17-12 | 26 |
| 2. ნეფთჩი | 12 | 8 | 1 | 3 | 21-9 | 25 |
| 3. ინტერი | 12 | 7 | 3 | 2 | 11-7 | 24 |
| 4. ყარაბახი | 12 | 6 | 2 | 4 | 16-12 | 20 |
| 5. ბაქუ | 12 | 5 | 4 | 3 | 15-11 | 19 |
| 6. ქაბალა | 12 | 4 | 3 | 5 | 12-16 | 15 |
| 7. რავანი | 12 | 3 | 5 | 4 | 15-16 | 14 |
| 8. აზალ | 12 | 3 | 4 | 5 | 15-16 | 13 |
| 9. სიმურქი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-13 | 12 |
| 10. ქაფაზი | 12 | 3 | 3 | 6 | 16-20 | 12 |
| 11. თურანი | 12 | 3 | 1 | 8 | 8-15 | 10 |
| 12. სუმგაიტი | 12 | 2 | 3 | 7 | 7-16 | 9 |

## ჩილე

XV ტური

| | |
|---|---|
| აუდაქსი-ატ. ნუბლენსე | 2:0 |
| პალესტინო-ს. მორნინგი | 2:4 |
| უნ. კონსეპსიონი-სან ფელიპე | 2:1 |
| უნ. ესპანიოლა-უნ. კატოლიკა | 1:2 |
| ლა კალერა-დეპორტესი | 1:2 |
| კობრელოა-ს. უონდერერსი | 1:0 |
| კობრესალი-ლა სერენა | 2:1 |
| ო'ჰიგინსი-კოლო კოლო | 2:0 |
| უნ. დე ჩილე-უაჩიპატო | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

XIV ტური

| | |
|---|---|
| იტაგუი-დეპ. კინდიო | 1:0 |
| მილიონარიოსი-ენვიგადო | 1:0 |
| რეალ კარტახენა-ატ. ნასიონალი | 0:0 |
| დეპ. კალი-ლა ეკვიდადი | 0:0 |
| ტოლიმა-დეპ. პერეირა | 1:0 |
| ჩიკო-ამერიკა დე კალი | გვ. დასრულდა |
| ინდეპენდიენ-სანტა ფე | გვ. დასრულდა |
| კუკუტა-ატ. უილა | გვ. დასრულდა |
| ო. კალდაი-ატ. ხუნიორ | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-მანტა | 3:2 |
| იმბაბურა-ბარსელონა | 3:1 |
| ემელეკი-დეპ. კუენსა | 0:0 |
| ოლმედო-ესპოლი | 2:1 |

## პერუ

XXVII ტური

| | |
|---|---|
| მელგარი-კომერსიო | 1:2 |
| უნ. სან მარტინი-ალ. ატლეტიკო | 4:0 |
| უნ. პერუ-ინტი გასი | 0:0 |
| სესარ ვალიეხო-დეპორტივო | 1:0 |
| სპორტი-სპორტ ბოისი | 3:0 |
| ლეონი-ალ. ლიმა | 2:0 |
| ხუან აურიჩი-სენსიანო | გვ. დასრულდა |
| კოლეგიო-სპ. კრისტალ | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

XI ტური

| | |
|---|---|
| დეფენსორი-დანუბიო | 0:1 |
| სერო-სერო ლარგო | 0:1 |
| ლივერპული-პენიაროლი | 3:0 |
| რასინგი-ელ ტანკე | 3:0 |
| რივერ პლეიტი-ბელა ვისტა | 1:2 |
| სერიტო-რენტისტასი | 1:0 |
| მონტევიდეო-რამპლა | 2:0 |
| ნასიონალი-ფენიქსი | 0:0 |

## ვენესუელა

XII ტური

| | |
|---|---|
| ელ ვიხია-რეალ ესპორი | 1:0 |
| ტუკანესი-კარაბობო | 1:0 |
| დ. პეტარე-იარაკუიანოსი | 1:0 |
| დეპ. ლარა-ანსოატეგი | გვ. დასრულდა |
| მონაგასი-ლანეროსი | გვ. დასრულდა |
| სულია-ტრუხილანოსი | გვ. დასრულდა |
| არაგუა-მინეროსი | გვ. დასრულდა |
| სამორა-კარაკასი | გვ. დასრულდა |

## მექსიკა

XV ტური

| | |
|---|---|
| მორელია-ხაგუარესი | 1:0 |
| კრუს ასული-ამერიკა | 3:1 |
| მონტერეი-ატლანტე | 3:2 |
| კერეტარო-ტეკოსი | 3:0 |
| გვადალახარა-პაჩუკა | 2:2 |
| სანტოსი-ატლასი | 3:0 |
| სან ლუისი-ტოლუკა | 5:1 |
| პუებლა-ტიგრესი | 0:1 |
| პუმასი-ტიხუანა | 1:1 |

## ავსტრალია

V ტური

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-პერტი | 2:0 |
| მელბურნი-ბრისბენი | 2:2 |
| სიდნეი-გოლდ კოუსტი | 3:2 |

## ევრო 2012

### UNDER 19

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ფარერები | 3:1 |
| სან მარინო-პორტუგალია | 0:6 |

## ჩემპიონთა ლიგა

### აზია. ფინალი

| | |
|---|---|
| ჩეონბუკი-ალ სადი | 2:2 პენ. 2:4 |

ძიუდო. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ბრინჯაო გასამდა

## გუნდური მე-7, საერთო მე-14

კეიპტაუნში, ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობაზე გამოსვლა ჩვენმა ნაკრებმა ბრინჯაოს სამი მედლით დაამთავრა - პირველ დღეს პრიზიორი **გიორგი მესაბლიშვილი** (55) გახდა, მეორე დღეს - **ლაშა შავდათუაშვილი** (66), შაბათს კი კვარცხლბეკზე **ბექა ღვინიაშვილი** (81) ავიდა. იყო შანსი ჩემპიონატის მეოთხე დღეც ბრინჯაოთი დაგვემთავრებინა, მაგრამ მძიმეწონოსანმა **ლევან მატიაშვილმა** სანუგეშოში ველარ იყოჩაღა და მეშვიდეზე დარჩა.

ღვინიაშვილი 26 ოქტომბერს გახდა 16 წლის და ეს წარმატება ამ ფონზე მით უფრო დასაფასებელია, რადგან რამდენიმე წლით უფროსებთან მოუწია პაექრობამ. თან ეს იყო მისი დებიუტი ახალგაზრდებში, თუმცა ყოველგვარი ადაპტაციის გარეშე მოიპოვა მედალი. თავის ასაკში სპორტსმენი რაც უნდა წარმატებული იყოს, უფროსებში გადასვლას მუდამ თან ახლავს სირთულეები - გაზრდილი დატვირთვები, აბსოლუტურად უცხო მეტოქეები, უფროსებში - გაზრდილი საჭიდაო დრო, ამ ყველაფერს კი შეჩვევა სჭირდება. თანაც ეს უფრო თვალშისაცემი ჭაბუკებიდან ახალგაზრდებში გადასვლისასაა, ვიდრე - ახალგაზრდებიდან დიდებში. ჭაბუკებს ჯერ კიდევ ბავშვური აღნაგობა აქვთ, ძვალ-კუნთოვანი სისტემა არაა იმდენად კარგად განვითარებულ-ჩამოყალიბებული, ახალგაზრდებში კი ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია. ერთ წონაში მოასპარეზე ჭაბუკი და ახალგაზრა ფალავანი საერთო ფიზიკური მასით თანაბარნი კი არიან, მაგრამ ძალის, ღონის თვალსაზრისით მათ შორის მაინც საგრძნობი განსხვავებაა. ამდენი წინააღმდეგობის ერთბაშად დაძლევა სპონტანურად მხოლოდ ტალანტებს შეუძლიათ და ღვინიაშვილიც ასეთია. ის ევროპის ძიუდოს კავშირის ვებგვერდმაც ზუსტად ამ სიტყვით მოიხსენია. შეგახსენებთ, რომ ჩვენებური წლეულს 16-წლამდელებში გახდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მოიგო ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, თან ეს ყველაფერი გააკეთა სულ რაღაც თვე-ნახევრში და რაც ყველაზე მთავარია, ამ ტურნირებში ყველა (17) შეხვედრა წმინდად მოიგო! ასე რომ, ღვინიაშვილი მომავალი ვარსკვლავია.

### იუკოზე გადაჩეხილი მეტოქე

ღვინიაშვილმა ეს ჩემპიონატი უნგრელების შემუსვრით დაიწყო და დაამთავრა - პირველ შეხვედრაში **პეტერ ჰაიმი** დაამარცხა წმინდად, ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლაში კი - ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი **კრისტიან ტოტი** ასევე სუფთად, ფიზიკურად კარგად მომზადებულს წმინდა მოგებები არც ჭაბუკებში უჭირდა და არც აქ გაძნელებია - 5-დან 4 ბრძოლა მოიგო და ყველა იპონით. ჰაიმის შემდეგ, ვიდრე წააგებდა, ღვინიაშვილმა ძირითადში კორეელი **ჯაეჰიუნ ლეე** დაამარცხა, სანუგეშოს პირველ წრეში კი მონღოლ **ოტგონბაატარ ლჰაგვასურენს** დააყრევინა ფარ-ხმალი, რასაც ტოტთან მცირე ფინალში გამარჯვება მოჰყვა. ჩვენებურმა ერთადერთი შეხვედრა მეოთხედფინალში დათმო ევროპის გერმანელ ვიცე-ჩემპიონ **მაქს მუნსტერბერგთან**, რომელმაც პირველ წრეში რუს **ხასან ხალმურზაევს** აუღო რევანში ევროპის პირველობის ფინალში მარცხისთვის და კონტინენტის ჩემპიონი საერთოდ უმედლოდ დატოვა. მართალია, საბოლოოდ გერმანელიც ჯილდოს გარეშე დარჩა, მეხუთეზე გავიდა, თუმცა ურიგო მოჭიდავე ნამდვილად არ არის.

სანუგეშოში ღვინიაშვილმა მონღოლს ვაზარ-იუკოთი მოუგო ანუ ძალიან დიდი უპირატესობით აჯობა. ვაზარი შეხვედრის შუაწელში მოიპოვა, როცა ქამარში ჩავლება წარმატებით გამოიყენა, იპონზე კი შეხვედრის მიწურულს დააგდო. კრისტიან ტოტი ჩვენებურზე ერთი წლით უფროსია და წლეულს თბილისშიც იასპარეზა - **ავთანდილ ჭრიკიშვილთან** წააგო მეოთხედფინალში, თუმცა ღვინიაშვილმა გასაქანი არ მისცა. ჩვენებური ჭკვიანური ტაქტიკით ეჭიდავებოდა, ახლო დისტანციიდან და მუდმივად აკონტროლებდა შეხვედრის მიმდინარეობას, თუმცა ორთაბრძოლის მიწურულს იუკოთი მაინც ჩამორჩა. საბედნიეროდ, არ შედრკა და ანგარიშში მალევე დაწინაურდა - ქამარში ჩავლებით ჩახვეული ფეხით ვაზარზე ჩაჩეხა უნგრელი, ოღონდ მთავარი ამბავი ამის შემდეგ მოხდა, როცა კვლავ ქამარში ჩავლებით ამჯერად გარეფეხით იუკოზე გადაჩეხა მეტოქე და თვითონაც ზედ გადაემხო. აქ ორივემ მსაჯს გახედა, ალბათ, „მატეს" მოლოდინში, მაგრამ არბიტრმა შეხვედრა არ გააჩერა და ტოტი ტატამზე გადაწვა. ღვინიაშვილიც მთელი სხეულით ზედ გადაეფარა და ცოტა კურიოზული იპონი მიითვალა, მაგრამ დროც იწურებოდა და ისედაც იგებდა.

### და დაკარგული შანსი

შაბათ-კვირას მოასპარეზე ქართული ოქტეტიდან მედლის მოპოვების შანსი მხოლოდ მატიაშვილს მიეცა, რომელიც, ეტყობა, ამ წონისთვის ცოტა დაბალიცაა და არც მასა ჰყოფნის. ყოველ შემთხვევაში, ეგვიპტელი **მაისარა ელნაგარიც** და რუსი **ანტონ კრივოკოვიც** ამ მხრივ აღემატებოდნენ მას. მათთან ჩვენებურს გადავლება არ გამოსდიოდა და რაღაც არაეფექტური ჩავლებებით უწევდა დაკმაყოფილება (ეგვიპტელთან მეორე გაფრთხილებაც, ვგონებთ, ამისთვის მისცეს). ვერც ილეთზე წამოღება მოუხერხა ვერც ერთს, რადგან მასზე მძიმეები ტატამიდან ვერ აზიდა. ასეთ პირობებში გაფრთხილებებზე ჭიდაობა უფრო მისაღები ვარიანტი ჩანდა, თუმცა ამან მხოლოდ აფრიკელთან გაამართლა, რომელიც ორჯერ გააფრთხილებინა, მერე კი კისრულითაც გაშხლართა ტატამზე. ვინძლო, კრივოკოვთანაც მიეღწია წარმატებისთვის, მაგრამ ბოლო წამებზე თავისივე შეცდომით დამარცხდა. ეს შეხვედრაც წინას ანალოგიურად წარიმართა - ჩვენებური ისევ უშედეგოდ ცდილობდა კისრულზე იმხელა მეტოქის წამოკიდებას, მაგრამ ვერაფერს გახდა. თან საკმაოდაც დაიღალა, რადგან წინა ორთაბრძოლის შემდეგ მალევე მოუწია საჭიდაოდ გასვლა, თუმცა რუსი უფრო მეტად იყო ქანცგაცლილი. შეხვედრა მთავრდებოდა, როცა კრივოკოვმა კისრული სცადა, მაგრამ უხეიროდ და გვერდულად დაეცა, მატიაშვილი კი ზევიდან მოექცა. აი, აქ საჭირო იყო, ჩვენებურს თვითონ დაეწყო შებოჭვისმაგვარი რაღაც, რომ შეტევის იმიტაცია შეექმნა - ამასობაში დროც ამოიწურებოდა, თუ არადა, მსაჯი გააჩერებდა შეხვედრას, რადგან იქ შეტევის გამწვავების შანსიც არ იყო. ამის ნაცვლად ჩვენებური გაჩერდა, რუსი კი უბრალოდ, გადაგორდა და მატიაშვილიც გადაიყოლა, რომელიც იუკოს შესაფერისად შეეხო ტატამს. საწყენია ასეთი წაგება.

დამამშვიდებელში მატიაშვილი ფიზიკური პარამეტრებით იმდენად არ ჩამორჩებოდა მომავალ ბრინჯაოს მედალოსანს, გერმანელ **სვენ ჰაინლეს**, მაგრამ ქულა ვერც იმას აართვა, კისრულების მცდელობა არც ამჯერად გამოუვიდა. შეხვედრა დამატებითში გაგრძელდა და აი, სწორედ იქ თვითონ გახდა კისრულის მსხვერპლი, როცა მეტოქემ იუკო მიითვალა.

### უსახელოდ ჩარჩენილები

სამწუხაროდ, შაბათ-კვირას მოჭიდავე ჩვენებურებიდან უმეტესობა პირველივე შეხვედრაში დამარცხდა - **გიორგი მერმანიშვილმა** (90) დანიელ **დილან ვან ნუფელთან** წააგო, **დავით მერაბიშვილმა** (100) - ეგვიპტელ **მოჰამედ აბდელრახმანთან**, **გურამ თუშიშვილმა** (100) - იტალიელ **დომენიკო დე გიუდასთან**, **უშანგი კოკაურმა** (+100) - მომავალ ჩემპიონთან, იაპონელ **ტაკეში ოჯიტანისთან**. **შალვა ნინიძემ** (81) და **გიორგი ქავთარაძემ** (90) თითო წრე გაიარეს. ნინიძემ ინდოელი **ავტარ სინგჰხი** გაფრთხილებებით მოახსნევინა, მერე კი წმინდად წააგო რუს მომავალ ვიცე-ჩემპიონ **ალბერტ კოსტოევთან**, რომელიც ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი და რუსთა ეროვნული ნაკრების ლიდერ **აშხაბ კოსტოევის** ბიძაშვილია. ქავთარაძემ ავსტრალიელ **ბრანდონ ბამინის** სუფთად მოუგო, მაგრამ წააგო უკრაინელ მომავალ მესამე პრიზიორ **სტანისლავ პეტინსკის**თან. ამათგან ყველაზე გულდასაწყვეტი მერმანიშვილის ასე ნაადრევად წაგება და უსახელო გამოვარდნაა, რადგან ის ნამდვილად ნიჭიერია და შეუძლია წარმატებით ჭიდაობა. ვერც თუშიშვილს დავძრახავთ, რომელიც ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ ღვინიაშვილისგან განსხვავებით, უცხოურ ტურნირებში ასპარეზობის გამოცდილება აკლია და აქ მასაც დებიუტი ჰქონდა. თუმცა მის მიმართ ლმობიერების მთავარი მიზეზი ისაა, რომ დე გუიდა ევროპის წლევანდელი ჩემპიონია და კეიპტაუნშიც ფინალი იჭიდავა. სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონთაგან მხოლოდ მან და რუსმა **ხუსეინ ხალმურზაევმა** (ეს ზემოხსენებულ ევროპის ჩემპიონ ხასან ხალმურზაევის ძმაა) შეძლეს ფინალში გასვლა, მაგრამ ამჯერად ორივე ვერცხლს დასჯერდა.

მთლიანად ჩემპიონატმა იაპონელთა სრული უპირატესობით ჩაიარა - ბიჭებსა და გოგოებში 16 წონიდან 12-ში იმარჯვეს! საინტერესოა, რომ მათ ორი მონაწილე არც ერთ წონაში არ ჰყავდათ! იქაურთა უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობი გოგოებში იყო, სადაც 8-დან 7 ოქრო მოიპოვეს - მათი ჰეგემონიის დამხობა მხოლოდ ავსტრიელმა **ბერნადეტე გრაფმა** შეძლო 70-ში, რომელიც წლეულს ევროპის ჩემპიონიც გახდა ანუ დუბლი მიითვალა (ერთადერთმა ევროპელმა ბიჭებშიც და გოგოებშიც), იაპონელები კი ამ წონაში საერთოდ უმედლოდ დარჩნენ. ცხადია, მათ ვერც გუნდურ პირველობაში გაუწია ვინმემ კონკურენცია - ბიჭებშიც გაიმარჯვეს, გოგოებშიც და საერთო ჩათვლაშიც. ბიჭებს შორის გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მეშვიდეზე გავიდა, საერთოში - მეთოთხმეტეზე.

**ირაკლი თავაძე**




**კვარცხლბეკი**

**ბიჭები**

**81 კგ.** 1. გოკი მარუიამა (იაპონია), 2. ალბერტ კოსტოევი (რუსეთი), **3. ბექა ღვინიაშვილი (საქართველო),** კავამბაი კოვდალი (ყაზახეთი).

**90 კგ.** 1. კაზბეგ ზანკიშიევი, 2. ხუსეინ ხალმურზაევი (ორივე - რუსეთი), 3. ბენ ფლეტჩერი (ბრიტანეთი), სტანისლავ რეტინსკი (უკრაინა).

**100 კგ.** 1. ხოსე არმენტეროსი (კუბა), 2. დომენიკო დე გუიდა (იტალია), 3. ტაკუმი ასანუმა (იაპონია), ალიხან ძარმოტოვი (რუსეთი).

**+100 კგ.** 1. ტაკეში ოჯიტანი (იაპონია), 2. გუჰამ ჩო (კორეა), 3. სვენ ჰაინლე (გერმანია), ანტონ კრივოკოვი (რუსეთი), **7. ლევან მატიაშვილი (საქართველო).**

**გოგონები**

**63 კგ.** 1. ჰარუნა ოტა (იაპონია), 2. ჰალიმა მოჰამედ-სეგირი (პოლონეთი), 3. კლარის აგბეგნენო (საფრანგეთი), კატერინა ლიალინა (უკრაინა).

**70 კგ.** 1. ბერნადეტე გრაფი (ავსტრია), 2. ნარანჯარგალ ცენდ აიუში (მონღოლეთი), 3. რონგ ჩენი (ჩინეთი), ლიზა შნაიდერი (გერმანია).

**78 კგ.** 1. მამი უმეკი (იაპონია), 2. ჰიუნჯი იიონ (კორეა), 3. ხუუსიე სტეენჰუისი (ჰოლანდია), ჯულია ტილმანსი (გერმანია).

**+78 კგ.** 1. მანამი ინოუე (იაპონია), 2. კაროლინ ვაისი (გერმანია), 3. არა იო (კორეა), ტესიე საველკოულსი (ჰოლანდია).

ჭადრაკი

# ქალებმა ისევ გვასიამოვნეს

ბერძნულ პორტო კარასში გასულ უქმეებზე მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატის ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ქალთა ნაკრები შაბათს პირველ ადგილზე მყოფ სერბებს დაუპირისპირდა. **ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე** და **სალომე მელია,** შესაბამისად, ირინა ჩელუშკინას, ანჟელიკა სტოიანოვიჩსა და ლილია დრლჯევიჩს დაუზავდნენ. გუნდს მომგებიანი ქულა პირველ დაფაზე შავი ფიგურებით მოთამაშე **ნანა ძაგნიძემ** მოუტანა - დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონმა ნატაშა ბოიკოვიჩი დაამარცხა.

ამავე ტურში რუსეთის ნაკრებმა (ნადეჟდა და ტატიანა კოსინცევები, ვალენტინა გუნინა, ალექსანდრა კოსტენიუკი) მშრალი ანგარიშით (4:0) გაანადგურა რუმინეთის გუნდი, ხოლო უკრაინელებმა (კატერინა ლახნო, ანა უშენინა, ინა გაპონენკო, მარია მუზიჩუკი) ჰოლანდიელებს (ნიდერლანდელთა რიგებში თეა ლანჩავამ გაპონენკოსთან წააგო) სძლია 3,5:0,5, ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: გერმანია-სომხეთი 1,5:2,5, ჩეხეთი-თურქეთი 2:2, შვეიცარია-პოლონეთი 0,5:3,5, საბერძნეთი-უნგრეთი 2:2, ისრაელი-ბულგარეთი 1:3.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მე-3 ტურში შოტლანდიის სუსტ გუნდს 3,5:0,5 მოუგო (ბაადურ ჯობავა-ალან თეითი 1:0, გრაჰემ მორისონი-ლევან ფანცულაია 0:1, მიხეილ მჭედლიშვილი-პაულ რობერტსი 1:0, მარტინ მიჩელი-მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5... ისე, 2577 რეიტინგის მქონე გაგუნაშვილს უტიტულო მიჩელთან (2215) ქულის აღება მართებდა). შაბათს ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა აზერბაიჯანელებმა (თეიმურ რაჯაბოვი, ვუგარ გაშიმოვი, შაჰრიარ მამედიაროვი, ელთაჯ საფარლი) ბერძნებს 3:1 აჯობეს, ასეთივე ანგარიშით ესპანელებმა რუმინელები დაჯაბნეს, ხოლო უკრაინელებმა - ხორვატები, რუსებისა და ჰოლანდიელების პაექრობა კი ფრედ (2:2) დამთავრდა.

გუშინ მე-4 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს სომხებმა. პირველ-მეორე დაფებზე ელინა დანიელიანი-ნანა ძაგნიძე და ნაზი პაიკიძე-ლილით მკრტიჩიანი დაზავდნენ, სამაგიეროდ, ნინო ხურციძემ, რომელიც შესანიშნავად თამაშობს ამ ტურნირზე, და სალომე მელიამ, შესაბამისად, ლილით გალოიანი და ნელი აგინიანი დაამარცხეს. ჩვენმა გუნდმა 3:1 გაიმარჯვა. უკრაინელებთან შეხვედრაში წარმატებას მიაღწია რუსეთის ნაკრებმა – 2,5:1,5 (კატერინა ლახნო-ნადეჟდა კოსინცევა 1:0, ტატიანა კოსინცევა-ნატალია ჟუკოვა 1:0, ინა გაპონენკო-ვალენტინა გუნინა 0:1, ალექსანდრა კოსტენიუკი-მარია მუზიჩუკი 0,5:0,5). ლიდერთა დანარჩენი შეხვედრები: პოლონეთი-ბულგარეთი 3:1, რუმინეთი-სერბეთი 2:2, ესპანეთი-საფრანგეთი 0,5:3,5. ოთხი ტურის შემდეგ 8-8 ქულით პირველ-მეორე ადგილებს რუსეთი (საერთო მონაგარი 12,5 ქულა) და საქართველო (10,5) ინაწილებენ. 6-6 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებზე არიან პოლონეთი (11), უკრაინა (10,5) და საფრანგეთი (10,5).

საქართველოს ვაჟთა ნაკრები მე-4 ტურში საბერძნეთთან დამარცხდა 1,5:2,5. ჯობავამ, მჭედლიშვილმა და გაგუნაშვილმა ქულები გაიყვეს ხრისტოს ბანიკასთან, იოანის პაპაიოანუსთან და სთელიოს ჰალკიასთან, ხოლო ფანცულაია დიმიტრიოს მასტროვასილისთან დამარცხდა. ლიდერთა შეხვედრები: აზერბაიჯანი-ესპანეთი 2:2, ბულგარეთი-რუსეთი 3:1, უკრაინა-გერმანია 0,5:3,5, საფრანგეთი-მოლდოვა 2,5:1,5, ჰოლანდია-სერბეთი 2,5:1,5. ოთხი ტურის შემდეგ გერმანიას (11), აზერბაიჯანს (10,5), საფრანგეთს (10,5), ესპანეთსა (10) და ბულგარეთს (10) 7-7 ქულა აქვთ. საქართველოს ნაკრები 4 ქულით მეთექვსმეტეა.

მე-5 ტურში ითამაშებენ: **ქალები.** საქართველო (8/10,5)-რუსეთი (8/12,5), საფრანგეთი (6/10,5)-პოლონეთი (6/11), რუმინეთი (5/7,5)-უკრაინა (6/10,5), სლოვენია (5/10,5)-სომხეთი (5/8), უნგრეთი (5/8)-სერბეთი(5/11), გერმანია (5/10)-ჩეხეთი (5/8,5). **ვაჟები.** აზერბაიჯანი (7/10,5)-საფრანგეთი (7/10,5), გერმანია (7/11)-ბულგარეთი (7/10), ესპანეთი (7/10)-საბერძნეთი (6/10), რუმინეთი (6/10,5)-ჰოლანდია (6/9), რუსეთი (5/9)-უკრაინა (5/9)... საქართველო (4/10,5)-ისლანდია (4/8).

**ვაჟა დანელია**

ფარიკაობა

# რეიტინგში გერმანელთან ერთად მეწინავეობს

ამას წინათ თბილისში 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის თასის ეტაპზე ქართველმა მოხმალავე **სანდრო ბაზაძემ** პირველი ადგილი დაიკავა. ნახევარფინალში მან უკრაინელი ევგენი სტაცენკო დაჯაბნა. ამ სპორტსმენების გზები გუშინ ისევ გადაიკვეთა - ამჯერად კიევში ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიოს თასის ეტაპზე, სადაც 17 ქვეყნის 67 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. ბაზაძემ ქვეჯგუფში ხუთ მეტოქეს სძლია, მეთექვსმეტედფინალში უკრაინელი კონსტანტინ ვორონოვი დაამარცხა 15:12, არადა, თავიდან შეხვედრას 8:13-ს აგებდა. მერვედფინალში სტაცენკოს დაუპირისპირდა, ამჯერადაც 15:12 აჯობა. კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე სანდროს კიდევ ერთი უკრაინელი გადაელობა - იური ცაპი. საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით სახვაძემ** კიევიდან გვაუწყა, რომ, როცა ანგარიში იყო 10:10, რუმინელმა მსაჯმა სამი ჩხვლეტა სანდროს ნაცვლად მასპინძელს ჩაუთვალა, რამაც ცაპს გადამწყვეტი უპირატესობა მოაპოვებინა და საბოლოოდ მან გაიმარჯვა კიდეც - 15:10. ბაზაძე მე-6 ადგილზე გავიდა, რაც 18 წლის სპორტსმენისთვის დიდი წარმატებაა, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ შედეგით მან 23-წლამდელთა ევროპულ რეიტინგში 32-ე ქულა მიითვალა და თანატოლებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ქინდლერთან (გერმანია) ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

კიევის მსოფლიოს თასის გათამაშებაში მონაწილეობდა 17 წლის ქართველი მოხმალავე, კადეტებში წლევანდელი მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი **მიხეილ მარდალეიშვილი,** რომელმაც ჯგუფში ექვსივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ მეთექვსმეტედფინალში ბელარუს აკულასთან დამარცხდა და მე-17 ადგილზე გავიდა. მთავარი პრიზი იური ცაპმა მოიპოვა – ფინალში მან რუს არტურ ოკუნევს აჯობა. მესამე ადგილები ევგენი სტაცენკოს უმცროს ძმას – ალექსის და ევგენი ტერიოშკინს (რუსეთი) ერგოთ.

**ვაჟა დანელია**

## მილოცვა



სპორტის ოსტატს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდის უცვლელ კაპიტანს და მწვრთნელს, საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებულს და პრიზიორს, ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო მედლის კავალერს, ჭეშმარიტ პატრიოტს, უსაყვარლეს ქალბატონს **ლამარა გენგაშვილს** ვულოცავთ დაბადებიდან საიუბილეო 80 წელს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

*საქართველოს კალათბურთის ფედერაცია,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ვეტერანი კალათბურთელები*

®

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება".

ხუან ანტონიო სამარანჩი

● ოლიმპიური საქართველო

## 1988-1992

Barcelona'92

სეულში 1988 წლის ოლიმპიურმა თამაშებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობა და თუ მონაგრით ვიმსჯელებთ, ეს კი მთავარია, საქართველომ ამ წინსვლაში, მცირერიცხოვანი ერების კვალობაზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. შედეგებზე წინა გამოშვებაში მოგითხრეთ. დღეს 1988-1992 წლების ოლიმპიურ ოთხწლეულში მიმდინარე პროცესებზე შევჩერდებით. ეს ოლიმპიური ციკლი მართლაც ისტორიულია საერთოდ და განსაკუთრებით საქართველოსთვის, რადგან საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან პირველებმა ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა ოლიმპიური დამოუკიდებლობისთვის. ამ წამოწყების მოთავედ კი „ლელოს" რედაქცია მოგვევლინა. 1989 წელს სწორედ ჩვენი გაზეთის თანამშრომლებმა შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტიც და უკვე იმავე წლის შემოდგომაზე, 6 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაფუძნდა. იმ დროს ეს იყო წარმოუდგენელი რისკი. თუმცა „პერესტროიკის" პროცესების მიმდინარეობამ მოსკოვი დიალოგზე დააფიქრა.

წინ იყო 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ბარსელონაში. საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტი მოითხოვდა, საქართველოს ბარსელონის ოლიმპიადის დამთავრებამდე მოეცადა, მით უფრო, რომ თამაშებში დამოუკიდებლად ჩვენი მონაწილეობის რეალური პერსპექტივა ჯერ არ ჩანდა. დიალოგი გაგრძელდა თბილისშიც და მოსკოვშიც. მხარს გვიჭერდა მოლდოვა, შემდეგ უკრაინაც. მაგრამ გაჩნდა საშიშროება, რომ რადიკალიზმი ოლიმპიური მოძრაობისგან ჩამოშორებით შეიძლებოდა დამთავრებულიყო. დაიწყო კომპრომისის ძიება. სწორედ საქართველოს და მისი მხარდამჭერების დამსახურება იყო, რომ პირველად საბჭოთა ოლიმპიზმის ისტორიაში, ოლიმპიურ სარბიელზე (ბარსელონაში) დელეგაცია გამოვიდოდა არა საბჭოთა კავშირის, არამედ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" (დსთ) სახელით. ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სპორტსმენის გასწვრივ კი მისი ქვეყნის გვარი დაიწერებოდა, ალლუმზე თავის დროშით გავიდოდა, გამარჯვებულის დაჯილდოებისას კი ეროვნული ჰიმნი აჟღერდებოდა. „ყოფილიო" ვამბობთ იმიტომ, რომ 1992 წლის იმ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო (ეს მოხდა 1991 წლის 26 დეკემბერს). ოლიმპიურ თამაშებს თავისი წესები აქვს, რომელიც განაცხადის ვადებს, მონაწილეთა ლიმიტის მკაცრად დაცვას და სხვა გარანტირებულ თადარიგს მოითხოვს. ამიტომ 1991 წლის 26 დეკემბრიდან ფაქტობრივად რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იყო. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ყოფილი საბჭოთა ქვეყნები დროებით წევრად აღიარა, მაგრამ ორგანიზაციულ საკითხებში სირთულეების თავიდან ასაცილებლად დაჟინებით მოითხოვდა ბარსელონაში "ყოფილების" კვლავ ერთად ასპარეზობას, რაც მოლაპარაკებით დსთ-ს მოდელმა შეცვალა. მაშინ, სხვა გამოსავალი, უბრალოდ არ იყო. ბოიკოტი კი არანაირად არ იქნებოდა გამართლებული. 1992 წლის 9 მარტს ლოზანაში სოკ-ის შტაბბინაში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციამ დამოუკიდებელი გუნდით გამოსვლა კი მოითხოვა, მაგრამ რაკი გაეროს წევრი ჯერ არ ვიყავით, თხოვნა არ დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, მიიღეს წინადადება ქვეყნის დასახელებასთან, დროშასთან და ჰიმნთან დაკავშირებით, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ. საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას ჩვენი დროშით თამაშების გახსნის ცერემონიალზე **დავით ხახალეიშვილი** მიუძღოდა.

ბარსელონაში გაერთიანებულ გუნდში საქართველოს 12 ათლეტი მონაწილეობდა სპორტის 11 სახეობაში. შედეგებს ამავე გვერდზე გამოქვეყნებულ მასალებში გაეცნობით.

## წლის საუკეთესოდ ოლიმპიური ჩემპიონი დასახელდა

1992 წლის სპორტული შედეგების მიხედვით საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმმა საუკეთესო სპორტსმენად ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში **კახი კახიაშვილი** დაასახელა.

● თქვენთვის, ერუდიტებო!

**ვიქტორინა**

**ეძღვნება XXVI ოლიმპიურ თამაშებს**

**1. სად ჩატარდა ბარსელონის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები 1996 წელს?**

ა - სიდნეიში
ბ - ატლანტაში
გ - ათენში

**2. რამდენი ოქროს მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 4
ბ - 2
გ - არცერთი

**3. რომელ ქვეყანას ხვდა წილად საერთო გამარჯვება XXV ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - რუსეთს
ბ - აშშ-ს
გ - გერმანიას

**4. ვინ და სპორტის რომელ სახეობაში მოუტანა პირველად ოლიმპიური მედალი დამოუკიდებელ საქართველოს?**

ა - სოსო ლიპარტელიანმა, ძიუდო
ბ - ელდარ (ლუკა) კურტანიძემ, თავისუფალი ჭიდაობა
გ - ნინო სალუქვაძემ, ტყვიის სროლა

**5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 18
ბ - 26
გ - 36

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ

● საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე

# წლები და შედეგები

## ოლიმპიადა: XXV, ბარსელონა, 1992 წ.

**I ადგილი: დავით ხახალეიშვილი** - ძიუდო (მძიმე წონა); **კახი კახიაშვილი** - ძალოსნობა (90); **ლერი ხაბელოვი** - თავისუფალი ჭიდაობა (100).

**III ადგილი: გიორგი კოლუაშვილი** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (90); **დავით გობეჯიშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა (130); **რამაზ ფალიანი** - კრივი (57); **ლეილა მესხი** - ჩოგბურთი (წყვილთა თანრიგი); **ხათუნა ქვრივიშვილი** (მშვილდოსნობა).

**V ადგილი: ნინო სალუქვაძე** - ტყვიის სროლა (სპორტული პისტოლეტი);

**I - VI ადგილებს მიღმა დარჩნენ: გურამ ბიგანიშვილი** - აფროსნობა (VIII), **ნინო სალუქვაძე** - ტყვიის სროლა (პნევმატური პისტოლეტი); **გიორგი ჩოგოვაძე** - წყალში ხტომა (XVI), **ოლეგ სტრიჟაკოვი** - მძლეოსნობა (კვალიფიკაცია).

**მონაწილე** - 12. ოქრო - 3, ბრინჯაო - 5. სულ 8 მედალი.



## დავით ხახალეიშვილი

დაიბადა 28.02.1971, ქუთაისი. **ძიუდო** (+95 კგ). XXV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1992, ბარსელონა), მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე (1993) და სამგზის მესამე (1991, 93, 95) პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1993, +95 და აბსოლუტური, 1996, +95) და მესამე პრიზიორი (1990), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სამბოში (1996, 97), სსრკ ხალხთა X სპარტაკიადის (1991) და სსრკ ჩემპიონი (1991) ძიუდოში, დსთ-ის ჩემპიონი (1992). XXVI ოლიმპიურ თამაშებში (1996, ატლანტა) აწონაზე დაგვიანების გამო მოხსნეს შეჯიბრებიდან. ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.

## ლერი ხაბელოვი



დაიბადა 05.07.1964, თბილისი. **თავისუფალი ჭიდაობა** (100 კგ). 1993-96 წლებში გამოდიოდა რუსეთის სახელით. XXV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1992, ბარსელონა), XXIV ოლიმპიადის მეორე პრიზიორი (1988, სეული), XXVI ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1996, ატლანტა, ტრავმის გამო მესამე წრიდან გამოეთიშა შეჯიბრებას. საბოლოოდ XIV ადგილი). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1985, 87, 90, 91, 93) და მესამე პრიზიორი (1995), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1985, 87, 88, 92), მსოფლიოს თასის მფლობელი (1991), მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებსა (1982) და ახალგაზრდებს (1983) შორის, სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 87, 88) და მეორე პრიზიორი (1990), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986). თბილისის საერთაშორისო ტურნირში ექვსგზის გამარჯვებული (1985-90), გერმანიის, ბულგარეთისა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1987). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (2000-04) და პირველი ვიცე-პრეზიდენტი (2004-იდან), საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1998-04). ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.



## კახი კახიაშვილი

დაიბადა 13.07.1969, ცხინვალი. **ძალოსნობა** (90, 94, 99 კგ). 1994 წლიდან გამოდიოდა საბერძნეთის სახელით. XXV, XXVI და XXVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1992, ბარსელონა; 1996, ატლანტა; 2000, სიდნეი), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1995, 98, 99) და ორგზის მეორე პრიზიორი (1993, 94), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1992, 93, 95, 96), მეორე (1994) და მესამე (1998) პრიზიორი, ევროპის თანამეგობრობის სამგზის ჩემპიონი (1995, 96, 98), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1993) და მსოფლიოს სუპერთასის გათამაშების ორგზის მეორე პრიზიორი (1992, 94), სსრკ თასის მფლობელი (1991) და დსთ-ის ჩემპიონი (1992). ორჭიდში დამყარებული აქვს მსოფლიო რეკორდი: 420 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996); ატაცში - ორი მსოფლიო რეკორდი: 185,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1994) და 188 კგ (94 კგ კატეგორიაში, 1999); აკვრაში - სამი: 227,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995), 228,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995) და 235 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996). ორჯერ აღიარეს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1992, 93). სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. 2005 წელს აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა.

● ოლიმპიური ორგანიზაციები

## ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასამბლეა

ეს ოფიციალური ორგანიზაცია შეიქმნა 1968 წელს ქ. მეხიკოში, ოლიმპიური თამაშების დღეებში. პირველად კი საკითხი განიხილეს 1965 წელს ქ. რომში, სადაც პირველად გაიმართა ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების თათბირი. 1975 წლამდე ეს ორგანიზაცია ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების მუდმივ გენერალურ ასამბლეად იწოდებოდა.

ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასამბლეა აერთიანებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრ ქვეყნებს. შტაბბინა რომშია. გენერალური ასამბლეის სხდომა ტარდება ორ წელიწადში ერთხელ. ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს უფლება აქვთ მიავლინონ სამი წარმომადგენელი ერთი ხმის უფლებით. ასამბლეის ხელმძღვანელი ორგანოა საბჭო. ოფიციალური ენებია ინგლისური, ფრანგული, ესპანური და რუსული.

● პირველი

**პირველი** სპორტის „გულშემატკივარი" ქალი იყო - **კალიპატრია** - დედა, რომელიც კაცურად გადაცმული შეიპარა ოლიმპიურ სტადიონზე (ქალებს ეკრძალებოდათ ანტიკური ოლიმპიადების სპორტულ შეჯიბრებებზე გამოჩენა) და როცა შვილი ჩემპიონი გახდა, ემოცია ვერ დამალა, გადაეხვია და... იქვე გამჟღავნდა, რომ ქალი იყო. სიკვდილით არ დასაჯეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემპიონის დედა და თავადაც ბრწყინვალე ათლეტთა შთამომავალი იყო.

● ვინ რა თქვა...



„ჟურნალისტებთან საუბარი მუდამ მსიამოვნებდა. ჩემი სურვილი იყო ისეთი შეკითხვები დაესვათ, რომელზედაც საინტერესო იქნებოდა პასუხის გაცემა. ჩვენ, სპორტსმენები, ჟურნალისტებთან შესახვედრად მოჩვენებითი სიმსუბუქით მივდივართ, თუმცა, სინამდვილეში ამისთვის წინასწარ ვემზადებით და ეს ჩვენი სასიამოვნო მოვალეობაა".

**ვიქტორ სანეევი**

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი სამხტომში (წიგნიდან: „მეოთხე სიმაღლე").

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი" /ზაურ ბოლქვაძე/



პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XXI ჩემპიონატი. IV ტური

# ვინსი არა, მაგრამ... კარტერი


ოლიმპი-სოხუმი

შარშან და შარშანწინ, ყოფილა შემთხვევა, მატჩის მიმოხილვა სპორტის სასახლეშივე, მომდევნო თამაშის მსვლელობისას დამიწერია. იგივე წლეულსაც მოვიუსურვე, მაგრამ ვერ ხერხდება, რადგან იმდენად საინტერესო შეხვედრებია, მათი მიმდინარეობისას სხვაზე წერა მოცდენის ტოლფასია. თუ აქამდე ძირითადად იოლი გამოსაცნობი იყო შედეგი და შუა თამაშში რადიკალური ტაქტიკური ცვლილებით შეხვედრის ბედის გადაწყვეტის შანსი თითქმის არ იყო, წლეულს სიტუაცია შეიცვალა: ხარისხიანი ლეგიონერების მომრავლებასთან ერთად მწვრთნელებს ტაქტიკის გამრავალფეროვნების საშუალება მიეცათ, რაც უთუოდ საინტერესო სანახავია.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ყოველ ტურში ახალ-ახალი რეკორდი მყარდება და ახალ-ახალი უცხოელი ჩნდება. მაგალითად, მეოთხე ტურის პირველ მატჩში სოხუმელმა **ლაშა ფარლალავამ** 38 ქულა მოაგროვა, რაც მიმდინარე ჩემპიონატში საუკეთესო მაჩვენებელია. შაბათის ბოლო შეხვედრაში კი ორი დებიუტანტი უცხოელი ვიხილეთ - **ფილიპ სამოილოვიჩი** და **კეიონ კარტერი.**

**5 ნოემბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**ოლიმპი-სოხუმი 90:76**

29:13, 23:18, 25:27, 13:18

**ოლიმპი:** გამყრელიძე (22ქ), სლიუკა (18ქ), გულისაბედაშვილი (11ქ), მ. ბერიშვილი (14ქ), მილუტინოვიჩი (14ქ, 11მ); ნანიტაშვილი, თავართქილაძე (1ქ), სიგუა, მუმლაძე, სულაბერიძე, ჰოგერი (10ქ).

**სოხუმი:** გაფრინდაშვილი, ფარლალავა (38ქ), კანკია, ფაცაცია (18ქ, 13მ), ათუაშვილი (14ქ); როგავა, სორდია (2ქ), ქადარია (4ქ).

**კომისარი:** რ. ხომერიკი

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი

## სადამდე ავა ფარლალავა?

შესავალში დაწყებულს განვაგრძობთ: მიმდინარე სუპერლიგის პირველ ტურში „სოხუმის" ამერიკელმა ფორვარდმა **ბრენდონ გაიმ** 31 ქულა ჩააგდო, მომდევნო ტურში იგივე გაიმეორა მისმა თანაგუნდელმა ლაშა ფარლალავამ, ხოლო მესამე ტურში მათი რეკორდი შსს-ს უკანახაზელმა **რობო კრეპსმა** მოხსნა - 34 ქულა. ვერც ამ რეკორდმა გაძლო დიდხანს: 5 ნოემბერს მანამდე წაუგებელ „სოხუმს" „ოლიმპთან" ძალიან გაუჭირდა. თამაშის გადარჩენა ფარლალავამ სცადა, ქულას ქულა მიაყოლა და რეკორდიც დაამყარა (38), თუმცა მისი კარგი გარჯა გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

სოხუმელები სწრაფი თამაშით ცდილობდნენ შეტევა პირველივე ფაზაში სწრაფად დაესრულებინათ, თუმცა ეს მხოლოდ 12-ჯერ მოახერხეს, გაცილებით უკეთესად გამოსდიოდათ პირველი შეტევა „ოლიმპის" კალათბურთელებს, რომლებმაც საწყის წუთებზე **სლიუკას** სამი სამქულიანის შემდეგ 15:0 გაქცევა მოაწყვეს და 22:6 დაწინაურდნენ. ხორვატ უკანახაზელთან ერთად 10-ქულიან ზღვარს ასცდა ხუთი ოლიმპელი, რაც გუნდური თამაშის კარგი კატალიზატორია.

მეორე ტაიმში „სოხუმმა" გაიბრძოლა, მაგრამ პირველ მარცხს თავი მაინც ვერ აარიდა, „ოლიმპი" კი „არმიასთან" ერთად დაუმარცხებელია.

**5 ნოემბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**შსს-არმია 62:100**

25:18, 9:25, 15:31, 13:26

**შსს:** ნივნივაძე (2ქ), კრეპსი (24ქ), მაქემონი (3ქ), ტუჯანი (4ქ), დვალიშვილი (11ქ, 8მ); ლაფანაშვილი, ნიკოლაძე (3ქ), ლონდარიძე (5ქ), ლომოური, თენიეშვილი (4ქ), იმნაძე (6ქ), ბოქოლიშვილი

**არმია:** გეინსი (14ქ, 12პ), დიასი (14ქ), ბოისა (2ქ), ტომასი (22ქ, 8მ), შელბომი (9ქ, 10მ); რიჩარდსონი (16ქ), ბაბიაშვილი (11ქ), კვიმსაძე (3ქ), მოსეშვილი, ათანელიშვილი (2ქ), საყვარელიძე (6ქ)

**კომისარი:** მ. რატიშვილი

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე, ს. სინერსი

## ტომ 100

ძალოვანთა დაპირისპირება ორი განსხვავებული მონაკვეთისგან შედგებოდა: პირველი საწყის 10 წუთს მოიცავდა, მეორე - მომდევნო 30-ს. აი, რა მოხდა 10 წუთში: შსს-ს სნაიპერმა რობო კრეპსმა 9 ქულა ჩააგდო; მისმა თანაგუნდელებმა 3 სამქულიანი გამოიყენეს („არმიამ" ვერცერთი); პირველი შეტევით შსს-მ 5 ქულა მიითვალა, „არმიამ" - 4; **დავით უსტიაშვილის** გუნდის სათადარიგოთა ანგარიშზე 9 ქულა იყო, **კოტე ტულუშის** სათადარიგოებზე - 0. შესაბამისად, საწყის 10 წუთში შსს 25:18 დაწინაურდა (იყო 9-ქულიანი სხვაობაც).

ევროჩელენჯის მატჩის წინ არმიელებს ასეთი შეფუცხუნება ნამდვილად სჭირდებოდათ. თუმცა საქართველოს ჩემპიონის რიგებში მაღალი კლასის პროფესიონალები არიან თავმოყრილნი და გამოსაფხიზლებლად პირველივე შესვენება ეყოთ - მეორე პერიოდიდან მათ დაცვას ჩვეულად მიხედეს, მეტოქეს საკუთარი ნახევრიდანვე აგრესიულად ეთამაშებოდნენ, რამაც სამქულიანების რეალიზების მაჩვენებელი მინიმუმამდე შეამცირა. ამიტომაც, შსს-მ პირველ მეოთხედში ჩაგდებულ სამ შორეულ ტყორცნას მომდევნო 30 წუთში მხოლოდ ერთი მიამატა.

"გაშლილი პრესინგი" არმიელებს საქართველოს ჩემპიონატში კარგად გამოსდით, გავიხსენოთ წინა ტურში „ქუთაისთან" მატჩი... თუმცა, მწვრთნელმა შაბათს დაცვის კიდევ არაერთი სისტემა მოსინჯა.

მეორე მეოთხედში შეტევაში ყველაფერი მას შემდეგ დალაგდა, რაც „არმიამ" ტემპს უმატა. გამთამაშებელ **სანდიატა ეგინსს** გრძელი, ზუსტი პასებით კარგად გაჰყავდა თანაგუნდელები „დასარტყმელ პოზიციაზე" და თავადაც სწრაფად გადადიოდა მეტოქის ნახევარზე. პირველი მეოთხედის შემდეგ მოედანზე გამოჩნდა **ჯერემი რიჩარდსონი,** რომელზეც წინა ტურშიც დავწერე - სწრაფ თამაშში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. თამაშში გარდატეხისას კი ქულათა სიუხვით გამოირჩა **უილიამ ტომასი**, რომელმაც საბოლოოდ 23 ქულა მოაგროვა და ტურის საუკეთესო კალათბურთელობაზე თამამი განაცხადი გააკეთა.

ზემოთ პირველი მეოთხედის ციფრებზე გელაპარაკეთ. საბოლოოდ „არმიამ" მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა: ფარქვეშიდან ჩაგდებულ ბურთებში - 44:22, პირველი შეტევისას მოგროვილ ქულებში - 37:9, მოხსნებში, სამქულიანებში, პასებში... და 100:62.

მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი შეასრულა სანდიატა გეინსმა, რომელმაც 14 ქულას 12 პასი მიამატა.

**5 ნოემბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**დინამო-სამედიცინო 99:102 დ.დ.**

21:28, 23:14, 29:20, 16:27, 10:13

**დინამო:** ბაქრაძე (7ქ), მარხვაშვილი (15ქ), ნოელი (4ქ), კარტერი (31ქ, 18მ), სუხიშვილი (2ქ); ს. ლეჟავა (5ქ), სანაძე (17ქ), კეიდია (10ქ, 9მ), ალხანაიძე (8ქ), მეხრიშვილი.

**სამედიცინო:** აბაიშვილი (4ქ), ტომარაძე (10ქ), ჩიკვილაძე (28ქ, 8პ), ბექაური (9ქ), ილიჩი (13ქ); კვეტენაძე (1ქ), ყველაშვილი, პირველაშვილი (10ქ), შვანგირაძე (2ქ), ჭოჭუა (17ქ), სამოილოვიჩი (8ქ).

**კომისარი:** მ. რატიშვილი

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი, კ. კუპატაძე

## მედიკოსთა ოვერგამარჯვება

საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე უცხოელთაგან „არმიას" ლეგიონერები სხვა სიმაღლეზე არიან. მათ ევროპასა თუ ამერიკაში ბევრი რამ აქვთ დამტკიცებული. სხვა გუნდებში კი უცხოელები დასამტკიცებლად ჩამოდიან.


შსს-არმია

ამერიკის კოლეჯების ლიგიდან ევროპაში კარიერის ასაწყობად გვეწვია „დინამოს" ტანმაღალი მოთამაშე კეიონ კარტერი, რომელსაც შაბათს დებიუტი ჰქონდა. ვინსი არ არის, მაგრამ კარგი კარტერია. მან პირველივე ტურში გაგვაოცა: 31 ქულა ჩააგდო და მოხსნებში სეზონის რეკორდი გაიმეორა - 18. მწვრთნელი, **დავით თორთლაძე** მას თითქმის არ ცვლიდა... მოკლედ, კეიონმა ჟურნალისტებისგან ყველაზე მეტი ხმა მიიღო და ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. შეიძლება ვინმე არ დაგვეთანხმოს - წაგებული გუნდიდან საუკეთესო რატომ შეარჩიეთო, თუმცა „ალიბი გვაქვს": „დინამოს" არ წაუგია, მატჩი ფრედ დასრულდა და ოვერტაიმში გაგრძელდა.

როგორ განვითარდა მოვლენები ბოლო წუთებზე, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კიდევ ერთ დებიუტანტზე ვთქვათ: „სამედიცინოს" მაისურით პირველად იასპარეზა გამთამაშებელმა **ფილიპ სამოილოვიჩმა**, რომელიც კარტერივით პირველივე მატჩში იოლად ვერ გაუშინაურდა ქართულ კალათბურთს, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მედიკოსებს" დიდ სარგებელს მოუტანს.

მატჩის ბოლოს, როცა „სამედიცინო" ჯარიმებს ისროდა, კეიონი ტაბლოზე რაღაცას ითვლიდა, შემდეგ სათადარიგოთა სკამთან მივიდა და მწვრთნელს უთხრა - 27 ჯარიმა გვაქვს მიღებულიო. მას მერე „დინამო" კიდევ ექვსჯერ დაჯარიმდა (სულ 33). „სამედიცინოს" კი საბოლოოდ 12 ჯარიმა მოუგროვდა. სხვაობა თვალშისაცემია, მაგრამ ეს მსაჯების ერთი გუნდისადმი სიმპათიებზე მიუთითებს თუ არა, ამაზე არბიტრების ზედამხედველები უნდა დაფიქრდნენ.

მეოთხე პერიოდის შუამდე „დინამო" 8-10 ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდა, თუმცა ხუთ-ხუთი ფოლის გამო კალათბურთელთა გამოკლებამ (**ბაქრაძე, კეიდია, ნოელი, ალხანაიძე**) დაღმასვლა გამოიწვია, რასაც „სამედიცინოს" გამოფხიზლება მოჰყვა. მოკლედ, მივყვეთ ქრონოლოგიას.

**IV პერიოდი**

**დინამო-სამედიცინო**

| | |
|---|---|
| 4:55 | ილიჩი 2ძ (80:75) |
| 4:22 | ჩიკვილაძე 2ძ (80:77) |
| 3:52 | პირველაშვილი 1ძ (80:78) |
| 3:38 | ჩიკვილაძე 1+1 (80:80) |
| 3:23 | კეიდია 3ძ (83:80) |
| 2:44 | ჩიკვილაძე 1+1 (83:82) |
| 2:27 | ლეჟავა 2ძ (85:82) |
| 1:50 | კარტერი 2ძ (87:82) |
| 1:41 | ჭოჭუა 2ძ (87:84) |
| 1:21 | კარტერი 2ძ (89:84) |
| 0:46 | ჭოჭუა 2+1 (89:87) |
| 0:18 | პირველაშვილი 1+1 (89:89) |
| 0:02 | სანაძე 2ძ (არაზუსტი) |

**ოვერტაიმი**

| | |
|---|---|
| 4:44 | აბაიშვილი 3ძ (89:92) |
| 4:17 | ჭოჭუა 2ძ (89:94) |
| 3:31 | პირველაშვილი 1+1 (89:96) |
| 3:01 | სანაძე 3ძ (92:96) |
| 2:48 | ჭოჭუა 1+1 (არაზუსტი) |
| 2:30 | ალხანაიძე 2ძ (94:96) |
| 2:04 | მარხვაშვილი 2ძ (96:96) |
| 1:51 | ჩიკვილაძე 2ძ (96:98) |
| 1:33 | კარტერი 2ძ (98:98) |
| 0:51 | ჭოჭუა 2+1 (98:101) |
| 0:17 | ჩიკვილაძე 1+1 (არაზუსტი) |
| 0:12 | ლეჟავა 1ძ (99:100) |
| 0:11 | ილიჩი 1ძ (99:102) |

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 4 | 3 | 1 | 356/295 | 7 |
| 2. ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 344/295 | 7 |
| 3. სტუ | 4 | 3 | 1 | 358/330 | 7 |
| 4. არმია | 3 | 3 | 0 | 279/164 | 6 |
| 5. ოლიმპი | 3 | 3 | 0 | 239/216 | 6 |
| 6. შსს | 4 | 2 | 2 | 329/345 | 6 |
| 7. სამედიცინო | 4 | 2 | 2 | 332/358 | 6 |
| 8. თსუ | 3 | 1 | 2 | 217/226 | 4 |
| 9. ბათუმი | 4 | 0 | 4 | 291/343 | 4 |
| 10. დინამო | 4 | 0 | 4 | 298/384 | 4 |
| 11. რუსთავი | 3 | 0 | 3 | 205/292 | 3 |


დინამო-სამედიცინო

## ტრაგედია გოტინგენში

„არმიის" საევროჩელენჯო მეტოქეს „გოტინგენს" უბედურება დაატყდა - ავტოავარიაში დაიღუპა გუნდის უკანახაზელი მარკო გრიმალდი. მის მანქანას საპირისპირო მხრიდან მომავალი ავტომობილი შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი გზაზე გადმომხტარი გარეული ღორი იყო.

გერმანიის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გოტინგენელებს გასულ უქმეებზე დანიშნული „ბონთან" მატჩის გადადება შესთავაზეს, თუმცა თავად „გოტინგენის" კალათბურთელებმა თქვეს უარი - ამ მატჩს მეგობრის ხსოვნას მივუძღვნითო. შეხვედრა „ბონმა" 84:65 მოიგო.

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გულშემატკივრებმა უარი თქვეს ბარაბნების გამოყენებასა და შეურაცხმყოფელ შეძახილებზე.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი პირველივე ცდაზე


ბესიკ ხამაშურიძის სალელოვე შეტევა

| აია–არმია | 22:29 |
|---|---|

აია:(15-9) ხამაშურიძე, აბრამიძე, იუ. ჩხიკვაძე, გიორგაძე (შარვაშიძე 72), გოშაძე, სინაურიძე, გოგია, (1-8) ლომიძე (ყვანია 68), გურეშიძე (მატკავა 58), ტ. ჩხიკვაძე, მეტრეველი, ძაგნიძე (ჩიტეიშვილი 41), რევიშვილი, შალამბერიძე (ციმაკურიძე 64), დგებუაძე.
ლ: ხამაშურიძე. 5ს,გ: სინაურიძე
სინბინი: რევიშვილი
არმია:(15-9) კობახიძე, ტუჩაშვილი, გაბროშვილი (გაგოშვილი 74), მჭედლიძე, შკინინი, ელიზბარაშვილი, სამხარაძე. (1-8) კაკოვინი (ქორიძე 24), მეკოკიშვილი (ბრეგვაძე 67), დონაძე, ბუჯიაშვილი, ცხადაძე (თხილაიშვილი 57), კალმახელიძე, თავართქილაძე, უდესიანი.
2ლ: ქორიძე, გაგოშვილი. 5ს,2გ: კობახიძე

„ვიცი, რომ ამ თამაშზე დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია. მრავალრიცხოვანი ქომაგი, რომელიც მატჩს დაესწრება, გვინდა, სტადიონიდან შინ კმაყოფილი წავიდეს." - ეს სიტყვები მატჩის წინა დღეს, პრეკონფერენციაზე ქუთაისის „აიას" მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** თქვა. ამ მიზანს ქუთათურებმა მიაღწიეს, თამაში მართლაც ფინალის დარი გამოდგა, ქომაგი ნანახით კმაყოფილი დარჩა. მაგრამ „აიამ" მთავარი მიზნის, 15-წლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ვერ შეძლო.

სამაგიეროდ, სანადელს პირველივე ცდაზე მიაღწია „არმიამ", რომელიც წლეულს მოევლინა რაგბის სამყაროს და მოკლე დროში შეძლო საკმაოდ ძლიერ, ყველასთვის ანგარიშგასაწევ გუნდად ჩამოყალიბება. თუმცა ფინალური მატჩის საწყისი 25 წუთი ისე წარიმართა, ადვილი შესაძლებელი იყო, ზეიმს „აიას" ბანაკი მოეცვა.

ანგარიში ქუთაისელმა მორაგბეებმა დასაწყისშივე, პირველივე იერიშისას, მე-2 წუთზე გახსნეს. საჯარიმო „აიას" მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** გაიტანა - 3:0. თუმცა არმიელებმა საპასუხო შეტევისას მეტოქეს თამაშის წესის დარღვევა აიძულეს და ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** საჯარიმოთივე გაათანაბრა - 3:3.

აქედან მოყოლებული 31-ე წუთამდე ქუთათურებს დაცვაში რაიმე სერიოზული შეცდომა აღარ დაუშვიათ. მე-11 წუთზე კი მეტოქის შეცდომით იხეირეს. შერკინება „აიას" სასარგებლოდ არმიელთა 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან დაინიშნა. იქიდან გამოსული ბურთი ცხრა ნომერმა **ლევან გოგიამ** მარჯვენა ფრთაზე **ბესიკ ხამაშურიძეს** გაატანა, რომელიც მეტოქის ხუთ მორაგბეს გაუმკლავდა და ლელო მიითვალა. სინაურიძემ გარდასახა - 10:3.

ათ წუთში „აიამ" კიდევ ერთი ლელოს გატანის ძალზედ რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. ქუთაისელმა მორაგბეებმა მოწინააღმდეგე კონტრშეტევაზე დაიჭირეს. მარცხენა ფრთაზე სამი აიაელი ერთი არმიელის წინააღმდეგ იყო დარჩენილი, მაგრამ მეორეხაზელმა **ერეკლე მეტრეველმა** თანაგუნდელს გადაცემა დაუგვიანა. „არმიამ" დაცვის ორგანიზება შეძლო, რითაც ლელო აირიდა, მაგრამ თამაშის წესი დაარღვია. სინაურიძემ საჯარიმო ისევ გაიტანა. მანვე კიდევ ერთხელ ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა და ანგარიშში სხვაობა ცამეტ ქულამდე გაზარდა - 16:3.

ამის შემდეგ „აიას" თამაშში რაღაც მოიშალა. იგრძნო რა მარცხის რეალური საფრთხე, „არმია" გონს მოეგო, უფრო აქტიურად და რაც მთავარია, ორგანიზებულად ათამაშდა. ტაიმის დასრულებამდე კობახიძემ ორი საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირა - 9:16.

მეორე ტაიმში „არმიას" უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. საწყის ათ წუთში „აია" საკუთარი 22-მეტრიანი ზონიდან გამოსვლას ვერაფრით ახერხებდა. ქუთათურებმა ფეხით რამდენჯერმე უხეიროდ მოიგერიეს ბურთი, რითაც მეტოქეს ინიციატივის და შეტევის ორგანიზების საშუალებას აძლევდნენ. „არმიამ" ანგარიშის კიდევ უფრო შემცირება 48-ე წუთზე შეძლო. კობახიძემ საჯარიმო გაიტანა, რაზეც ოთხ წუთში სინაურიძემ ასევე საჯარიმოთივე უპასუხა - 19:12.

არმიელებმა ანგარიშის გათანაბრება 57-ე წუთზე მოახერხეს. მათ დერეფანი მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში მოიგეს და მოლით მიაწვნენ. ლელო შეცვლაზე შესულმა პირველხაზელმა **ირაკლი ქორიძემ** გაიტანა. კობახიძემ გარდასახა - 19:19.

რაგბიში გადამწყვეტი ხშირად მატჩის ბოლო 20 წუთია. გამარჯვებას ის აღწევს, ვისაც ამ დროისთვის ძალაც მეტი შერჩება და ოსტატობაც ჰყოფნის. შეხვედრის ამ მონაკვეთში „არმიამ" უკეთ ითამაშა. 66-ე წუთზე კობახიძემ საჯარიმოთი თავისიანები მატჩში პირველად დააწინაურა - 22:19.

თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი შეცვლაზე შესულმა შუამარბმა **გიორგი გაგოშვილმა** იყოჩაღა. მისი პირველივე კონტაქტი ბურთთან ლელოთი დასრულდა. არმიელმა დერეფნის გათამაშებიდან წამოსული ბურთი მეტოქის მოედნის ათმეტრიან ხაზთან მიიღო, ქუთათურთა დაცვის ხაზი გაჭრა და ლელომდე 40 მეტრი ირბინა. კობახიძემ ესეც გარდასახა - 29:19.

ბუნებრივია, რომ „აიამ" მატჩის ბოლო წუთები შეტევაში გაატარა. 78-ე წუთზე სინაურიძემ საჯარიმოთი შვიდ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა - 22:29. მალე ქუთათურებმა საკმაოდ ხანგრძლივი იერიში წამოიწყეს, მაგრამ ლელოსთან მიახლოებულებს ბურთი წინ გაუვარდათ და მატჩის გადარჩენა ველარ შეძლეს.

## მატჩის შემდეგ

**ბესიკ ხამაშურიძე**, „აიას" მოთამაშე მწვრთნელი:

*„მატჩის დასაწყისში ბევრად უკეთ ვითამაშეთ. შეხვედრის სადავეები ჩვენ გვეპყრა ხელთ. „აია" ახალგაზრდული გუნდია და ჯერ ფინალში თამაშის გამოცდილება არ გვაქვს. არ გამოვრიცხავ, რომ ფიზიკური კონდიციებიც გასაუმჯობესებელი გვაქვს, ეს პრობლემა ყველა ქართულ გუნდს აწუხებს. აუცილებლად გვჭირდება კარგი ფიზმომზადების სპეციალისტები.*

*ერთი რამ ამაყად შემიძლია განვაცხადო, ქუთაისის „აიას" ღირსება და სახელი აღდგენილია. მე ამითაც კმაყოფილი ვარ. ბიჭებს მინდა მადლობა გადავუხადო. მომავალ სეზონში უკეთესი გუნდი გვეყოლება".*

**ნიკოლოზ ჭავჭავაძე**, „არმიას" მთავარი მწვრთნელი:

*„მინდა „აიას" მადლობა ვუთხრა შესანიშნავი თამაშისთვის. თავდაპირველად ჩვენმა გუნდმა მობილიზება ვერ შეძლო, მერე გონს მოეგო და თამაში დავალაგეთ. ვიცოდით, რომ შერკინებაში მეტოქე პრობლემებს შეგვიქმნიდა, ამიტომ აქცენტი აუტსა და გაშლილ თამაშზე გავაკეთეთ.*

*ბევრს მიაჩნდა, რომ ერთ წელიწადში ჩემპიონი გუნდის შექმნა შეუძლებელია. მაგრამ დღეს ვანახეთ, რომ ერთსულოვნებით და ბოლომდე ჟინიანი ბრძოლით ყველაფერი შესაძლებელია."*

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**


ბურთით მამუკა ცხადაძე

ევროპის ჩემპიონატი, U-19




# ევროპის სათავეში რუსეთის გავლით

**რუმინეთის** დედაქალაქ ბუქარესტში 19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ფინალში რუსეთის თანატოლთა გუნდი დაამარცხა 20:12 და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიგო.

| საქართველო–რუსეთი | 20:12 |
|---|---|

საქართველო: 15. საბა ნიკოლავა, 14. გიორგი ბიწაძე, 13. ზურაბ ძნელაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. გიორგი ბასილაია, 9. ვაჟა ხუციშვილი. 1. თორნიკე ჯიბლაძე (გიორგი თეთრაშვილი 36), 2. გიორგი ლომთაძე (დავით ხიდეშელი 36), 3. ზაზა ნავროზაშვილი (ვახტანგ ახობაძე 36), 4. გურამ შენგელია, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე, 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ვალერი რაფავა.
2ლ: ხუციშვილი, რაფავა. 2გ,2ს: ნიკოლავა.

ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა დასახული მიზანი ასი პროცენტით შეასრულეს. პროგრამა მინიმუმი ფინალში გასვლა იყო, რაც მომავალ წელს იაპონიაში გასამართ „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" თამაშის უფლებას მისცემდათ. პროგრამა მაქსიმუმი კი, ცხადია, ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება იყო.

ფინალური მატჩი ჩვენი გუნდისთვის საკმაოდ მძიმედ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ დიდ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ვფლობდით, რუსთა გუნდი დაცვაში თითქმის უშეცდომოდ თამაშობოდა. ჩვენი ბიჭები ძირითადად ხელდახელ ბურთაობით ცდილობდნენ მეტოქისთვის პრობლემები შეექმნათ. შეტევის მიმართულების ხშირი ცვლით და მრავალფაზიანი იერიშებით რუსთა ლელოსთან მიახლოებას კი ახერხებდნენ, მაგრამ იქამდე მისულებს ან ბურთი წინ უვარდებოდათ, ანაც რაკში თამაშისას ჯარიმდებოდნენ.

რუსები პირველ ტაიმში სულ სამჯერ გადმოვიდნენ ჩვენი გუნდის ნახევარზე და აქედან ორჯერ საჯარიმოს უფლება მოიპოვეს. ორივეჯერ ზუსტად დაარტყეს და 6:0 დაწინაურდნენ. ანგარიშში სხვაობის შემცირება „პატარა ბორჯღალოსნებმა" ტაიმის მიწურულს მოახერხეს. საჯარიმო ფულბეკმა **საბა ნიკოლავამ** გაიტანა - 3:6. ასე დასრულდა მატჩის პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრების მორაგბეები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, თუმცა მეტოქის გააფთრებული წინააღმდეგობის დასაძლევად 14 წუთი დასჭირდათ. მოედნის ცენტრიდან დაწყებული შეტევა თითქმის სამი წუთი გაგრძელდა, ქართველებმა იერიშის მიმართულებამ ექვსჯერ შეცვალეს და ლელო მე-17 ფაზაზე გაიტანეს. რუსთა ჩათვლის მოედანში მარცხენა ფრთაზე უკანა ხაზში ჩამდგარმა მესამეხაზელმა **ვალერი რაფავამ** შეაღწია. ნიკოლავამ გარდასახა - 10:6.

ამის შემდეგ რუსები საგრძნობლად გააქტიურდნენ და მალე საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირება შეძლეს - 9:10.

ხუთ წუთში ქართველმა მორაგბეებმა მეორე ლელო მიითვალეს, რომელიც პირველის მსგავსად ასევე მრავალფაზიანი შეტევის შედეგი იყო. იერიშის დასკვნით ფაზაში შესანიშნავად გაისარჯა ცხრა ნომერი **ვაჟა ხუციშვილი**, რომელმაც ლელოდან ხუთ მეტრში წარმოქმნილი რაკიდან ბურთი აიტაცა, ცრუ მოძრაობით ორი რუსი მშრალზე დატოვა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ნიკოლავამ ესეც გარდასახა - 17:9.

მატჩის დასრულებამდე გუნდებმა თითო-თითო საჯარიმო გაცვალეს და საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ტიტული ღირსეულად მოიპოვა - 20:12.

საქართველოს ნაკრები ტურნირისთვის შოტლანდიელმა მწვრთნელმა **იან სმიტმა** მოამზადა, მას ეხმარებოდნენ **ირაკლი ჭყონია** და **ვლადიმერ კილასონია**. აი ისინიც, ვინც ევროპის ჩემპიონები გახდნენ:

**თორნიკე ჯიბლაძე, დავით ხიდეშელი, საბა ნიკოლავა** (სამივე-თიბისი), **ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთროშვილი** (ორივე-ალბი), **არჩილ ბეჟიაშვილი მინდია ელგუჯაური** (ორივე-ყოჩები), **სანდრო ქოიავა, ელგუჯა სურგულაძე, დაჩი კოპაძე** (სამივე-ლელო), **გურამ შენგელია** (ჯიქები), **ვახტანგ რაფავა** (ნატალ შარქსი), **ვაჟა ხუციშვილი, გიორგი ბასილაია** (ორივე-ხარები), **ნიკო ჯინჭველაშვილი, ზურაბ ძნელაძე, ნოდარ მარდალეიშვილი, გიორგი ზიბზიბაძე** (ოთხივე-აია), **გიორგი ბიწაძე** (ლოკომოტივი), **მერაბ შარიქაძე, ლევან გოგოლაშვილი** (ორივე-აკადემია), **გიორგი ლომთაძე** (ბრეთფორდი), **ბექა მამრიკიშვილი, ზაზა ნავროზაშვილი** (ორივე-არმია), **ლაშა სირაძე, გიორგი მისრიაშვილი** (ორივე-არმაზი).

**ევროპის ჩემპიონატი. U-19**

**საბოლოო მდგომარეობა**

1. საქართველო, 2. რუსეთი, 3. რუმინეთი, 4. ჰოლანდია, 5. ესპანეთი, 6. პორტუგალია, 7. ბელგია, 8. შვეიცარია.

**მსოფლიოს ალაფი - 2102**

საქართველო, აშშ, კანადა, ჩილე, იაპონია, ზიმბაბვე, რუსეთი, ტონგა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

● ცურვა

# ავსტრალიის 12 ოქრო

მსოფლიოს თასის მეხუთე ეტაპზე, რომელიც სინგაპურის მოკლე აუზში გაიმართა, ავსტრალიის ნაკრებმა 36 მედალი მოიპოვა, მათ შორის 12 უმაღლესი სინჯისა. ავსტრალიელი მოცურავეების გარდა ამ ეტაპზე სამხრეთაფრიკელი **ჩად ლე კლო** დომინირებდა.

ტურნირის მეორე დღეს ყველაზე გრძელი დისტანცია - 1500 მეტრი ავსტრალიელმა **დევიდ მაკოენმა** დამაჯერებლად მოიგო - მან უახლოეს მდევარს **იუმა კოსაკას** 15 წამი მოუგო. დევიდის წარმატება მისმა უმცროსმა დამ - **ემამ** გაიმეორა. სხვათა შორის ის ძმისგან განსხვავებით, სპრინტერულ დისტანციებზე სპეციალიზდება. შარშან ემამ ოთხი მედალი მოიგო იუნიორთა ოლიმპიადაზე, რომელიც სწორედ სინგაპურში გაიმართა. ახლა კი 17 წლის ავსტრალიელმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა, თანაც ბრწყინვალე შვედი **ტერეზა ალშამარი** დაამარცხა შესანიშნავი შედეგით - 52.41. ვეტერანმა იუნიორთან ექვსი მეათედი დათმო.

ამავე დისტანციაზე ალსანიშნავია **ლისბეტ ტრიკეტის** გამოსვლა, რომლისთვისაც **იან ტორპის** მსგავსად, ეს იყო მისი პირველი საერთაშორისო ტურნირი კარიერის განახლების შემდეგ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა მეხუთე შედეგი აჩვენა.

საინტერესო ბრძოლა იყო ორ ავსტრალიელს შორის მამაკაცთა ბრასში. **ბრენტონ რიკარდი** ყველაზე ტიტულოვანი მოცურავეა ამ სტილში, მაგრამ პარასკევს ორჯერ წააგო თავის თანამემამულე **კრისტიან სპრენგერთან** - თავიდან ოქრო 50 მეტრზე და შემდეგ ბრინჯაო 200 მეტრზე. საყვარელი ასმეტრიანი დისტანცია რიკარდის ბოლო იმედი იყო, მაგრამ აქაც ჩამორჩა ახალგაზრდა სპრენგერს. ბრენტონი 75 მეტრის განმავლობაში ლიდერობდა, მაგრამ ფინიშზე უკეთ კრისტიანმა იმუშავა და რიკარდს სამი მეასედი მოუგო.

მსოფლიოს თასის ეტაპებზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა ავსტრალიელმა გულაღმა მოცურავემ **რეიჩელ გომ**. წინა დღეს მან დაადასტურა მაღალი კლასი 50 მეტრზე - ეს დისტანცია მან ზედიზედ მეოთხედ მოიგო, შაბათს კი წარმატებას მიაღწია ორჯერ გრძელ დისტანციაზე. სულ კი ავსტრალიის ნაკრებმა სინგაპურში 12 ოქროს, 16 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

თუმცა ავსტრალიელების რამდენიმე მოულოდნელი მარცხიც ვიხილეთ. ასე მაგალითად, 200 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ჯესიკა შიპერმა** ამ დისტანციაზე სამეულში შესვლაც ვერ შეძლო, არადა, სამი მეოთხედი ლიდერთა შორის იყო. ხოლო მამაკაცებს შორის 50 მეტრზე თავისუფალში რამდენიმე ძლიერი ავსტრალიელი გამოდიოდა - **კაილ რიჩარდსონი, მეტ ებოდი, იმონ სალივანი**, მაგრამ გამარჯვება ჩინელმა **ლუ ჟივუმ** მოიპოვა.

რაც შეეხება იან ტორპს, ის ამჯერად ვერ ვიხილეთ ფინალურ გაცურვებში - ლეგენდარულმა ავსტრალიელმა 100 მეტრზე ბატერფლაის ფინალში გასვლა ვერ შეძლო.

სამხრეთაფრიკელმა ჩად ლე კლომ, ისევე როგორც დუბაიში, აქაც ექვსი ოქრო მოიპოვა! თუმცა შაბათს სამი გამარჯვება რთულ ბრძოლაში იქნა მოპოვებული. 200 მეტრზე კროლში ლე კლოსთვის კონკურენციის გაწევა სცადა ავსტრალიელმა **კემერონ მაკივოიმ**, მაგრამ ბოლო 25 მეტრი ჩადს დარჩა. კომპლექსურში ლე კლო ბოლო სახეობის წინ შვიდ მეათედს აგებდა **კოსუკე ჰაგინოსთან**, მაგრამ აქაც ფინიში უკეთ გამოუვიდა. დაბოლოს, 100 მეტრზე ბატერფლაიში ლე კლო ისევ დაეწია კონკურენტებს და კენიელი **ჯეისონ დანფორდის** ბრწყინვალე სასტარტო გარღვევის მიუხედავად, მაინც პირველი მივიდა ფინიშთან.

სინგაპურის შემდეგ ჩადის მონაგარმა ამ სეზონში 16 გამარჯვებას მიაღწია მსოფლიოს თასის ეტაპებზე. თანაც მან საუკეთესო შედეგი აჩვენა ამ ტურნირზე და საერთო ჩათვლაში ლიდერობა გაიმყარა. ის უახლოეს მდევარ **ჰიდემასუ სანოს** 41 ქულით უსწრებს.

ქალებს შორის ბრძოლა უფრო დაძაბულია - ალშამარმა ხუთი ეტაპის შემდეგ 70 ქულა დააგროვა და გაუთანაბრდა მისი ფრანკლინს. მაგრამ ეს უკანასკნელი, ალბათ, არ გამოვა ჩინეთსა და ტოკიოში დასკვნით ორ ეტაპზე, ამიტომაც შვედს დიდი შანსი აქვს გაიმეოროს შარშანდელი შედეგი, როცა მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



● ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| საბერძნეთი | |
|---|---|
| კოლოსოსი-დრამასი | 77:73 |
| პანიონისი-არისი | 78:66 |
| პანათინაიკოსი-იკაროსი | 93:58 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ალიკანტე-გრან კანარია | 58:55 |
| ბარსელონა-ხუვენტუდი | 82:70 |
| კახა ლაბორალი-ობრადოირო | 72:53 |
| მურსია-ფუენლაბრადა | 71:65 |
| უნიკახა-ვალიადოლიდი | 78:51 |
| ესტუდიანტესი-სარაგოსა | 67:63 (ო) |
| ლაგუნ არო-ვალენსია | 80:86 |
| რეალი-სევილია | 78:65 |

| გერმანია | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-არტლანდი | 83:90 |
| ბაიროიტი-გისენი | 74:52 |
| ალბა-ოლდენბურგი | 97:67 |

| იტალია | |
|---|---|
| აველინო-სასარი | 96:79 |
| ვაროლი-ბიელა | 58:79 |
| ვარეზე-კაზერტა | 85:82 |
| კაზალე-მილანი | 64:67 |
| სკავოლინი-ვენეცია | 58:71 |
| ტერამო-ბოლონია | 73:72 |
| ბენეტონი-კანტუ | 72:55 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ეფესი-ბანვითი | 84:76 |
| ბანდირმა-მერსინი | 63:77 |
| ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე | 83:78 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვილერბანი-ნანსი | 77:92 |

**ხელბურთი**

| სუპერთასი | |
|---|---|
| გერმანია-ესპანეთი | 23:27 |
| დანია-შვედეთი | 23:26 |

**ფრენბურთი**

**მსოფლიოს თასი**

| ქალები | |
|---|---|
| დომინიკა-იტალია | 0:3 |
| კენია-სერბეთი | 1:3 |
| არგენტინა-ალჟირი | 3:1 |
| გერმანია-ბრაზილია | 1:3 |
| ჩინეთი-იაპონია | 3:2 |
| აშშ-კორეა | 3:0 |

**[illegible]**

| [illegible] | |
|---|---|
| ს. იულიაევი-ბარისი | 2:4 |
| იუგრა-ტრაქტორი | 5:4 (ბ) |
| აკ ბარსი-ავტომობილისტი | 4:3 |
| ატლანტი-ავანგარდი | 3:2 |
| სკა-მეტალურგი (მ) | 3:2 |
| დინამო (მნ)-ვიტიაზი | 3:2 |
| დინამო (რ)-სევერსტალი | 1:4 |
| ლევ პოპრადი-სპარტაკი | 2:3 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ზაგრები-ვილახი | 7:1 |
| აკრონი-ვენა | 3:2 |
| ალბა-კლაგენფიურტი | 5:2 |
| ზნოიმო-გრაცი | 0:3 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 3:2 (ო) |

| გერმანია | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 3:2 |
| ჰამბურგი-კრეფელდი | 2:1 (ბ) |
| იზერლონი-მიუნხენი | 2:3 (ბ) |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 4:0 |
| დიუსელდორფი-აუგსბურგი | 4:0 |
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 2:3 |
| შტრაუბინგი-აისბარენი | 2:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ვოლერენგა-ფრისკ ასკერი | 13:3 |
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი | 3:0 |
| რუსენბორგი-სტორჰამარი | 4:1 |
| სტავანგერი-სტიერნენი | 7:4 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ბლუზი-იოკერიტი | 4:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სლავია-პლზენი | 0:3 |
| ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 4:3 |
| ლიბერეცი-ზლინი | 2:1 (ო) |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 2:3 (ბ) |
| კლადნო-ტრშინეცი | 2:6 |
| პარდუბიცე-ბრნო | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბაზელი | |
|---|---|
| ფედერერი-ნიშიკორი | 6:1, 6:3 |

| ATP. ვალენსია | |
|---|---|
| გრანოლერსი-მონაკო | 6:2, 4:6, 7:6 |

| WTA. ბალი | |
|---|---|
| პანტუხოვა-პეტროვა | 2:6, 7:6, 0:6 |
| მედინა გარიგესი-ივანოვიჩი | 3:6, 0:6 |

| ფედერაციის თასი | |
|---|---|
| კუზნეცოვა-კვიტოვა | 6:4, 2:6, 3:6 |
| პავლიუჩენკოვა-საფაროვა | 6:2, 6:4 |

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**5 ნოემბერი**

**კაროლინა-ვაშინგტონი 1:5**

**1:0, 0:2, 0:3**

**გოლები:** 1:0 ე. სტიუარტი-3 (ჰარისონი-4, სკინერი-7), 1:1 ჰალპერნი-1 (ნუბლი-5, ელზნერი-4), 1:2 ბროუერი-3 (მ. იოჰანსონი-2, იკინი-1), 1:3 ჯ. კარლსონი-1 (ბექსტრიომი-11, ოვეჩკინი-6), 1:4 იკინი-1 (სიომინი-5), 1:5 ბექსტრიომი-5 (ოვეჩკინი-7, ბროუერი-4).

**ბაფალო-კალგარი 2:1**

**1:0, 0:0, 1:1**

**გოლები:** 1:0 სტეფორდი-4 (დ. როი-4, სეკერა-3), 2:0 გერბე-3 (გრანიანი-4), 2:1 ტანგეი-3 (ბოუმისტერი-3, სტაიანი-2).

**ოტავა-მონრეალი 1:2**

**0:0, 0:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 ე. კოული-3 (კამალერი-3, დეშარნე-6), 0:2 ა. კოსტიცინი-4 (ელერი-3), 1:2 ზ. სმიტი-2 (კონდრა-3, კუბა-5).

**ტამპა ბეი-ჩიკაგო 4:5 (ო)**

**0:0, 4:4, 0:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 სტემკოსი-7 (მელოუნი-5, მ-ა. ბერჟერონი-12), 1:1 შარპი-4 (ტეუვზი-4, პ. კეინი-9), 2:1 ბ. კონოლი-2 (სან ლუი-8, ლეკავალიე-5), 2:2 მარიან ჰოსა-7 (პ. კეინი-10, მონტადორი-2), 2:3 კარჩილო-1, 2:4 შარპი-5 (პ. კეინი-11, მარიან ჰოსა-6), 3:4 სტემკოსი-8 (პურსელი-7), 4:4 სტემკოსი-9 (სან ლუი-9, მელოუნი-6), 5:4 ლეკავალიე-6 (სან ლუი-10, მ-ა. ბერჟერონი-13).

**სენტ ლუისი-ვანკუვერი 3:2**

**1:1, 1:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 ბაროუზი-5, 1:1 ოში-2 (ნიკოლი-1, პოლაკი-4), 2:1 ოში-3 (სობოტკა-4, ბეკსი-3), 2:2 კესლერი-2 (ჰამჰუისი-4, ედლერი-10), 3:2 ბეკსი-4 (შატენკირკი-6, ოში-5).

**დალასი-კოლორადო 7:6 (ო)**

**0:2, 4:2, 2:2, 1:0**

**გოლები:** 0:1 მაკლემანი-1 (ქუინსი-7), 0:2 დიუშენი-3 (კობესიუ-1, რ. ო'რაილი-8), 1:2 ლ. ერიქსონი-7 (ბენი-9, გოლიგოსკი-4), 2:2 სურეი-4 (ბენი-10, ბარიში-3), 3:2 ფიდლერი-3 (რაიდერი-2, ლ. ერიქსონი-4), 4:2 გოლიგოსკი-2 (რობიდასი-2, რიბეირო-8), 4:3 დიუშენი-4, 4:4 პ. შჩასტნი-3 (დიუშენი-5, რ. უილსონი-5), 4:5 ვინიკი-3 (ო'ბრაიენი-3, რ. უილსონი-6), 5:5 ნისტრიომი-2 (დვორაკი-4, ფიდლერი-2), 5:6 დიუშენი-5 (ჯ. ჯონსონი-7, რ. უილსონი-7), 6:6 ბენი-3 (რობიდასი-3, რაიდერი-3), 7:6 ლ. ერიქსონი-8 (რობიდასი-4, ბენი-11).

**6 ნოემბერი**

**დეტროიტი-ანაჰაიმი 5:0**

**1:0, 2:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 კრონვალი-2 (ფილპულა-6, ფრანცენი-4), 2:0 ზეტერბერგი-3 (ფრანცენი-5, ლიდსტრიომი-5), 3:0 ლიდსტრიომი-4 (დ. მილერი-3, ბრუნსტრიომი-1), 4:0 ლიდსტრიომი-5 (დაციუკი-7, ი. უაიტი-3), 5:0 ფრანცენი-5 (ი. უაიტი-4).

**ფილადელფია-კოლამბუსი 9:2**

**5:0, 3:0, 1:2**

**გოლები:** 1:0 ვან რიმსდიკი-6 (გუსტაფსონი-1, ბრიერი-7), 2:0 იაგრი-6 (კ. ჟირუ-10, ტიმონენი-10), 3:0 ტელბოტი-5 (ვორაჩეკი-4), 4:0 კ. ჟირუ-9 (იაგრი-9), 5:0 ვორაჩეკი-3 (ტელბოტი-3, მეზაროში-4), 6:0 კუტურიე-4 (ქობურნი-3, უელვუდი-1), 7:0 სიმონდსი-3 (ვან რიმსდიკი-5), 8:0 მ. კარლი-3 (ვან რიმსდიკი-6, ბრიერი-8), 8:1 დორსეტი-2 (ნეში-7), 9:1 კუტურიე-5 (ვორაჩეკი-5, ზოლნირჩიკი-1), 9:2 კლიტსომი-1 (პროსპალი-6, ა. ჯონსონი-4).

**რეინჯერსი-მონრეალი 5:3**

**3:0, 1:2, 1:1**

**გოლები:** 1:0 კრისტენსენი-1 (სტეპანი-3, გაბორიკი-5), 2:0 ჟირარდი-2 (ანისიმოვი-4, კრისტენსენი-3), 3:0 დელ ზოტო-2 (სტეპანი-4, ანისიმოვი-5), 3:1 პასიორეტი-5 (ჯონტა-5, პლეკანეცი-6), 3:2 ა. კოსტიცინი-5 (პლეკანეცი-7, კამალერი-4), 4:2 ბ. რიჩარდსი-4 (პრუსტი-3, დევო-1), 4:3 ჯონტა-3 (შპაჩეკი-3, პლეკანეცი-8), 5:3 კელეჰანი-6 (მაკდონაჰი-3, დუბინსკი-6).

**აილენდერსი-ვაშინგტონი 5:3**

**0:2, 2:0, 3:1**

**გოლები:** 0:1 ჯ. უორდი-4 (ჯ. კარლსონი-4, ჰალპერნი-4), 0:2 ოვეჩკინი-6 (ბექსტრიომი-12, შულცი-4), 1:2 ნილსენი-3 (პარენტო-8), 2:2 როლსტონი-1 (ნილსენი-2, პარენტო-9), 3:2 მ. მარტინი-2 (სტაიოსი-2, ბეილი-1), 3:3 ლეიჩი-2 (ვიდემანი-8, ბექსტრიომი-13), 4:3 პარენტო-2 (იურჩინა-1, ნილსენი-3), 5:3 ტავარესი-8 (დი პიეტრო-1).

**ნიუ ჯერსი-ვინიპეგი 3:2 (ო)**

**გოლები:** 1:0 ელიაში-6 (ზუბრუსი-1, სალვადორი-1), 2:0 ენრიკე-2 (პარიზე-2), 2:1 ფლიუდი-1 (ბიფულინი-4), 2:2 სლეიტერი-5 (ფრუდი-1, ბიფულინი-5), 3:2 ენრიკე-3 (პარიზე-3, ა. ლარსონი-2).

**ოტავა-ბაფალო 2:3 (ბ)**

**1:0, 1:2, 0:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 მ. მიხალეკი-9 (ფილიპსი-3, ანდერსონი-1), 1:1 დ. როი-2 (ლეინო-2, სეკერა-4), 1:2 ლეოპოლდი-2 (გერბე-5, გოსტადი-2), 2:2 კონდრა-1 (ზ. სმიტი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** მ. მიხალეკი (ოტავა), ვანეკი (ბაფალო), სპეცა (ოტავა), ბოიესი (ბაფალო), დ. როი (ბაფალო).

**ტორონტო-ბოსტონი 0:7**

**0:1, 0:4, 0:2**

**გოლები:** 0:1 სეგუინი-5 (პევერლი-4, პ. ბერჟერონი-5), 0:2 სეგუინი-6 (პ. ბერჟერონი-6), 0:3 ლუჩიჩი-5 (ხარა-6, კრეისი-1), 0:4 სეგუინი-7 (პ. ბერჟერონი-7, მარჩანდი-4), 0:5 კრეისი-2 (ლუჩიჩი-5, ფერენსი-5), 0:6 ლუჩიჩი-6 (კრეისი-2, ხარა-7), 0:7 გ. კემპბელი-1 (შ. ტორნტონი-2).

**მინესოტა-სენტ ლუისი 2:1**

**0:0, 2:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 ჰიტლი-4 (მ. კოივუ-7, პროსპერი-1), 2:0 ლატენდრესი-3, 2:1 ლანგენბრუნერი-1 (სობოტკა-5, პიეტრანჯელო-4).

**ფინიქსი-ედმონტონი 4:2**

**0:0, 2:0, 2:2**

**გოლები:** 1:0 ლენგკოუ-3 (იენდლი-7, მ. სმიტი-1), 2:0 ა. ოკუანი-1 (ო'სალივანი-1), 2:1 ნიუჯენტი-ჰოპკინსი-6 (ებერლე-8, რ. სმიტი-6), 3:1 ბ. გორდონი-2 (რეი უიტნი-8, ვრბატა-6), 3:2 პეკჰემი-1 (ტოიბერტი-1, პააიარვი-1), 4:2 რეი უიტნი-6 (ვრბატა-7, ბ. გორდონი-4).

**სან ხოსე-ნეშვილი 3:4**

**0:0, 2:1, 1:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 ლეგუანდი-4 (ჰორნკვისტი-1, კ. უილსონი-5), 1:1 პაველსკი-9 (კუტური-4, ჯ. ტორნტონი-7), 2:1 ჰავლატი-1 (კუტური-5, ქლოუ-6), 3:1 კუტური-5 (პაველსკი-6, ჯ. ტორნტონი-8), 3:2 ჰორნკვისტი-6 (შ. უებერი-5, ბუიონი-1), 3:3 რ. სატერი-3 (ერატი-2, შ. უებერი-6), 3:4 ლეგუანდი-5 (ბუიონი-2).

**ლოს ანჯელესი-პიტსბურგი 2:3 (ბ)**

**0:1, 1:0, 1:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 სალივანი-1 (ლეტანგი-12, ჯ. ნილი-5), 1:1 კოპიტარი-7 (ჯასტინ უილიამსი-6, მეტ გრინი-3), 2:1 საიმონ განიე-4 (კოპიტარი-9, ჯასტინ უილიამსი-7), 2:2 კუნიტცი-5 (ჯ. სტაალი-4, დუპუი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** კოპიტარი (ლოს ანჯელესი), ლეტანგი (პიტსბურგი), კუნიტცი (პიტსბურგი).

● TV პროგრამა

**7 ნოემბერი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტური. ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. დორტმუნდი-ვოლფსბურგი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. პალერმო-ბოლონია.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტური. მარსელი-ნიცა.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. უტრეხტი-აიაქსი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტური. რასინგი-არგენტინოს ხუნიორსი.
00:00 ბრაზილიის. ჩემპიონატი. XXXIII ტური. ამერიკა მინეირო-კორინთოანსი.
02:00 სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ევიანი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ჩიკაგო-მაიამი.
14:40 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნოვარა-რომა.
17:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. სინგაპური.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ინტერი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
22:30 საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
23:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ჩიკაგო-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ანა ივანოვიჩი-ანაბელ მედინა გარიგესი. ბალი. ინდონეზია.
11:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიმოხილვა. ვალენსია. ესპანეთი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიმოხილვა. ბაზელი. შვეიცარია.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. I დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

05:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. ფილადელფია-ჩიკაგო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

22:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

14:00 ATP-ის ტური. მასტერსის სერია. I დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ATP-ის ტური. მასტერსის სერია. I დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

18:45 რუსეთის ჩემპიონატი. ხიმკი-სპარტაკი (LIVE).

**EUROSPORT**

17:00 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. III დღე. პერტი (LIVE).
22:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


დევიდ სტერნი

# სტერნი: ლოკაუტი 9 ნოემბერს უნდა დასრულდეს

გუშინ ნიუ იორკში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბების მფლობელებისა და მოთამაშეთა პროფკავშირის მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელზეც დაპირისპირებულმა მხარეებმა კიდევ ერთხელ სცადეს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება. შეხვედრაში, რომელიც შვიდ საათს გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელმა შუამავალმა **ჯორჯ კოენმა**. აქვე იყო „შარლოტ ბობკეტსის" მფლობელი, ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი**, რომლის შესახებაც შეხვედრის წინ დაიწერა, რომ ის სათავეში უდგას კლუბების მფლობელთა იმ ჯგუფს, რომელიც ჯიუტად მოითხოვს ლიგის საერთო შემოსავლის თანაბრად განაწილებას. ასეთი დაახლოებით 12 მფლობელია. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ჯორდანი მხარს უჭერდა ვარიანტს, რომლის მიხედვითაც მოთამაშეების წილი 47 პროცენტი უნდა ყოფილიყო.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ამერიკულმა პრესამ დამაიმედებელი ინფორმაცია გაავრცელა - მფლობელები და პროფკავშირი მაქსიმალურად მიუახლოვდნენ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას. მოგვიანებით დაპირისპირებული მხარეების კომენტარებიც მოვისმინეთ, რომელიც აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი იყო.

NBA-ის კომისრის **დევიდ სტერნის** თქმით, ის ლოკაუტის დასრულებას 9 ნოემბრისთვის ვარაუდობს, პროფკავშირების პრეზიდენტი **დერეკ ფიშერი** კი იმედგაცრუებას გამოთქვამს შეხვედრის შედეგების გამო.

*„ჩვენ დათმობაზე წავედით და შემოსავლის ისეთი განაწილება შევთავაზეთ კალათბურთელებს, რომლის მიხედვითაც ისინი 51 პროცენტს მიიღებენ. მოლაპარაკებათა მომდევნო რაუნდი ოთხშაბათს, 9 ნოემბერს გაიმართება. თუ პროფკავშირი უარს იტყვის ჩვენს ახალ პირობებზე, მაშინ მფლობელები მოთამაშეებს 47 პროცენტზე მეტს აღარ შესთავაზებენ. ორივე მხარემ კარგად უნდა აწონ-დაწონოს ის, რაც დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ"*, - სტერნის სიტყვები ძალიან ჰგავს ულტიმატუმს.

დერეკ ფიშერი: *„კიდევ ერთი ნაღვლიანი დღე იყო NBA-ის თაყვანისმცემლებისთვის. ძალიან იმედგაცრუებული ვარ შეხვედრის შედეგების გამო. მფლობელების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით, რათა სწრაფად მოგვეგვარებინა ყველა უთანხმოება და კონსენსუსისთვის მიგვეღწია. მაგრამ ჩვენს შორის კვლავ დიდი უფსკრულია. არადა, ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ გარანტიებსა და კალათბურთელების შრომის ანაზღაურების სამართლიან სისტემას".*

# ფარმარი ევროპას ეჩვევა

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტური ათენში დასრულდა, სადაც ტურნირის მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსი" B ჯგუფის ერთ-ერთ აუთსაიდერ კაუნასის „ჟალგირისს" მასპინძლობდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნებმა დიდი ანგარიშით გამარჯვება შეძლეს, თუმცა მატჩის მეორე მეოთხედში მასპინძლებს გაუჭირდათ და 10-წუთიანი მონაკვეთი რვა ქულით წააგეს, რამაც დიდი შესვენებისთვის ლიტველებს ოთხქულიანი უპირატესობა მოუტანა. მაგრამ „ჟალგირისმა" მთლიანად ჩააგდო მესამე მეოთხედი და შემდეგ წინ გაჭრილი გრანდის დაწევა ველარ შეძლო.

**B ჯგუფი**

**პანათინაიკოსი-ჟალგირისი 92:75**

**25:21, 13:21, 26:13, 28:20**

პ: დიამანტიდისი (16), ბატისტი (14), ლოგანი (13), ვუიუკასი (13).

ჟ: უიმსი (21), ლოუსონი (14), რაკოვიჩი (12).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 3 | 0 | 75 |
| 2. პანათინაიკოსი | 3 | 0 | 57 |
| 3. უნიკახა | 2 | 1 | -13 |
| 4. ბამბერგი | 1 | 2 | 10 |
| 5. ჟალგირისი | 0 | 3 | -37 |
| 6. ზაგრები | 0 | 3 | -92 |

■ ■ ■

ტრადიციულად, ევროლიგამ ტურის საუკეთესო მოთამაშე გამოავლინა. ყველაზე სასარგებლო კალათბურთელი გახდა „ნიუ ჯერსი ნეტსის" მცველი **ჯორდან ფარმარი**, რომელიც ლოკაუტის პერიოდში თელ-ავივის „მაკაბის" ღირსებას იცავდა.



ჯორდან ფარმარი

ფარმარი თანდათან ეჩვევა ევროპულ კალათბურთს. თუ პირველ ორ ტურში არც ისე დამაჯერებელ თამაშს აჩვენებდა, ამჯერად, ამერიკელი „მაკაბის" ნამდვილ ლიდერად წარმოგვიდგა. „რეალის" წინააღმდეგ ის ბევრს აგდებდა, პასებსაც უხვად არიგებდა და უნარიანად მიჰყავდა თამაში. საბოლოოდ, ჯორდანმა 27 ქულა, ხუთი შედეგიანი პასი და ოთხი მოხსნა მიითვალა.

სარგებლიანობის მიხედვით ტურის მეორე მოთამაშე გახდა **ეისი ლოუ**, მესამე - **რიმანტას კაუკენასი**.

ჩოგბურთი. ტურნირები

# ჯოკომ მშრალად წააგო

ბაზელის ტურნირზე ვერ ვიხილეთ დამაინტრიგებელი ფინალი **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **როჯერ ფედერერს** შორის. სერბმა ჩოგბურთელმა სენსაციურად წააგო ნახევარფინალი **კეი ნიშიკორისთან** და ახლა, გადამწყვეტ მატჩში ფედერერი სწორედ იაპონელ ჩოგბურთელს შეხვდება.



კეი ნიშიკორი

ნიშიკორი შესანიშნავ ფორმაში შეხვდა ბაზელის ტურნირს. პირველ წრეში მან მეოთხე ნომრად განთესილი **ტომაშ ბერდიხი** დაამარცხა, თუმცა ვერავინ იფიქრებდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანის შეჩერებას შეძლებდა. სერბ ჩოგბურთელს მატჩის სტარტიდანვე მხარის პრობლემები შეექმნა, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია პირველი სეტის შედეგზე. ჯოკოვიჩმა ბევრი არბენინა უკანა ხაზზე ნიშიკორი, რომელსაც მოწოდება არ მისდიოდა. ნოვაკი 5:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ კორტზე ექიმი გამოიძახა, ცოტა ხანში კი სეტზე ვერ ჩააწოდა. თუმცა სეტი ჯოკოვიჩის ბრეიკით დასრულდა - 6:2.

მეორე სეტში კეიმ გააუმჯობესა თამაშის ხარისხი. გაიზარდა პირველი მოწოდების სიზუსტე, რომელიც მანამდე 24 პროცენტს შეადგენდა. მალე იაპონელი ბრეიკით დაწინაურდა და მეორეჯერაც შეეძლო მეტოქის მოწოდების აღება, მაგრამ ჯოკოვიჩმა ჯერ ეს გეიმი გადაარჩინა, შემდეგ კი ანგარიში გაათანაბრა. თუმცა კეიმ ტაი-ბრეიკზე მაინც შეძლო სეტში დამსახურებული გამარჯვების მოპოვება. მესამე სეტში კი სასწაული მოხდა - ნიშიკორიმ ნულზე მოიგო პარტია და სეზონში მეოთხე მარცხი აგემა სერბ ჩოგბურთელს. სხვათა შორის ჯოკოვიჩისთვის ეს იყო ბოლო წელიწად-ნახევარში მშრალი ანგარიშით წაგებული პირველი სეტი. სულ კი ასეთი რამ მის კარიერაში მეშვიდედ მოხდა.

ფინალის მეორე საგზური როჯერ ფედერერმა მოიპოვა. ცნობისთვის, მან ზედიზედ მეექვსედ მიაღწია ამ ტურნირის გადამწყვეტ მატჩამდე. ნახევარფინალში როჯერი პრობლემების გარეშე გაუმკლავდა თანამემამულე **სტანისლას ვავრინკას**. პირველ პარტიაში მან ვერ შეინარჩუნა ბრეიკი, სამაგიეროდ, ტაი-ბრეიკზე გაუმართლა. ამის შემდეგ ვავრინკამ უკლო თამაშს და მეორე სეტში თითქმის უბრძოლველად წააგო - 6:7(5), 2:6.

■ ■ ■

ვალენსიაში პარალელურად მიმდინარე ტურნირზე ორივე ნახევარფინალში სენსაცია მოხდა - პირველ და მეექვსე ნომრად განთესილი **დავიდ ფერერი** და **ხუან-მარტინ დელ პოტრო** ფინალამდე ვერ მივიდნენ.

არგენტინელმა ორ სეტში წააგო **მარსელ გრანოლერსთან**, რომელმაც ამ მოგებით მოულოდნელად დაიცვა შარშან ფინალში გასვლისთვის მიღებული ქულები. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ დელ პოტროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. მან ორჯერ გამოიძახა კორტზე ექიმი. შედეგად, არგენტინელმა იოლად წააგო პირველი სეტი, მეორეში კი სამგეიმიანი უპირატესობა გაუშვა ხელიდან. დელ პოტრო ტაი-ბრეიკში წინ იყო, მაგრამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და 4:2 4:7-ად გადაიქცა.

არგენტინელმა **ხუან მონაკომ** კი ამ ტურნირზე მეორე ესპანელი დაამარცხა. პირველ წრეში მან **ნიკოლას ალმაგრო** დაამარცხა, ახლა კი სამ სეტში მოუგო დავიდ ფერერს, რითაც შეწყვიტა ამ უკანასკნელის 14-მატჩიანი მოგებათა სერია ვალენსიაში.

პირველ სეტში მძიმე გამარჯვების შემდეგ, მონაკომ მთლიანად ჩააგდო მეორე პარტია და 0:5-ზე აიღო ერთადერთი გეიმი. გარდა ამისა, არგენტინელმა ზურგთან დაკავშირებული პრობლემების გამო სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო და თითქოს ესპანელს უნდა მოეგო გადამწყვეტი სეტი. მაგრამ ფერერმა რამდენიმე შანსი ხელიდან გაუშვა, სეტის ბოლოსკენ კი ორმაგი შეცდომით წააგო საკუთარი გეიმი. საბოლოოდ, თითქმის ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ხუანმა მოიგო - 7:5, 1:6, 6:3 და დავიდთან ურთიერთშეხვედრებში წინ გავიდა - 4:3.

**Swiss Indoors**

ბაზელი (შვეიცარია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 1 654 486 დოლარი

**1/2 ფინალი**

**კეი ნიშიკორი (იაპ)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 2:6, 7:6(4), 6:0; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 7:6(5), 6:2.

**Valencia Open**

ვალენსია (ესპანეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 1 832 675 დოლარი

**1/2 ფინალი**

**მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6) 6:4, 7:6(4); **ხუან მონაკო (არგ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 1) 7:5, 1:6, 6:3.

# ჰინგისი მწვრთნელი ხდება

ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი **მარტინა ჰინგისი** უახლოეს პერიოდში მუშაობას დაიწყებს **პატრიკ მურატოგლუს** საჩოგბურთო აკადემიაში. „დიდი სლემის" ტურნირების ხუთგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი აკადემიის ახალგაზრდა მოსწავლეებს დაეხმარება, ამასთან, გააგრძელებს გამოსვლას სხვადასხვა საჩვენებელ ტურნირში.

*„დღეს მარტინა უკვე შეეგუა სპორტული კარიერის დასრულების აზრს. ის მზად არის წინ იაროს და ამ მხრივ, სავსებით ბუნებრივი ნაბიჯი იქნება სამწვრთნელო კარიერის დაწყება. მოხარულები ვართ, რომ მან თავისი შესაძლებლობების შემოწმება სწორედ ჩვენს აკადემიაში გადაწყვიტა. ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა სიხარულით მიიღეს ეს ახალი ამბავი. ყველასთვის ცნობილია, რომ მარტინა თამაშის აღქმის უნიკალური თვისებით იყო დაჯილდოებული და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება"*, - ამბობს პატრიკ მურატოგლუ.


მარტინა ჰინგისი

ამ საჩოგბურთო აკადემიის ყველაზე ცნობილი აღზრდილები არიან - კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი**, რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვა** და ფრანგი **არავან რეზაი**.

კრივი

# ლეგენდა სიკვდილის პირასაა

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ლეგენდარული **ჯო ფრეზერი** ამჟამად სიცოცხლეში თავის ბოლო ბრძოლას აწარმოებს. პროფესიული კრივის ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ფილტვის კიბოთი არის ავად. ამა წლის იანვარში ფრეზერი 67 წლის გახდა.


ფრეზერი და ალი

*„ის კარგ ფორმაშია, ამიტომაც სასწაულის იმედი გვაქვს. თუმცა ექიმებმა მას ძალიან მოკლე ვადა მისცეს"*, - ამბობს ჯოს მენეჯერი ლესლი ვულფი.

შეგახსენებთ, რომ ფრეზერი გახდა პირველი მოკრივე, რომელმაც **მოჰამედ ალი** დაამარცხა. ეს მოხდა 1971 წელს. 1974 და 1975 წლებში ჯომ კიდევ ორი ბრძოლა ჩაატარა ალის წინააღმდეგ, მაგრამ ორივეჯერ დამარცხებულმა დატოვა რინგი. მათ შორის მესამე ბრძოლას „თრილერი მანილაში" შეარქვეს და ის ერთ-ერთ უდიადეს შეხვედრად არის მიჩნეული კრივის ისტორიაში.

ჯო ფრეზერი მოყვარულებს შორის ოლიმპიური ჩემპიონი იყო - 1964 წელს ტოკიოში გაიმარჯვა. კარიერა კი 1976 წელს დაასრულა და რინგზე ერთადერთხელ - 1981 წელს დაბრუნდა. ფრეზერი კრივის დიდების დარბაზშია შესული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**